
1890
BORJOMI
GEORGIAN MINERAL WATER
ბორჯომი
BOTTLED IN GEORGIA
იცხოვრე
ვულკანური
ძალით
ბორჯომი



მიხეილ გაბრიჩიძე

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი

პატივი მაქვს, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის მე-4 წელს, ქართველ გულშემატკივარს მივესალმო და ამ ხნის განმავლობაში გაწეული სამუშაოს მოკლე ანგარიში ჩავაბარო. ჩვენი გუნდის ფედერაციაში მოსვლის შემდეგ ქართული კალათბურთის განვითარება წარმატებით გაგრძელდა და მჯერა, რომ ეს პროცესი მომავალშიც არ შენელდება.

უპირველესად, გამოვარჩევ ჩვენს ეროვნულ ნაკრებს, რომელმაც წელს ევრობასკეტზე ზედიზედ მეოთხედ იასპარეზა და ილიას ზუროსის წინამძღოლობით არაერთი ხმაურიანი გამარჯვებაც მოიპოვა. წინა ციკლში, იგორ კოკოშკოვის მწვრთნელობით ჩვენმა ნაკრებმა 2015 წლის ევრობასკეტის ჯგუფიდან გასვლა მოახერხა და პლეი ოფშიც ღირსეულად იასპარეზა.

ეროვნულ ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი დაწყებულია და ამ ფონზე უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდა კალათბურთელების წარმატება. 12-წლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა წელს პირველად მოახერხა ევროპის „ბ“ დივიზიონიდან ელიტაში ანაცვლება.

ამ ნაკრების ძირითად ბირთვს ჩვენი კიდევ ერთი წარმატებული პროგრამის წევრები წარმოადგენდნენ. საქართველოს კალათბურთის ფედერაციასა და „სასკი ბასკონიას“ შორის თანამშრომლობა 3 წლის წინ დაიწყო და პროგრამის ფარგლებში არაერთი ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდა გამოვლინდა, რომლებმაც ღირსეული ადგილი დაიკავეს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში.

საამაყოდ მივიჩნევ ჩვენს ერთ-ერთ მასშტაბურ და წარმატებულ პროექტს - Junior NBA – GBF ლიგას, რომელიც ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციასთან, საქართველოში ამერიკის საელჩოსთან და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად განვახორციელეთ. პირველივე წელს Junior NBA-ს ევროპულმა ოფისმა ეს პროექტი საუკეთესოდ აღიარა კონტინენტის ანალოგიურ ლიგებს შორის, ხოლო მეორე სეზონში Junior NBA – GBF ლიგის მიმართ დაინტერესება ერთიორად გაიზარდა.

Junior NBA – GBF ლიგას თან ახლდა საკალათბურთო კემპები, რომლებიც ქართველი ბავშვებისთვის კალათბურთის უცხოელმა სპეციალისტებმა და ნბა-ს მოთამაშეებმა ჩაატარეს. ცალკე შეიქმნა Junior NBA – GBF ლიგის ვებ-გვერდი, რომელიც ანალოგიური უცხოური საიტებისგან განსხვავებით უფრო მრავალფუნქციური გახლდათ.

გაფორმდა ხელშეკრულება ბრიტანულ კომპანია Genius Sport-თან, რომელმაც საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის, სუპერლიგის, „ა“ ლიგისა და ასაკობრივი ლიგების საერთო ვებ-გვერდი შექმნა და ჩვენმა ყველა ღონისძიებამ, ტურნირმა და სიახლემ ერთ სივრცეში მოიყარა თავი.

ფიბა-ს ოფიციალური ტურნირების პარალელურად გაიზარდა ჩვენი ასაკობრივი ნაკრებების საერთაშორისო ასპარეზობებში ჩართულობა. 13 და 14 წლამდელების შემდეგ გასულ წელს ევროპის ახალგარდულ ლიგაში საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებიც ჩაერთო. ჩვენი გუნდი პირველივე სეზონში ოთხთა ფინალში გავიდა და ამ წარმომადგენლობით ტურნირში საპატიო მე-3 ადგილი დაიკავა. პირველად, ისტორიაში, ევროპის ლიგაში ქართველი გოგონების გუნდი გამოჩნდა. ფედერაციის გადაწყვეტილებით საქართველოს 18-წლამდე გოგონათა ნაკრები ევროპის ლიგის გათამაშებაში ჩაერთო. ამ ნაკრებმა 2017 წელს პირველად იასპარეზა ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში და იქ მომავალი წლისთვის ადგილი შეინარჩუნა.

შიდაჩემპიონებში უმნიშვნელოვანესი გახლდათ „ა“ ლიგის შექმნა, რომელმაც ღირსეული ადგილი დაიკავა სუპერლიგასა და ასაკობრივ ჩემპიონატებს შორის. გაზარდა კონკურენცია და სუპერლიგაში ასპარეზობის შანსი ნებისმიერ წარმატებულ გუნდს გაუჩინა. კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ძალისხმევით, სახელმწიფო ბიუჯეტში გამოინახა სუპერლიგისა და „ა“ ლიგის კლუბების საბაზისო დაფინანსების სახსრები, რაც გუნდების სტაბილურობისა და განვითარებისთვის შესანიშნავი შესაძლებლობა გახლდათ. აქტიურად მიდის მუშაობა, რათა კლუბების საბაზისო დაფინანსება გაიზარდოს. რაც შეეხება ასაკობრივ პირველობებს, გასულ წელს ფედერაციამ დაიწყო თანამედროვე კალათბურთის სისტემაზე გადასვლა, რომელიც 13, 15, 17 და 19-წლამდელთა ჩემპიონატების ჩატარებას გულისხმობს.

კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ საქართველოში სამუშაოდ მოიწვია უცხოელი მწვრთნელები, რომლებიც სეზონის განმავლობაში ახალგაზრდა კალათბურთელების მონიტორინგს, სელექციას და წვრთნას უზრუნველყოფდნენ, ხოლო სანაკრებო პერიოდში ეროვნული გუნდის სამწვრთნელო შტაბში იყვნენ დაკავებულნი.


ფედერაციაში მსაჯთა ინსტრუქტორად იქნა მოწვეული გამოცდილი სერბი სპეციალისტი დრაგან ნეშკოვიჩი, რომელსაც ფიბა-ს ტურნირებსა და ევროლიგაში მსაჯად და კომისრად მუშაობის 30-წლიანი გამოცდილება უმაგრებს ზურგს. ნეშკოვიჩმა ქართველი არბიტრების დონის ამაღლებაზე დაიწყო ზრუნვა და ახალგაზრდა თაობას მსაჯის კარიერის დაწყებაში ეხმარება.

ფედერაცია პერიოდულად უზრუნველყოფდა როგორც მწვრთნელების, ისე მსაჯების საზღვარგარეთ მივლინებას და მაღალი დონის საერთაშორისო კემპებსა თუ ტრენინგებში მონაწილეობას.

ჩვენმა ფედერაციამ შეიძინა 3X3 კალათბურთის თანამედროვე, გადასატანი მოედანი და დაიწყო ეროვნული ჩემპიონატის მთელი საქართველოს მასშტაბით, ორგანიზებულად ჩატარება. 3X3 კალათბურთის პოპულარიზაციამ სპორტის ამ სახეობაში საერთაშორისო ასპარეზზე სოლიდური წარმატებები მოგვიტანა. 18-წლამდელთა ნაკრები სისტემატიურად მონაწილეობს მსოფლიოს ჩემპიონატზე და 2016 წელს პლანეტის საუკეთესო 8 გუნდში მოხვდა.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი გუნდის მიერ არჩეული ქართული კალათბურთის განვითარების გზა, მომავალ სეზონში მეტი წარმატებით გაგრძელდება და ქართველ გულშემატკივარს სიხარულისა და სიამაყის საფუძველი არ მოაკლდება.

კიდევ უამრავი პროექტი განვახორციელეთ, რომლებსაც აქ არ შევეხე, თუმცა წარმოდგენილ „წლის წიგნში“ მათზე დეტალურ ინფორმაციას მიიღებთ. წლევანდელი გამოცემა განსხვავებულია და მას ახლავს კომპაქტ-დისკი, სადაც თავმოყრილია აქამდე გამოცემული ყველა - ექვსივე „წლის წიგნი“ და იმ მასშტაბური ღონისძიებების ვიდეო-მასალა, რომლებიც გასული 4 წლის განმავლობაში განვახორციელეთ.



საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის 2016–2017 წლის შემაჯამებელი ჟურნალი

სარეკლამო მიზნებისთვის ჟურნალი ვრცელდება უსასყიდლოდ

ჟურნალის გამოცემა უზრუნველყო









საგამომცემლო ჯგუფი
თამუნა რუაძე
ირაკლი პერტაია
ლაშა მიქაუტაძე
ნინო გურული

დიზაინერი
მარიამ რუსიშვილი

ჟურნალში გამოყენებული სტატისტიკური მონაცემები



საქართველოს კალათბურთის მსაჯთა კავშირი



ოფიციალური ვებ-გვერდი



კალათბურთის ფედერაციის, სუპერლიგის, ა-ლიგის და ასაკობრივი ჩემპიონატების ოფიციალური ვებ-გვერდები

www.gbf.ge	www.superleague.ge	www.a-league.ge
www.u-20.ge	www.u-18.ge	www.u-16.ge

ფოტომასალა
ხატია ჯიჯეიშვილი
თამარ ყულუმბეგაშვილი
ბადრი კეთილაძე
ალექსანდრე რუაძე
ნინო ხაბაძე
დავით შალიკაშვილი
ლევან გოგოლაძე
გიგა გურასაშვილი
ზიზუ გიორგი ჯიქია
ირაკლი პერტაია
ლაშა მიქაუტაძე

ISSN 23467533

სარჩევი

EUROBASKET 2017 — 5
თბილისის მერიის თასი — 13
ლიტვის (კლაიპედას) ტურნირი — 14
აკროპოლისის თასი — 16
TROPHY TOUR — 19
ბ-ნაკრები — 21
საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები — 23
საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები — 27
საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები — 31
საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები (EYBL) — 36
საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები (EYBL) — 40
საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრები (EYBL) — 42
საქართველოს 18-წლამდე გოგონათა ნაკრები — 44
საქართველოს 16-წლამდე გოგონათა ნაკრები — 48
3X3 კალათბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი — 51
3X3 კალათბურთში 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი — 55
3X3 კალათბურთში 18-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი — 59
ასაკობრივი ნაკრები გუნდების სამწვრთნელო შტაბი — 62
Junior NBA - GBF LEAGUE — 64
საქართველოს XXVI ეროვნული ჩემპიონატი (სუპერლიგა) — 71
ა-ლიგა — 81
საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი — 86
საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი — 92
საქართველოს 16-წლამდელთა ჩემპიონატი — 103
საქართველოს 14-წლამდელთა ჩემპიონატი — 113
საქართველოს ქალთა ჩემპიონატი — 116
საქართველოს გოგონათა 16-წლამდელთა ჩემპიონატი — 120
საქართველოს ჩემპიონატი 3X3 კალათბურთში — 125
3X3 კალათბურთში საქართველოს ჩემპიონი «ბუქარესტ ჩელენჯზე» — 128
3X3 კალათბურთში თბილისის მერიის თასი 2017 — 129
საკალათბურთო კემპი (BASKONIA) — 130
დუდუ დადიანის მემორიალი — 133
ზურაბ საკანდელიძის და მიხეილ ქორქიას მემორიალი — 137
ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასი — 140
საქართველოს თასი — 144
საქართველოს ქალთა თასი — 149
ყველა ვარსკვლავის მატჩი 2017 (ALL STAR 2017) — 151
თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი — 156
საქართველოს მსაჯთა კავშირი — 160
საქართველოს კალათბურთის მწვრთნელთა კავშირი — 162
მემორანდუმები — 164
სხვადასხვა ღონისძიებები — 168
ვეტერანი კალათბურთელები — 190
ჩემპიონატებსა და ღონისძიებებში გამარჯვებული გუნდები წლების მიხედვით — 194


GEORGIA
molten
GEORGIA
GEORGIA
23
GR Georgian Railway
GEORGIA
9
GR Georgian Railway
Israel



FIBA EUROBASKET 2017
FINLAND • ISRAEL • ROMANIA • TURKEY

ევროპის ჩემპიონატი 2017

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ზედიზედ მეოთხედ იასპარეზა. ევრობასკეტ 2017-ის ტრიუმფატორი სლოვენიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, იგორ კოკოშკოვის თაოსნობით საქართველოს ნაკრები კონტინენტის პირველობაზე პირველად 2011 წელს გავიდა და მას შემდეგ, ყველა ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა.

ხსენებულმა იგორ კოკოშკოვმა ევროპის 2017 წლის ჩემპიონატი სლოვენიას მოაგებინა, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა კი, ბერძენი სპეციალისტის, ილიას ზუროსის თაოსნობით ევრობასკეტი რიხით დაიწყო, თუმცა პირველი ბარიერის - ჯგუფური ეტაპის გადალახვა ვერ მოახერხა.

საქართველოს ნაკრები ევრობასკეტისთვის კარგად მოემზადა და ევროპის ჩემპიონატამდე გამართული ყველა მოსამზადებელი, ამხანაგური ტურნირი მოიგო. ილიას ზუროსის გუნდმა საბერძნეთში „აკროპოლისის თასი“ მოიგო, ხოლო ლიტვის ქალაქ კლაიპედაში საკმაოდ წარმომადგენლობით ტურნირში იმარჯვა. ამ ტურნირების მსვლელობისას ჩვენმა ნაკრებმა ისეთ გრანდებს მოუგო, რომლებიც კონტინენტის პირველობის მთავარ ფავორიტებად ითვლებოდნენ - ლატვიას, საბერძნეთს, სერბეთს და ლიტვას.

საქართველოს ნაკრები ტრავმების გამო ევრობასკეტს სოლიდური დანაკლისით შეხვდა. გუნდს ვერ ეხმარებოდნენ ვიქტორ სანიკიძე და ბექა ბურჯანაძე. მიუხედავად ამისა, ილიას ზუროსის გაწვრთნილ-მა საქართველოს ნაკრებმა ლიტვა ევრობასკეტის სადებიუტო მატჩში 79:77 დაამარცხა და ამ მატჩის შემდეგ ტურნირის მთავარ ფავორიტად იქცა.


GEORGIA
SPALDING
FIBA
GEORGIA
11
GEORGIA
9
10





ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა ბალტიისპირელებთან მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა და მიუხედავად იმისა, რომ მეორე მეოთხედში ძირითადი გამთამაშებელი - გიორგი ცინცაძე დაშავდა, საბოლოოდ მაინც გამარჯვებას მიაღწია.

ამ გამარჯვების შემდეგ ცოტა თუ იფიქრებდა, რომ საქართველო ჯგუფიდან გასვლას ვერ მოახერხებდა. ზუროსის გუნდმა მიყოლებით წააგო 2 მატჩი გერმანიასთან და უკრაინასთან. ამ უკანასკნელთან წაგება გახდა კიდეც იმის მიზეზი, რომ ზუროსის გუნდმა ჯგუფიდან გასვლა ვერ მოახერხა. ქართველებმა მომდევნო მატჩში მასპინძელ ისრაელს ოვერტაიმში სძლიეს და ჯგუფის ბოლო ტურში იტალიას შეასკდნენ.

საქართველოს ნაკრები ძალიან ახლოს იყო თავის ისტორიაში ყველაზე დიდ გამარჯვებასთან: იტალიას ბოლო პერიოდში 15-ქულიანი ჩამორჩენა გაუბათილა და ბოლო წუთზე ქულით დაწინაურდა, თუმცა საბოლოოდ აპენინელებმა მეტი სიზუსტე გამოავლინეს და გამარჯვებამდე მივიდნენ - 71:69. საქართველოს ნაკრები ბრძოლაში დამარცხდა და ვერ გავიდა ჯგუფიდან, რაც ლოგიკური დაგვირგვინება იქნებოდა ბრწყინვალედ დაწყებული ევროპის ჩემპიონატისა.

შედეგები

ჯგუფური ეტაპი - B ჯგუფი

31.08.17 თელ ავივი, თელ ავივ არენა

გუნდი	ანგ
ლიტვა	77
საქართველო	79

02.09.17 თელ ავივი, თელ ავივ არენა

გუნდი	ანგ
საქართველო	57
გერმანია	67

ჯგუფური ეტაპი - B ჯგუფი

03.09.17 თელ ავივი, თელ ავივ არენა

გუნდი	ანგ
საქართველო	81
უკრაინა	88

05.09.17 თელ ავივი, თელ ავივ არენა

გუნდი	ანგ
ისრაელი	91
საქართველო	104

ჯგუფური ეტაპი - B ჯგუფი

06.09.17 თელ ავივი, თელ ავივ არენა

გუნდი	ანგ
იტალია	71
საქართველო	69

სატურნირო ცხრილი

ჯგუფი B		თამაში				ბურთების შეფარდება					ქულა
	გუნდი	თ	მ	წ	%	ჩაგდებ.	მიღებ.	+/-	საშ. ჩაგდებ.	საშ. მიღებ.	
1	ლიტვა	5	4	1	80.0	426	359	67	85.2	71.8	9
2	გერმანია	5	3	2	60.0	355	346	9	71	69.2	8
3	იტალია	5	3	2	60.0	346	322	24	69.2	64.4	8
4	უკრაინა	5	2	3	40.0	367	392	-25	73.4	78.4	7
5	საქართველო	5	2	3	40.0	390	394	-4	78	78.8	7
6	ისრაელი	5	1	4	20.0	358	429	-71	71.6	85.8	6

გუნდის ლიდერები

	მოთამაშე	კატეგორია	საშუალო
	თორნიკე შენგელია	ეფექტურობის კოეფიციენტი	18.6
	ზაზა ფაჩულია	ეფექტურობის კოეფიციენტი	15.2
	გიორგი შერმადინი	ეფექტურობის კოეფიციენტი	13.6
	თორნიკე შენგელია	ქულა	18.8
	მაიკლ დიქსონი	ქულა	13.8
	ზაზა ფაჩულია	ქულა	13.4
	ზაზა ფაჩულია	მოხსნა	9.2
	თორნიკე შენგელია	მოხსნა	7.8
	გიორგი შერმადინი	მოხსნა	4.6
	მაიკლ დიქსონი	პასი	5.2
	თორნიკე შენგელია	პასი	3.2
	გიორგი ცინცაძე	პასი	3.2

შემადგენლობა

3	მ. დიქსონი	უკანახაზელი	186 სმ	01.12.1990
4	გ.გამყრელიძე	უკანახაზელი	183 სმ	04.02.1986
6	ა.ბოისა	უკანახაზელი	194 სმ	09.09.1983
7	ზ.ფაჩულია	ცენტრი	211 სმ	10.02.1984
8	გ.ცინცაძე	უკანახაზელი	193 სმ	07.02.1986
9	გ.შერმადინი	ცენტრი	217 სმ	02.04.1989
10	დ.სანაძე	ფორვარდი	196 სმ	25.07.1992
11	მ.მარკოიშვილი	ფორვარდი	197 სმ	17.11.1986
17	მ.ბერიშვილი	ფორვარდი	203 სმ	12.04.1987
23	თ.შენგელია	ფორვარდი	206 სმ	05.10.1991
35	გ.ბითაძე	ცენტრი	210 სმ	20.07.1999
99	ი.ლონდარიძე	ცენტრი	205 სმ	15.09.1989

საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები

საქართველოს ეროვნული ნაკრები

მთ. მწვრთნელი: ილიას ზუროსი

		თამ	წუთ	ქულა	ქულ. თამაშში	2 ქულა	3 ქულა	ჯარ	შეტ. მოხს.	დაცვ. მოხს.	მოხს.	პას	პერს. ჯარ	დაკ	ჩაჭრა	დაფ	+/-	ეფექტ
3	მ. დიქსონი	5	33.7	13.8	5.0/9.652.1%	3.0/5.257.7%	2.0/4.445.5%	1.8/2.281.8%	0.0	2.0	2.0	5.2	2.6	4.0	1.4	0.0	2.2	13.4
4	გ.გამყრელიძე	3	0.8	0.0	0.0/0.0-%	0.0/0.0-%	0.0/0.0-%	0.0/0.0-%	0.0	0.0	0.0	0.0	1.3	0.0	0.0	0.0	0.7	0.0
6	ა.ბოისა	1	0.1	0.0	0.0/0.0-%	0.0/0.0-%	0.0/0.0-%	0.0/0.0-%	0.0	0.0	0.0	0.0	1.0	0.0	0.0	0.0	2.0	0.0
7	ზ.ფაჩულია	5	26.1	13.4	4.2/9.444.7%	4.2/9.444.7%	0.0/0.0-%	5.0/6.675.8%	3.8	5.4	9.2	1.6	2.8	3.2	0.8	0.2	4.4	15.2
8	გ.ცინცაძე	5	24.8	2.8	1.2/4.427.3%	0.8/1.650%	0.4/2.814.3%	0.0/0.40%	0.2	1.4	1.6	3.2	2.0	2.6	1.2	0.0	-12.4	2.6
9	გ.შერმადინი	5	18.1	10.2	2.4/5.246.2%	2.4/5.246.2%	0.0/0.0-%	5.4/5.893.1%	1.4	3.2	4.6	1.6	1.8	1.2	0.8	0.8	-3.4	13.6
10	დ.სანაძე	5	26.7	10.8	3.6/7.051.4%	1.8/2.475%	1.8/4.639.1%	1.8/1.8100%	0.0	2.0	2.0	1.2	3.2	0.2	1.2	0.4	4.0	12.0
11	მ.მარკოიშვილი	5	35.3	7.4	2.8/7.238.9%	1.6/2.857.1%	1.2/4.427.3%	0.6/1.250%	0.2	3.8	4.0	1.2	2.8	0.6	1.2	0.4	3.2	8.6
17	მ.ბერიშვილი	5	2.9	0.8	0.2/0.2100%	0.0/0.0-%	0.2/0.2100%	0.2/0.633.3%	0.2	0.2	0.4	0.0	1.0	0.2	0.0	0.0	0.2	0.6
23	თ.შენგელია	5	35.9	18.8	7.0/14.448.6%	6.6/12.055%	0.4/2.416.7%	4.4/6.073.3%	1.2	6.6	7.8	3.2	2.4	3.6	1.0	0.4	-0.6	18.6
35	გ.ბითაძე	0	-	-	-/--%	-/--%	-/--%	-/--%	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
99	ი.ლონდარიძე	4	1.4	0.0	0.0/0.50%	0.0/0.50%	0.0/0.0-%	0.0/0.0-%	0.0	0.0	0.0	0.0	0.3	0.0	0.0	0.0	-3.0	-0.5
	გუნდი								2.2	2.8	5.0	0.0	1.0	0.6	0.0	0.0	0.0	0.0
	სულ		205.0	78.0	26.4/ 57.845.7%	20.4/ 39.052.3%	6.0/ 18.831.9%	19.2/ 24.678%	9.2	27.4	36.6	17.2	20.8	16.2	7.6	2.2	-4.0	84.2


GR
საქართველოს
რკინიგზა
1872-დან
GEORGIAN RAILWAY
გემსახურებით 1872 წლიდან
SERVING YOU SINCE 1872
II-263
GRS-014
საქართველოს რკინიგზა
საქართველოს კალათბურთის ეროვნული
ნაკრების ასაკობრივი ნაკრები გუნდებისა
და სუპერლიგის გენერალური სპონსორი
www.railway.ge

საქართველოს ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბი



ილიას ზუროსი
მთავარი მწვრთნელი

დაბ. თარიღი
1966 წლის 11 მარტი
საბერძნეთი

კარიერული ისტორია	
2000-2002	ოლიმპიაკოსი
2003-2004	საგესი
2004-2005	პერისტერი
2005-2006	არისი
2006-2007	პარიზ-ლევალუა
2007-2010	პანელინიოსი
2011	ჟალგირისი
2011-2012	საბერძნეთის ეროვნული ნაკრები
2012	ანადოლუ ეფესი
2013	ჟალგირისი
2014-2015	თოფაში
2016-დღემდე	ბუდუჩნოსტი
2016-დღემდე	საქართველოს ეროვნული ნაკრები

კარიერული მიღწევები და ჯილდოები	
2004	ლიბანის ლიგის ჩემპიონი
2004	FIBA-ს აზიის ჩემპიონთა თასის მფლობელი
2010	ევროთასი- წლის მწვრთნელი
2011	ლიტვის თასის მფლობელი
2011	ბალტიის ლიგის ჩემპიონი
2011	ლიტვის ჩემპიონი



იურიცა გოლემაცი
მწვრთნელის ასისტენტი



მილოშ გლიგორიევიჩი
მწვრთნელის ასისტენტი



ირაკლი ხოშტარია
მწვრთნელის ასისტენტი



კონსტანტინე ტუღუში
მწვრთნელის ასისტენტი



გიორგის ვაჟეიშისი
ფიზ-მომზადების მწვრთნელი



ავთანდილ ბერიძე
ფიზ-მომზადების მწვრთნელი



თემურ ხვედელიძე
ექიმი (ფიზიოთერაპევტი)



ზურაბ სულეიმანაშვილი
ექიმი



ჯორჯო ბიაჯიო
მასაჟისტი



ზაქრო ჯვარიძე
მასაჟისტი



პაატა ლობჟანიძე
გენერალური მენეჯერი



გივი სანაძე
მენეჯერი



ირაკლი პერტაია
პრეს-ატაშე

საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობა



3 მაიკლ დიქსონი
უკანახაზელი



4 გიორგი გამყრელიძე
უკანახაზელი



6 ანატოლი ბოისა
უკანახაზელი



7 ზაზა ფაჩულია
ცენტრი



8 გიორგი ცინცაძე
უკანახაზელი



9 გიორგი შერმადინი
ცენტრი



10 დუდა სანაძე
ფორვარდი



11 მანუჩარ მარკოიშვილი
ფორვარდი



17 მიხეილ ბერიშვილი
ფორვარდი



23 თორნიკე შენგელია
ფორვარდი



35 გოგა ბითაძე
ცენტრი



99 ილია ლონდარიძე
ცენტრი


GEORGIA
3
GEORGIA
11
EUROBASKET
Trophy
EUROBASKET2017
EUROBASKET
EUROBASKET2017
EUROBASKET
EUROBASKET2017
GEORGIA
GEORGIA
GEORGIA
GEORGIA
GEORGIA
GEORGIA
CzechRepublic
CzechRepublic
CzechRepublic



თბილისის მერიის თასი

ევრობასკეტ 2017-ის მოსამზადებელი ეტაპის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახლდათ თბილისის მერიის თასი. უკვე მრავალი წელია, თბილისის მერიის ძალისხმევითა და მხარდაჭერით აღნიშნული ტურნირი ტარდება, რისთვისაც საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია მადლიერებას გამოხატავს დედაქალაქის მერიის მიმართ. ამჯერად ტურნირზე სათამაშოდ თბილისში ჩეხეთის ეროვნული ნაკრები ჩამოვიდა, რომელსაც მეტოქედ მასპინძელი საქართველო ჰყავდა.

თბილისის მერიის თასი 2 მატჩის ჯამში გათამაშდა. საქართველომ და ჩეხეთმა 11 და 13 აგვისტოს, თბილისის სპორტის სასახლეში ერთმანეთში 2 მატჩი გამართეს და მთავარი პრიზი ილიას ზუროსის გაწვრთნილ ქართველებს ხვდათ. საქართველოს ეროვნულმა გუნდმა პირველი მატჩი დამაჯერებლად - 87:76 მოიგო და მეორე შეხვედრის წინ 11-ქულიანი ჰანდიკაპი შეიქმნა.

ჩეხეთ - საქართველოს მეორე დაპირისპირება უფრო დაძაბული გამოდგა. თანაბრად მიმდინარე მატჩში ლიდერი რამდენჯერმე შეიცვალა და საბოლოოდ გამარჯვებას ქართველებმა მიაღწიეს - 68:64. ილიას ზუროსის გაწვრთნილმა გუნდმა ამ გამარჯვებით თბილისის მერიის თასი დაისაკუთრა, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ამ მატჩებში მიღებული სათამაშო გამოცდილება იყო.

მატჩის შემდეგ პრიზიორი ჩეხეთის ნაკრები, ასევე გამარჯვებული საქართველო თბილისის მერმა, დავით ნარმანიამ, კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ და პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელმა, მიხეილ ყაველაშვილმა დააჯილდოვეს.

ლიტვის (კლაიპედას) ტურნირი

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება ტრადიციულად, თვენახევრით ადრე დაიწყო. ბერძენი სპეციალისტის, ილიას ზუროსის გაწვრთნილმა ჩვენმა ნაკრებმა ევრობასკეტამდე 3 საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან პირველი ლიტვის ქალაქ კლაიპედაში გაიმართა. კლაიპედაში საქართველოს ეროვნული ნაკრები მეორედ გახლდათ: პირველად 2011 წელს, როცა პირველად გავიდა ევრობასკეტზე და ლიტვის ამ ქალაქში ჯგუფური ეტაპი ითამაშა. ევრობასკეტ 2017-ის მოსამზადებელ ეტაპზე კი კლაიპედამ ამხანაგურ ტურნირს უმასპინძლა, რომელშიც ლიტვის ნაკრებთან ერთად პოლონეთის, ლატვიისა და საქართველოს ეროვნული გუნდები მონაწილეობდნენ.ლიტვაში გამართული მატჩების და განსაკუთრებით ტურნირის მოგება ნებისმიერი ნაკრებისთვის ურთულესია. ეს კი საქართველოს ნაკრებმა მოახერხა, რაც პირველი დიდი წარმატება იყო ევრობასკეტისთვის მოსამზადებელ ციკლში.

ორგანიზატოთა გადაწყვეტილებით, 4 გუნდი ნახევარფინალებში დაწყვილდა და გამარჯვებულები ფინალში გავიდნენ, წაგებულებმა კი მე-3 ადგილისთვის ითამაშეს. საქართველოს ნაკრების პირველი მეტოქე ლატვია გახლდათ, რომელსაც 2 წამყვანი მოთამაშე - კრისტაფს პორჟინგისი და დავის ბერტანსი აკლდა. თავის მხრივ, საქართველოც 2 წამყვანი კალათბურთელის გარეშე თამაშობდა. ვიქტორ სანიკიძემ ნაოპერაციები ფეხი ვერ მოიშუშა და ევრობასკეტზე რომ ვერ ითამაშებდა, შეკრების დაწყების წინ გაიგო. მეორე დანაკლისი ბექა ბურჯანაძე გახლდათ, რომელსაც მუხლი აწუხებდა და როგორც მოგვიანებით გაირკვა, ვერც ის ჩადგა მწყობრში და ევრობასკეტი გამოტოვა.

საქართველოს ნაკრები მეორე პერიოდში 12 ქულით ჩამორჩა, მაგრამ ვითარების გამოსწორება შეძლო და საბოლოოდ დაძაბულ ბრძოლაში 83:79 იმარჯვა. ჩვენს გუნდს 20 ქულითა და 13 მოხსნით გიორგი შერმადინმა ულიდერა, ხოლო თორნიკე შენგელიამ 14 ქულა მიითვალა. მეორე ნახევარფინალში ლიტვამ პოლონეთის ნაკრებს სძლია და კლაიპედას ტურნირის ფინალში ქართველებს შეუწყვილდა.

ლიტვასთან საქართველოს ნაკრებს აქამდე არცერთი შეხვედრა არ ჰქონდა მოგებული - არადა, ამ ბალტიურ ნაკრებთან ჩვენს გუნდს არაერთხელ უთამაშია. კლაიპედას ტურნირის ფინალში ილიას ზუროსის გუნდმა დამაჯერებლად ითამაშა და საამაყო გამარჯვება მოიპოვა. ქართველები აგებდნენ, თუმცა მატჩის დასკვნითი პერიოდი მაღალ დონეზე ჩაატარეს და საბოლოოდ 81:70 იმარჯვეს.

ფინალის საუკეთესო მოთამაშედ თორნიკე შენგელია დასახელდა, რომელსაც დაჯილდოვების ცერემონიალზე სპეციალური პრიზი გადასცეს. ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად გიორგი შერმადინი აღიარეს, რომელმაც ფინალში 17 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვა. ჩვენი ნაკრების კაპიტან მანუჩარ მარკოიშვილს ტურნირის გამარჯვებულისთვის დაწესებული ორიგინალური - შუშის თასი გადაეცა.




GEORGIA
DIXON JR.
3
Georgian Railway
ARGUS
KLUBAS
WINNER

აკროპოლისის თასი

იუგოსლავია, საბერძნეთი, არგენტინა, ლიტვა და იტალია - ეს ის ნაკრებებია, რომლებმაც „აკროპოლისის თასის“ 31-წლიან ისტორიაში ეს ტიტული მოიგეს. ამ გრანდებს წლეულს საქართველოც შეემატა, რომელმაც ევროპის კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული არაოფიციალური ტურნირი მოიგო.

„აკროპოლისის თასი“ საბერძნეთის დედაქალაქ ათენში პირველად 1986 წელს გაათამაშეს, ხოლო მისი წარმომადგენლობითობისა და პრესტიჟის გამო, ფიბა-ევროპამ საბერძნეთის კალათბურთის ფედერაციასთან ერთად 1991 წელს კალათბურთის გამოგონების 100 წლისთავთან დაკავშირებით „აკროპოლისის თასის“ განსაკუთრებული ტურნირი ჩაატარა სახელად: ასწლიანი საიუბილეო ტურნირი.

სწორედ ასეთი უდიდესი ისტორიისა და მნიშვნელობის ტურნირი მოიგო საქართველოს ნაკრებმა, რომელიც ევრობასკეტ 2017-ის მოსამზადებელი ციკლის ნაწილი გახლდათ. საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ძალისხმევითა და ილიას ზუროსის მხარდაჭერით, ორგანიზატორებმა საქართველო „აკროპოლისის თასის“ გათამაშებაზე ათენში დაპატიჟეს, რომელთან ერთადაც ტურნირში მასპინძელი საბერძნეთი, სერბეთი და იტალია მონაწილეობდნენ.

აკროპოლისის თასზე ჩვენი მეტოქეების ვინაობა რომ შეიტყვეს, არაერთმა გულშემატკივარმა თქვა, რატომ დაიგეგმა ტურნირი, რომელზეც ყველა მატჩს უშანსოდ წავაგებთო. ჩვენს ოპონენტებს იმდენად დიდი პრესტიჟი და რეიტინგი ჰქონდათ, რომ საქართველო მათთან ბევრმა უშანსოდ მონათლა. ტურნირის მსვლელობამ საპირისპირო დააფიქსირა.

ილიას ზუროსის გაწვრთნილი საქართველოს ნაკრები ვადაზე ადრე, 1 ტურით ადრე გახდა „აკროპოლისის თასის“ მფლობელი. ჩვენი ეროვნული გუნდი ათენურ ტურნირში ტრავმების გამო სოლიდური დანაკლისით თამაშობდა. ამის მიუხედავად, საქართველომ პირველივე მატჩში მასპინძელი საბერძნეთი დაძაბულ ბრძოლაში - 72:71დაამარცხა. მეორე ტურში კი ევრობასკეტის მომავალ ფინალისტ სერბეთსაც მოუგო (68:66) და ბოლო შეხვედრას სატურნირო თვალსაზრისით აზრი დაეკარგა: ქართველებს იტალიასთან წაგების შემთხვევაშიც გარანტირებული ჰქონდათ „აკროპოლისის თასის“ მოგება.

ტურნირის ბოლო შეხვედრაში ილიას ზუროსმა თორნიკე შენგელია დაასვენა, ხოლო გუნდის ხუთულის სხვა წევრები ჩვეულებრივზე მცირე ხნით ათამაშა, რათა 1 კვირაში დასაწყები ევრობასკეტის წინ გუნდის ბირთვს ძალები აღედგინა. დასკვნითი მატჩი საქართველომ 8 ქულით - 65:73 დათმო და შეხვედრის დასრულების შემდეგ „აკროპოლისის თასიც“ ჩაიბარა.

სატურნირო ცხრილი

		თ	მ	წ	ქ
1	საქართველო	3	2	1	5
2	სერბეთი	3	2	1	5
3	საბერძნეთი	3	1	2	4
4	იტალია	3	1	2	4




GEORGIA
GR Georgian Railway
HYUNDAI


FIBA
EUROBASKET
SPALDING
GEORGIA
FIBA
EUROBASKET
2017



FIBA EUROBASKET 2017
FINLAND • ISRAEL • ROMANIA • TURKEY

Trophy Tour

ევრობასკეტ 2017-ის თასი თბილისში

ფიბა-ს ტრადიციული პროექტის ფარგლებში საქართველოს ევრობასკეტ 2017-ის საჩემპიონო თასი ესტუმრა. „ტროფი ტური“ ევროკალათბურთის მმართველმა ორგანიზაციამ ევროპის ჩემპიონატის პოპულარიზაციისთვის 2 წლის წინ წამოიწყო და 2015 წლის გათამაშების წინ ნიკოლაი სემაშკოს თასმა ტურნირის მონაწილე 24-ვე ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც იმოგზაურა.

ევრობასკეტ 2017-ის დაწყებამდეც დაიწყო საჩემპიონო თასმა მოგზაურობა და 13-14 აგვისტოს მისი გაჩერება საქართველოს დედაქალაქი გახლდათ. ნიკოლაი სემაშკოს თასი თავდაპირველად სპორტის სასახლეში, საქართველოსა და ჩეხეთის მატჩისას გამოიფინა და მასთან ნებისმიერ მსურველს შეეძლო სამახსოვრო ფოტოს გადაღება.

14 აგვისტოს ევრობასკეტ 2017-ის თასს დატვირთული დღე ჰქონდა და ჯერ ქართლის დედის ძეგლს ეწვია, შემდეგ კი თემქაზე მდებარე ზურაბ წერეთლის მონუმენტ „საქართველოს მატიანესთან“ იმყოფებოდა. დღის ბოლოს, ევრობასკეტის თასი მთაწმინდაზე მდებარე „ფუნიკულიორს“ ესტუმრა, სადაც საქართველოს მთავრობის წევრები და მინისტრები ჩვენს ეროვნულ გუნდს შეხვდნენ და ევროპის ჩემპიონატის თასის თანხლებით კონტინენტის უმთავრეს ტურნირზე წარმატება უსურვეს.

15 აგვისტოს, გამთენიისას ნიკოლაი სემაშკოს თასმა საქართველო დატოვა და გერმანიაში, ფიბა-ს ოფისში დაბრუნდა, საიდანაც მოგზაურობა ევრობასკეტ 2017-ის მონაწილე სხვა ქვეყნებში გააგრძელა. თასის საბოლოო გაჩერება იყო სტამბოლის „სინან ერდენის“ არენა, სადაც 17 სექტემბერს, ევრობასკეტის ფინალური მატჩის შემდეგ მას ევროპის ჩემპიონი სლოვენია დაეპატრონა.


GEORGIA
5
GEORGIA
9
GEORGIA
11
GEORGIA
LEZHAVA
7
DVALISHVILI
GEORGIA

ბ-ნაკრები

საქართველოს „ბ“ ნაკრებმა მისია ამჯერადაც შეასრულა და ეროვნულ ნაკრებში წლეულს 4 კალათბურთელი გაგზავნა. 2016 წელს „ბ“ ნაკრების შექმნის მიზანიც ეს გახლდათ - ეროვნულის კანდიდატები დამატებით დაეტვირთათ, საერთაშორისო მატჩებში ეთამაშათ და ვინც თავს გამოიჩენდა, ძირითადი ნაკრებისკენ გზა ეხსნებოდა.

შარშანდელის მსგავსად, „ბ“ ნაკრებმა შეკრება წლეულსაც ჩინეთში გაიარა. დავით უსტიაშვილისა და რამაზ გოგობერიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვან სახელმწიფოში 6 ამხანაგური მატჩი გამართა, საიდანაც პირველი 2 მოიგო, მომდევნოებში კი დამარცხდა.

ქართველებმა საწყისი 2 მატჩი ჩინეთის არმიის გუნდს მოუგეს, რის შემდეგაც ქვეყნის „ბ“ ნაკრებს შეხვდნენ, რომელშიც რამდენიმე მოთამაშე იყო ეროვნულიდან. საქართველოს ნაკრებმა ამ შეხვედრაში პირველი მარცხი განიცადა, რის შემდეგაც სამჯერ შეხვდა ჩინეთის ეროვნული ჩემპიონატის ნახევარფინალისტ „ლაიონინგს“ და სამჯერვე დამარცხდა.

საქართველოს ნაკრები ჩინეთიდან 12 ივლისს დაბრუნდა და 4-მა მოთამაშემ - გიორგი გამყრელიძემ, ილია ლონდარიძემ, ნოდარ გოგოძემ და ბესიკ ლეჟავამ ეროვნულ გუნდში გადაინაცვლეს და 15 ივლისს ნაკრებს სლოვენიურ შეკრებაზე შეუერთდნენ. საბოლოოდ ილიას ზუროსის გუნდში ორმა მათგანმა - ლონდარიძემ და გამყრელიძემ მოიპოვეს ადგილი და ნაკრებს ისრაელში - ევროპის ჩემპიონატზე გაჰყვნენ.

საქართველოს ეროვნული (ბ) ნაკრების შემადგენლობა

	მოთამაშეები	პოზიცია	სიმაღლე	გუნდი
1	ნოდარ გოგოძე	უკანახაზელი	193	დინამო
2	ლუკა ზაქრაძე	უკანახაზელი	193	სოხუმი
3	რევაზ როგავა	უკანახაზელი	192	ოლიმპი
4	გიორგი გამყრელიძე	უკანახაზელი	186	ტიტები
5	ბესო ლეჟავა	უკანახაზელი	193	ბათუმი
6	მიხეილ ჭოჭუა	მსუბუქი ფორვარდი	194	დინამო
7	კახა ტომარაძე	მსუბუქი ფორვარდი	201	ოლიმპი
8	აკაკი ლომოური	მსუბუქი ფორვარდი	200	ქუთაისი
9	ოთარ ბულიავა	მსუბუქი ფორვარდი	198	სოხუმი
10	ავთო ლომინაშვილი	მძიმე ფორვარდი	203	მგზავრები
11	აკაკი დვალიშვილი	მძიმე ფორვარდი, ცენტრი	207	ნოვოსიბირსკი, რუსეთი
12	ილია ლონდარიძე	მძიმე ფორვარდი, ცენტრი	205	დინამო
13	გეგი ბაქრაძე	ცენტრი	203	ოლიმპი
14	სერგო ათუაშვილი	ცენტრი	225	სოხუმი


POLSKA
GEORGIA
35
15
31
25
23
19
17
71
4
13
Georgian Railway
MTS
HYUNDAI



FIBA U20 EUROPEAN CHAMPIONSHIP
ROMANIA, DIVISION B

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონში ღირსეულად იასპარეზა, მაგრამ მთავარ მიზანს ვერ მიაღწია. ელიტარულ, „ა“ დივიზიონისკენ გზა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილ ქართველებს ტურნირის მომავალმა ფინალისტმა ხორვატიამ გადაუღობა.

ხორვატები რუმინეთის ქალაქ ორადეაში გამართული „ბ“ დივიზიონის ფავორიტებად ითვლებოდნენ. სწორედ ბალკანელები შეხვდნენ ჯგუფიდან გასულ ქართველებს მეოთხედფინალში, სადაც საკმაოდ დაძაბული და საინტერესო ბრძოლა გაიმართა. ქართველები კარგა ხნის მანზილზე ლიდერობდნენ, ბოლო წუთებზეც თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, თუმცა საბოლოოდ გამარჯვება ხორვატებს დარჩათ, რომლებმაც 74:71 მოიგეს და ნახევარფინალში გავიდნენ.

საბოლოოდ ხორვატიამ ფინალშიც გააღწია, სადაც რუმინეთთან დამარცხდა, თუმცა ორივე მათგანმა, პლუს მესამეადგილოსანმა დიდმა ბრიტანეთმა მოიპოვეს „ა“ დივიზიონის“ საგზურები. „ბ“ დივიზიონის გამარჯვებული რუმინეთი იყო საქართველოს მეტოქე ჯგუფურ ეტაპზე, რომელთანაც ჩერქეზიშვილის გუნდი 51:63 დამარცხდა. ეს გახლდათ ტურნირის პირველი მატჩი, რომელიც ქართველებს ჩაუვარდათ, რის შემდეგაც ჯგუფში დარჩენილი ყველა შეხვედრა მოიგეს - მაკედონიასთან, მალტასთან და ალბანეთთან და პლეი ოფში გავიდნენ.

მეოთხედფინალში ხორვატიასთან წაგების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა მოტივაცია დაკარგა და პოლონეთთან გამართული V-VIII ადგილების გასანაწილებელი საკვალიფიკაციო მატჩი პოლონეთთან“ 71:90 დათმო. ტურნირის ბოლო შეხვედრაში ქართველებმა პორტუგალია 61:53 დაამარცხეს და შეჯიბრი მე-7 ადგილზე დაასრულეს.

შედეგები

ჯგუფური ეტაპი - ჯგუფი C

14.07.17

გუნდი	ანგ
საქართველო	51
რუმინეთი	63

15.07.17

გუნდი	ანგ
მალტა	69
საქართველო	90

ჯგუფური ეტაპი - ჯგუფი C

16.07.17

გუნდი	ანგ
საქართველო	78
მაკედონია	48

18.07.17

გუნდი	ანგ
ალბანეთი	53
საქართველო	102

მეოთხედფინალი

21.07.17

გუნდი	ანგ
ხორვატია	74
საქართველო	71

22.07.17 5-8 ადგილები

გუნდი	ანგ
პოლონეთი	91
საქართველო	70

22.07.17 7-8 ადგილები

გუნდი	ანგ
საქართველო	61
პორტუგალია	53

სატურნირო ცხრილი

ჯგუფი C		თამაში				ბურთების შეფარდება					ქულა
	გუნდი	თ	მ	წ	%	ჩაგდებ.	მიღებ.	+/-	საშ. ჩაგდებ.	საშ. მიღებ.	
1	რუმინეთი	4	4	0	100	289	226	63	72.2	56.5	8
2	საქართველო	4	3	1	75.0	321	233	88	80.2	58.2	7
3	მაკედონია	4	2	2	50.0	272	260	12	68	65	6
4	ალბანეთი	4	1	3	25.0	246	299	-53	61.5	74.8	5
5	მალტა	4	0	4	0	255	365	-110	63.8	91.2	4

ადგილები გუნდების მიხედვით

1	რუმინეთი	6	ბელგია
2	ხორვატია	7	საქართველო
3	დიდი ბრიტანეთი	8	პორტუგალია
4	რუსეთი	9	ფინეთი
5	პოლონეთი	10	ნიდერლანდები

შემადგენლობა

4	დავით აფხაზავა	უკანახაზელი	183 სმ	02.06.1998
7	ლევან ბაბილოძე	ფორვარდი	198 სმ	24.07.1998
13	დავით ლომიძე	უკანახაზელი	192 სმ	13.01.1997
14	ვილი ისიანი	ფორვარდი	202 სმ	11.08.1997
15	ნიკა დარბაიძე	ფორვარდი	204 სმ	03.03.1998
17	ლუკა გიორგაძე	ფორვარდი	197 სმ	01.01.1997
19	გიორგი ქავთარაძე	უკანახაზელი	196 სმ	17.04.1997
23	გიორგი კორსანტია	ფორვარდი	201 სმ	11.01.1998
25	ალექსანდრე ფევაძე	ფორვარდი	202 სმ	15.04.1998
31	რატი ნუცუბიძე	ფორვარდი	202 სმ	13.12.1997
35	გოგა ბითაძე	ცენტრი	210 სმ	20.07.1999
71	ლევან გოგალაძე	უკანახაზელი	197 სმ	16.10.1997

გუნდის ლიდერები

	მოთამაშე	კატეგორია	საშუალო
	გოგა ბითაძე	ეფექტურობის კოეფიციენტი	14.0
	გიორგი კორსანტია	ეფექტურობის კოეფიციენტი	11.9
	ალექსანდრე ფევაძე	ეფექტურობის კოეფიციენტი	11.9
	დავით ლომიძე	ქულა	11.9
	დავით აფხაზავა	ქულა	10.9
	გოგა ბითაძე	ქულა	10.9
	გოგა ბითაძე	მოხსნა	6.3
	გიორგი კორსანტია	მოხსნა	5.9
	ვილი ისიანი	მოხსნა	4.2
	დავით აფხაზავა	პასი	3.6
	გოგა ბითაძე	პასი	2.3
	ლევან გოგალაძე	პასი	1.6

საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

მთ. მწვრთნელი: ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი

		თამ	წუთ	ქულა	სთ.	2 ქულა	3 ქულა	FT	შეტ. მოხს.	დაცვ. მოხს.	მოხს.	პას	პჯ	დაკ	ჩაჭრა	ბლ	+/-	ეფექტ
4	დ.აფხაზავა	7	27.7	10.9	4.6/10.045.7%	4.1/8.648.3%	0.4/1.430%	1.3/2.356.2%	0.1	2.3	2.4	3.6	2.6	2.9	1.6	0.0	9.0	9.1
7	ლ.ბაბილოძე	4	23.4	9.5	4.0/9.243.2%	3.5/7.248.3%	0.5/2.025%	1.0/2.244.4%	0.8	2.0	2.8	1.5	2.0	1.5	2.0	0.3	-4.0	8.0
13	დ.ლომიძე	7	24.1	11.9	3.7/9.738.2%	1.1/2.644.4%	2.6/7.136%	1.9/3.159.1%	0.0	3.7	3.7	1.4	1.4	2.0	0.7	0.3	1.4	8.7
14	ვ.ისიანი	5	15.8	4.8	1.6/6.026.7%	1.0/3.627.8%	0.6/2.425%	1.0/1.662.5%	1.6	2.6	4.2	1.4	1.0	1.2	1.2	0.0	-4.6	5.4
15	ნ.დარბაიძე	7	17.4	5.9	2.0/4.643.8%	1.4/2.458.8%	0.6/2.126.7%	1.3/1.775%	0.6	3.0	3.6	0.7	0.9	0.9	0.9	0.0	7.0	7.1
17	ლ.გიორგაძე	7	16.9	3.0	1.0/2.343.8%	0.4/1.333.3%	0.6/1.057.1%	0.4/0.675%	0.4	1.3	1.7	0.7	0.7	1.0	1.0	0.0	7.3	4.0
19	გ.ქავთარაძე	6	14.2	2.0	0.7/2.526.7%	0.5/1.337.5%	0.2/1.214.3%	0.5/0.860%	0.3	0.5	0.8	1.3	1.7	0.7	0.7	0.3	4.8	2.3
23	გ.კორსანტია	7	16.5	6.7	3.0/5.060%	3.0/4.961.8%	0.0/0.10%	0.7/2.133.3%	2.3	3.6	5.9	1.1	2.9	1.3	1.7	1.1	7.0	11.9
25	ა.ფევაძე	7	18.5	8.6	3.4/5.364.9%	2.7/3.676%	0.7/1.741.7%	1.0/1.663.6%	1.1	2.9	4.0	0.9	1.9	0.7	1.1	0.4	9.7	11.9
31	რ.ნუცუბიძე	3	14.1	5.7	2.3/4.353.8%	1.7/2.371.4%	0.7/2.033.3%	0.3/0.3100%	0.7	1.0	1.7	1.3	0.7	0.7	1.7	0.7	5.3	8.3
35	გ.ბითაძე	7	22.8	10.9	3.9/6.460%	3.3/5.362.2%	0.6/1.150%	2.6/4.064.3%	1.7	4.6	6.3	2.3	4.3	2.9	0.4	1.0	7.4	14.0
71	ლ.გოგალაძე	7	13.2	4.0	1.1/3.038.1%	1.0/2.146.7%	0.1/0.916.7%	1.6/2.757.9%	0.3	2.0	2.3	1.6	1.4	1.4	0.3	0.1	1.7	3.9
	გუნდი								1.1	2.6	3.7	0.0	0.0	0.6	0.0	0.0	0.0	0.0
	სულ		200.0	74.7	27.7/ 59.946.3%	21.0/ 39.653.1%	6.7/ 20.333.1%	12.6/ 21.458.7%	9.9	29.7	39.6	15.9	19.6	16.1	11.0	3.7	51.4	84.6

საერთაშორისო ბიზნეს დაჯილდოვების პირველი გამარჯვებული ქართული კომპანია



PSP

THE MEMBER OF PSP GROUP



პსპ - ნოვატორი და ლიდერი კომპანიაა.

წელს პსპ-მ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და პირველი ქართული კომპანია გახდა, რომელმაც მსოფლიოს ყველაზე რეიტინგული ბიზნეს ჯილდო - „სტივი ევორდსი“ მიიღო. სტივი ევორდს ბიზნესის ოსკარსაც უწოდებენ.

23 წლიანი ისტორიის მანძილზე პსპ ქართველი მომხმარებლისათვის ხარისხის გარანტია.

2016 წელს განხორციელებული რებრენდინგის პროექტმა ქართველი მომხმარებელის და უცხოელი სტუმრების დიდი მოწონება დაიმსახურა.

საერთაშორისო ჟიურის შეფასებით: პსპ-ს რებრენდინგის პროექტის ყველა დეტალი მოხმარებელზე ზრუნვის ელემენტებზეა აგებული და მთლიანად დარგს განვითარებისკენ უბიძგებს.

წარმატებული რებრენდინგის პროექტი ბრიტანელებთან თანამშრომლობით შეიქმნა და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა ახალი კონცეფციით - „პსპ“- უფრო მეტი ვიდრე აფთიაქი.

საქართველოს ფარმაცევტულ სექტორში პე-ეს-პე იყო პირველი კომპანია, რომელმაც ევროპელ მწარმოებლებთან დაამყარა ურთიერთობა და ამ ურთიერთობებში წამყვანი საქართველოს მოსახლეობის ინტერესი გახლდათ.

23 წლის მანძილზე კომპანიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფარმაცევტული დარგის შექმნასა და განვითარებაში, რასაც ყოველდღიური საქმიანობით კვლავაც განაგრძობს.

PSP -ს 200-ზე მეტი აფთიაქი თბილისის ყველა უბანსა და საქართველოს რეგიონულ ცენტრებში მომხმარებელს 30000-ზე მეტი დასახელების გარანტირებული ხარისხის პროდუქციას სთავაზობს ყველაზე ხელმისაწვდომ ფასად.







‘PSP’ 2007 წლიდან ატარებს წამახალისებელ გათამაშებას ერთგული მომხმარებლისთვის. გათამაშების ფარგლებში მომხმარებლები სოლიდურ პრიზებს იღებენ და ამასთან მუდმივად საიტერესო აქციებისთ სარგებლობენ ნებისმიერ აფთიაქში. წელს, 14 სექტემბერს მე-20 საიუბილეო გათამაშება შედგა რადგან PSP ბარათი იუბილარია, 10 წელი შეუსრულდა.

ხარისხის გარანტი 1994 წლიდან!

PSP №1 · GMP · NEW HOSPITALS · PSP დაზღვევა · PSP PHARMA პსპ ფარმა

www.psponline.ge · www.psp.ge · www.fb.com/psp.ge · (032) 2 40 20 20 · *20 20


CHERNOKOZHEV
15
GEORGIA
33
GEORGIA
77
GEORGIA
7
GEORGIA
10
GEORGIA
9
GEORGIA
13
GEORGIA
11
GEORGIA
23
GEORGIA
7
GEORGIA
2
GEORGIA
33
GEORGIA
4
GEORGIA
30
GEORGIA
0



FIBA
U18 EUROPEAN CHAMPIONSHIP
TALLINN, DIVISION B
28 JULY - 6 AUGUST 2017

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები

18-წლამდელთა ნაკრებმა 2017 წლის ევროპის ჩემპიონატზე დასამახსოვრებელს ვერაფერს მიაღწია. ამ თაობაში ვერ შეიკრიბა ის შემადგენლობა, ევროპულ ასპარეზზე საკუთარი სიტყვა რომ ეთქვა. არჩილ ჟღენტმა ასისტენტ მიხეილ კობეშავიძესთან ერთად ცდა არ დააკლო, მაგრამ კონტინენტის რანგით მეორე დივიზიონში ღირსსახსოვარ შედეგს ვერ მიაღწია.

18-წლამდელთა „ბ“ დივიზიონს ესტონეთის დედაქალაქმა ტალინმა უმასპინძლა, სადაც 24 ქვეყნის ნაკრები შეიკრიბა და იმ 3 საგზურისთვის იბრძოლა, რომლითაც 2018 წელს ელიტარულ - „ა“ დივიზიონში იასპარეზებდა. საქართველო ჯგუფში მომავალ ჩემპიონ ხორვატიასთან, ისლანდიასთან, ბელარუსთან, ბულგარეთთან და უნგრეთთან მოხვდა. მომდევნო ეტაპზე - პლეი ოფში - 2 საუკეთესო გადიოდა, თუმცა საქართველომ ჯგუფის ყველა შეხვედრა წააგო, ბოლო ადგილი დაიკავა და საკვალიფიკაციო ეტაპზე გადაინაცვლა 17-24 ადგილებისთვის საბრძოლველად.

ქართველებმა საკვალიფიკაციოს საწყისი 2 მატჩი მოიგეს: ჯერ ლუქსემბურგს სძლიეს 62:44, შემდეგ კი შვეიცარიასაც აჯობეს (76:62) და „ბ“ დივიზიონში მე-17 ადგილისთვის მატჩში მონაწილეობის უფლება მიიღეს. ტურნირის ბოლო შეხვედრა ქართველებმა ავსტრიასთან დაძაბულ ბრძოლაში - 72:76 დათმეს და საბოლოოდ მე-18 ადგილი დაიკავეს.

18-წლამდელთა ნაკრები მომავალ წელს უფრო ძლიერი იქნება, რადგან გუნდი 16-წლამდელთა ნაკრების რამდენიმე კალათბურთელით შეივსება. ამ ნაკრებმა კი 2017 წელს „ა“ დივიზიონის საგზური მოიპოვა.

შედეგები

ჯგუფური ეტაპი ჯგუფი B		
28.07.17		
გუნდი		ანგ
ისლანდია		92
საქართველო		79
29.07.17		
გუნდი		ანგ
საქართველო		63
ბელარუსი		87

ჯგუფური ეტაპი ჯგუფი B		
30.07.17		
გუნდი		ანგ
ხორვატია		62
საქართველო		49
01.08.17		
გუნდი		ანგ
საქართველო		62
ბულგარეთი		83

ჯგუფური ეტაპი ჯგუფი B		
02.08.17		
გუნდი		ანგ
საქართველო		59
უნგრეთი		66
04.08.17	17-24 ადგილები	
გუნდი		ანგ
ლუქსემბურგი		44
საქართველო		62
05.08.17	17-20 ადგილები	
გუნდი		ანგ
საქართველო		76
შვეიცარია		62
06.08.17	17-18 ადგილები	
გუნდი		ანგ
საქართველო		86
ავსტრია		82

სატურნირო ცხრილი

ჯგუფი B		თამაში				ბურთების შეფარდება					ქულა
	გუნდი	თ	მ	წ	%	ჩაგდებ.	მიღებ.	+/-	საშ. ჩაგდებ.	საშ. მიღებ.	
1	ხორვატია	5	5	0	100	359	272	87	71.8	54.4	10
2	ბულგარეთი	5	3	2	60.0	380	373	7	76	74.6	8
3	ისლანდია	5	3	2	60.0	365	374	-9	73	74.8	8
4	უნგრეთი	5	2	3	40.0	357	384	-27	71.4	76.8	7
5	ბელარუსი	5	2	3	40.0	410	380	30	82	76	7
6	საქართველო	5	0	5	0	312	400	-88	62.4	80	5



FIBA U18 EUROPEAN CHAMPIONSHIP
TALLINN, DIVISION B

შემადგენლობა

0	ოთარ პერტაია	უკანახაზელი	180 სმ	29.02.2000
2	ნიკა ჩეჩელაშვილი	უკანახაზელი	190 სმ	09.10.1999
4	ვლადიმერ ალავიძე	ფორვარდი	193 სმ	20.07.1999
7	კახა ჟღენტი	უკანახაზელი	193 სმ	21.03.2000
9	ზურაბ ჟღენტი	ცენტრი	203 სმ	24.10.2000
10	ცოტნე ცარციძე	ფორვარდი	200 სმ	28.03.2000
11	ივანე მეგენეიშვილი	ფორვარდი	199 სმ	22.01.1999
13	ლუკა კალატოზიშვილი	ფორვარდი	192 სმ	01.03.1999
23	აკაკი ფიფია	ფორვარდი	194 სმ	20.01.1999
30	ვახტანგ გაფრინდაშვილი	ფორვარდი	192 სმ	27.04.1999
33	ალექსანდრე კაკუბერი	უკანახაზელი	182 სმ	27.10.1999
77	ნიკოლოზ მეცხვარიშვილი	ფორვარდი	200 სმ	10.10.1999

გუნდის ლიდერები

	მოთამაშე	კატეგორია	საშუალო
	ნიკა მეცხვარიშვილი	ეფექტურობის კოეფიციენტი	17.8
	ლუკა კალატოზიშვილი	ეფექტურობის კოეფიციენტი	10.9
	ოთარ პერტაია	ეფექტურობის კოეფიციენტი	7.4
	ოთარ პერტაია	ქულა	11.1
	ნიკა ჩეჩელაშვილი	ქულა	10.9
	ნიკა მეცხვარიშვილი	ქულა	10.4
	ნიკა მეცხვარიშვილი	მოხსნა	10.4
	ლუკა კალატოზიშვილი	მოხსნა	6.6
	ცოტნე ცარციძე	მოხსნა	4.6
	ალექსანდრე კაკუბერი	პასი	2.3
	ნიკა ჩეჩელაშვილი	პასი	2.0
	ნიკა მეცხვარიშვილი	პასი	1.6

საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები

მთ. მწვრთნელი: გიორგი კაზანჯიანი

		თამ	წუთ	ქულა	სთ.	2 ქულა	3 ქულა	FT	შეტ. მოხს.	დაცვ. მოხს.	მოხს.	პას	პჯ	დაკ	ჩაჭრა	ბლ	+/-	ეფექტ
0	ო.პერტაია	8	27.5	11.1	4.5/12.236.7%	3.4/6.949.1%	1.1/5.420.9%	1.0/1.0100%	1.1	2.3	3.4	1.4	1.6	2.4	1.6	0.0	-8.8	7.4
2	ნ.ჩეჩელაშვილი	8	24.7	10.9	4.1/11.535.9%	3.4/9.236.5%	0.8/2.233.3%	1.9/3.160%	0.6	1.4	2.0	2.0	2.4	2.0	0.6	0.1	-5.9	5.0
4	ვ.ალავიძე	8	10.4	4.9	1.6/4.933.3%	0.8/1.646.2%	0.9/3.226.9%	0.8/1.075%	0.3	0.9	1.1	0.4	0.6	0.8	0.3	0.0	-0.8	2.4
7	კ.ჟღენტი	8	20.7	7.4	3.0/8.236.4%	2.6/6.540.4%	0.4/1.821.4%	1.0/2.638.1%	0.3	1.9	2.1	1.5	2.0	3.1	1.5	0.1	-1.1	2.6
9	ზ.ჟღენტი	7	6.3	1.9	0.7/1.450%	0.7/1.071.4%	0.0/0.40%	0.4/0.950%	0.6	1.1	1.7	0.4	1.9	0.6	0.3	0.0	-0.4	2.6
10	ც.ცარციძე	8	25.3	5.0	2.2/5.938.3%	1.9/5.037.5%	0.4/0.942.9%	0.1/0.525%	2.8	1.9	4.6	0.3	2.0	1.1	0.8	0.4	-9.1	5.9
11	ი.მეგენეიშვილი	1	6.0	2.0	1.0/5.020%	1.0/3.033.3%	0.0/2.00%	0.0/0.0-%	0.0	0.0	0.0	0.0	1.0	0.0	0.0	0.0	2.0	-2.0
13	ლ.კალატოზიშვილი	7	18.9	4.7	2.1/4.151.7%	2.1/4.053.6%	0.0/0.10%	0.4/0.760%	2.6	4.0	6.6	0.9	2.7	1.1	1.9	0.3	0.4	10.9
23	ა.ფიფია	8	14.7	5.6	2.0/5.536.4%	1.1/2.545%	0.9/3.029.2%	0.8/1.166.7%	0.6	1.1	1.8	1.4	0.9	2.0	1.4	0.0	-3.5	4.3
30	ვ.გაფრინდაშვილი	8	13.3	4.6	2.0/8.822.9%	1.5/4.831.6%	0.5/4.012.5%	0.1/0.250%	1.0	1.3	2.3	0.3	1.5	2.3	0.8	0.0	-4.0	-1.3
33	ა.კაკუბერი	8	12.7	0.6	0.1/0.525%	0.0/0.20%	0.1/0.250%	0.2/0.833.3%	1.3	1.6	2.9	2.3	1.4	1.5	1.1	0.0	0.6	4.5
77	ნ.მეცხვარიშვილი	8	27.7	10.4	4.0/9.044.4%	3.8/7.848.4%	0.2/1.220%	2.1/3.265.4%	4.3	6.1	10.4	1.6	2.8	1.0	1.4	1.1	-5.1	17.8
	გუნდი								3.6	3.1	6.8	0.0	0.0	0.5	0.0	0.0	0.0	0.0
	სულ		199.9	66.5	26.2/ 72.036.5%	21.0/ 49.242.6%	5.2/ 22.823.1%	8.8/ 15.058.3%	18.5	26.0	44.5	12.1	19.3	18.1	11.3	2.0	-37.4	60.0



იცხოვრე სპორტით,
დარჩი ახალგაზრდა!

www.msy.gov.ge

facebook.com/sport.youth.georgia/


NEDERLAND
13
HELLAS
NEDERLAND
14
EUROPEAN CHA
FIBA
GEORGIA
32
GEORGIA
5
GEORGIA
23
GEORGIA
6
GEORGIA
13
GEORGIA
10
GEORGIA
35
GEORGIA
4
GEORGIA
3
GEORGIA
15
GR Georgian Railway



FIBA
U16 EUROPEAN CHAMPIONSHIP
BULGARIA, DIVISION B

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები

სიმბოლურია და ქართული კალათბურთის ნათელ მომავალზე მიუთითებს, რომ ევროპის ჩემპიონატებზე მოასპარეზე ასაკობრივ ნაკრებთაგან ყველაზე ახალგაზრულმა - 16-წლამდელთა ნაკრებმა მოახერხა ელიტარულ დივიზიონში გადასვლა. საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ გუნდისთვის ყველა პირობა შეიქმნა, რამაც ლოგიკური შედეგი მოიტანა: ბუბა ბერიშვილის, ტიხომირ ბუიანისა და თემურ კანკიას გაწვრთნილმა ნაკრებმა, რომლებსაც დიდი დახმარება გაუწიეს გუნდის მენეჯერებმა და ექიმებმა, ბულგარეთში გამართულ „ბ“ დივიზიონში მე-3 ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედლებთან ერთად მოიგო გაცილებით ძვირფასი - 2018 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური.

საქართველოს ნაკრებმა გადამწყვეტი მატჩი დიდ ბრიტანეთს მოუგო, რომელთანაც ჯგუფში დიდი სხვაობით დამარცხდა. არადა, მე-3 ადგილისთვის მატჩიც თითქმის წაგებული იყო. მართალია, მე-3 პერიოდში 18 ქულით ჩამორჩენილმა ქართველებმა ჩამორჩენა აღმოფხვრეს და წინაც გავიდნენ, თუმცა ბოლო წუთებზე ბრიტანელებმა კვლავ იძალეს და საფინალო სირენამდე 25 წამით ადრე 5 ქულით დაწინაურდნენ.

მატჩის ბედი ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ქართველები არ დანებდნენ, ტაქტიკური ჯარიმებისა და ზუსტი შეტევების წყალობით საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეს. შეხვედრის დასრულებამდე 8 წამით ადრე ქულით მოლიდერე ბრიტანელებმა ორივე საჯარიმო ააცილეს, ბურთი მატჩის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ, ლაშა მიქელაძემ მოხსნა, რატი ანდრონიკაშვილს გადააწოდა და ჩვენი ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა მთელი მოედნის გადასერვის შემდეგ საფინალო სირენამდე 2 წამით ადრე გამარჯვების ბურთი ჩააგდო.

საქართველოს ნაკრების კალათბურთელებმა გამარჯვება დიდი სიხარულით აღნიშნეს. ქართველებს გამარჯვება მიულოცა ბულგარეთში საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა ზურაბ ბერიძემ, რომელიც ჩვენს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე ყოფნის პერიოდში დიდად დაეხმარა.


TABAGHUA
10
MERKVILADZE
24
GEORGIA
32
HOME
GUESTS
FIBA U16
CHAMPIONSHIP 2017 DIVISON B



ქართველ 16-წლამდელებს ევროპის ჩემპიონატის A დივიზიონში 11 წელია, არ უთამაშიათ. 2006 წელს „ბ“-დან „ა“ დივიზიონში ჩვენი ნაკრები მწვრთნელ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის ძალისხმევით გადავიდა. 16-წლამდელები მალევე დაუბრუნდნენ ევროპის საშუალო დივიზიონს და მთელი ამ ხნის განმავლობაში ბევრს ცდილობდნენ, მაგრამ ელიტაში აღზევებას ვერ ახერხებდნენ. საქართველოს ასაკობრივ ნაკრებთა შორის ეს პატივი წილად ხვდათ დავით უსტიაშვილის გაწვრთნილ 20-წლამდელებს, რომლებმაც B დივიზიონი 2006 და 2011 წელს მოიგეს.

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების წარმატებას წლების წინ ჩაეყარა საფუძველი. 2001 წელს დაბადებულმა ახალგაზრდებმა კალათბურთის ეროვნული ფედერაციის რამდენიმე ფუნდამენტურ პროექტში მიიღეს მონაწილეობა, სწორი განვითარება და დიდი გამოცდილება მიიღეს და ეს შედეგიც ლოგიკურია. 3 წლის წინ, 2001 წელს დაბადებულთა ნაკრებით საქართველო პირველად ჩაერთო ევროპის ახალგაზრდულ ლიგაში, სადაც სეზონის განმავლობაში 20-მდე მატჩი გამართა. იმ პერიოდში ამოქმედდა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციისა და ესპანური „სასკი ბასკონიას“ ერთობლივი პროექტი, რომლის ფარგლებშიც 16-წლამდელთა ნაკრების წევრთა დიდი უმრავლესობა იმყოფებოდა ვიტორიაში, ევროპის ერთ-ერთ ყველაზე გამართულ კლუბ „ბასკონია-ში“, სადაც კლასი აიმაღლეს და დიდი გამოცდილება შეიძინეს.

ქართველებს ელიტარული დივიზიონის საგზურის მოგება ვადაზე ადრე შეეძლოთ, თუმცა ნახევარფინალური შეხვედრა ჰოლან-დიასთან ბოლო წუთებზე, დასანანად დათმეს და ფინალში ვერ გავიდნენ. მთლიანობაში კი ქართველებმა ბულგარეთში ჩატარებულ ევროჩემპი-ონატის „ბ“ დივიზიონში 8 შეხვედრა გამართეს, საიდანაც 6 მოიგეს.

ევროპის 2018 წლის ჩემპიონატის კენჭისყრა ნოემბერში გაიმართება, რის შემდეგაც საქართველოს ნაკრების მეტოქეები გაირკვევა.

შედეგები

ჯგუფური ეტაპი ჯგუფი B

10.08.17

გუნდი	ანგ
მაკედონია	53
საქართველო	88

11.08.17

გუნდი	ანგ
საქართველო	58
დიდი ბრიტანეთი	85

ჯგუფური ეტაპი ჯგუფი B

12.08.17

გუნდი	ანგ
პორტუგალია	58
საქართველო	90

14.08.17

გუნდი	ანგ
საქართველო	77
ლუქსემბურგი	38

ჯგუფური ეტაპი ჯგუფი B

15.08.17

გუნდი	ანგ
საქართველო	77
კოსოვო	48

17.08.17 მეოთხედფინალი

გუნდი	ანგ
ჩეხეთი	51
საქართველო	65

18.08.17 ნახევარფინალი

გუნდი	ანგ
ჰოლანდია	67
საქართველო	62

19.08.17 მესამე ადგილი

გუნდი	ანგ
დიდი ბრიტანეთი	63
საქართველო	64

სატურნირო ცხრილი

	ჯგუფი B	თამაში				ბურთების შეფარდება					ქულა
	გუნდი	თ	მ	წ	%	ჩაგდებ.	მიღებ.	+/-	საშ. ჩაგდებ.	საშ. მიღებ.	
1	დიდი ბრიტანეთი	5	5	0	100	377	242	135	75.4	48.4	10
2	საქართველო	5	4	1	80.0	380	283	97	76	56.6	9
3	პორტუგალია	5	3	2	60.0	318	309	9	63.6	61.8	8
4	მაკედონია	5	2	3	40.0	290	369	-79	58	73.8	7
5	კოსოვო	5	1	4	20.0	269	314	-45	53.8	62.8	6
6	ლუქსემბურგი	5	0	5	0	258	375	-117	51.6	75	5

ადგილები გუნდების მიხედვით

1	საბერძნეთი	6	ბელგია
2	ჰოლანდია	7	უნგრეთი
3	საქართველო	8	ჩეხეთი
4	დიდი ბრიტანეთი	9	ბელარუსი
5	უკრაინა	10	პოლონეთი

შემადგენლობა

3	ნიკა გურგენიძე	უკანახაზელი	186 სმ	14.01.2001
4	რატი ანდრონიკაშვილი	უკანახაზელი	190 სმ	19.03.2001
5	საბა გიგიბერია	ცენტრი	205 სმ	01.10.2001
6	გიორგი ჭეიშვილი	ფორვარდი	192 სმ	01.03.2001
10	გიგი ტაბაღუა	უკანახაზელი	190 სმ	10.05.2001
13	ზურაბ ვაშაკიძე	ფორვარდი	190 სმ	10.08.2002
15	ირაკლი სულხანიშვილი	ფორვარდი	195 სმ	13.06.2001
23	ვლადიმერ თავაქარაშვილი	ფორვარდი	196 სმ	23.05.2002
24	ალექსანდრე მერკვილაძე	ფორვარდი	201 სმ	11.03.2002
32	ბიძინა ფეიქრიშვილი	ფორვარდი	196 სმ	14.07.2001
35	ბექა ბექაია	უკანახაზელი	181 სმ	13.07.2001
69	ლაშა მიქელაძე	ცენტრი	201 სმ	26.06.2001

გუნდის ლიდერები

	მოთამაშე	კატეგორია	საშუალო
	ირაკლი სულხანიშვილი	ეფექტურობის კოეფიციენტი	9.1
	რატი ანდრონიკაშვილი	ეფექტურობის კოეფიციენტი	9.0
	ლაშა მიქელაძე	ეფექტურობის კოეფიციენტი	8.6
	რატი ანდრონიკაშვილი	ქულა	13.0
	ლაშა მიქელაძე	ქულა	12.1
	ირაკლი სულხანიშვილი	ქულა	11.8
	ლაშა მიქელაძე	მოხსნა	6.4
	ვლადიმერ თავაქარაშვილი	მოხსნა	6.3
	ირაკლი სულხანიშვილი	მოხსნა	5.8
	რატი ანდრონიკაშვილი	პასი	3.5
	ირაკლი სულხანიშვილი	პასი	2.4
	ვლადიმერ თავაქარაშვილი	პასი	2.0

საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები

მთ. მწვრთნელი: ანატოლი ბერიშვილი

		თამ	წუთ	ქულა	სთ.	2 ქულა	3 ქულა	FT	შეტ. მოხს.	დაცვ. მოხს.	მოხს.	პას	ბჭ	დაკ	ჩაჭრა	ბლ	+/-	ეფექტ
3	ნ. გურგენიძე	5	6.4	1.8	0.0/0.40%	0.0/0.40%	0.0/0.0-%	1.8/2.090%	0.2	0.6	0.8	0.2	1.8	1.6	0.2	0.0	2.8	1.0
4	რ. ანდრონიკაშვილი	8	23.8	13.0	5.0/9.254.1%	4.5/7.659%	0.5/1.630.8%	2.5/4.457.1%	0.6	2.1	2.8	3.5	1.9	3.8	2.8	0.5	9.8	9.0
5	ს გიგიბერია	8	8.2	2.1	0.6/1.638.5%	0.6/1.638.5%	0.0/0.0-%	0.9/1.946.7%	1.4	2.1	3.5	0.0	1.3	0.8	0.5	0.9	-0.5	3.6
6	გ. ჭეიშვილი	7	22.0	7.4	2.4/6.935.4%	0.7/1.355.6%	1.7/5.630.8%	0.9/1.175%	0.3	1.3	1.6	0.7	1.1	1.1	0.7	0.1	5.3	4.1
10	გ. ტაბაღუა	8	12.7	3.5	0.9/1.850%	0.5/1.240%	0.4/0.575%	1.4/1.591.7%	1.0	2.3	3.3	1.8	1.9	1.9	0.9	0.1	1.3	4.6
13	ზ. ვაშაკიძე	8	16.5	3.3	1.0/4.522.2%	0.2/2.111.8%	0.8/2.431.6%	0.5/0.866.7%	0.6	1.9	2.5	1.0	0.9	0.3	0.3	0.0	3.4	2.0
15	ი. სულხანიშვლი	8	28.0	11.8	4.0/11.534.8%	1.9/3.062.5%	2.1/8.525%	1.6/2.661.9%	1.8	4.0	5.8	2.4	2.3	2.1	1.9	0.0	15.3	9.1
23	ვ. თავქარაშვილი	8	20.3	4.4	1.2/2.943.5%	1.1/2.250%	0.1/0.620%	1.8/2.473.7%	2.0	4.3	6.3	2.0	1.8	1.3	0.5	0.1	9.6	8.1
24	ა. მერკვლაძე	8	13.0	5.8	1.9/4.938.5%	1.9/4.541.7%	0.0/0.40%	2.0/3.853.3%	1.6	3.3	4.9	1.3	1.8	1.8	1.0	0.3	3.4	4.3
32	ბ. ფეიქრიშვლი	8	14.0	4.4	1.4/3.144%	0.5/1.144.4%	0.9/2.043.8%	0.8/1.075%	0.8	3.0	3.8	1.4	1.1	1.4	0.6	0.1	3.0	2.4
35	ბ. ბექაია	8	15.0	3.5	1.0/3.627.6%	0.8/1.260%	0.2/2.410.5%	1.2/1.966.7%	0.6	0.9	1.5	0.5	1.8	1.1	1.3	0.0	5.0	1.6
69	ლ. მიქელაძე	8	25.2	12.1	4.5/8.453.7%	4.5/7.659%	0.0/0.80%	3.1/5.259.5%	2.6	3.8	6.4	1.6	3.4	2.4	0.3	0.0	10.4	8.6
	გუნდი								0.8	3.4	4.1	0.0	0.3	1.3	0.0	0.0	0.0	0.0
	სულ		199.9	71.4	23.6/ 57.840.9%	17.1/ 33.850.7%	6.5/ 24.027.1%	17.6/ 27.663.8%	14.1	32.4	46.5	16.1	20.3	19.9	10.6	2.1	66.9	57.6

1890
ᲓᲘᲓᲔᲑᲐ - ESTABLISHED

BORJOMI



www.borjomi.com

ევროპის ახალგაზრდული ლიგა

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გადაწყვეტილებით, გასულ სეზონში ევროპის ახალგაზრდულ ლიგაში საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებიც ჩაერთო. აღნიშნულ ტურნირში წლების მანძილზე მონაწილეობდნენ საქართველოს 13 და 14 წლამდელთა ნაკრებები და ახალგაზრდულის დამატების შემდეგ ევროპის ლიგაში საქართველოს ჩართულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა პირველივე ცდაზე სოლიდურ შედეგს მიაღწია. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილი გუნდი ევროპის წარმომადგენლობით ლიგაში მე-3 ადგილზე გავიდა, თუმცა ჩემპიონობამდეც არ იყო შორს, რომ არა მოსკოვში, მასპინძელი გუნდის მიმართ სიმპათიით განმსჭვალული მსაჯები. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები პირველად ჩაება ევროპის ახალგაზრდულ ლიგაში, სადაც მანამდე 2001, 2002 და 2003 წლებში დაბადებულები სისტემატიურად ასპარეზობდნენ. როგორც ყველა დანარჩენმა გუნდმა, 20-წლამდელებმაც 3 ტური ჩაატარეს - შემოდგომაზე, ზამთარსა და გაზაფხულზე, რომელთა განმავლობაშიც 15 მატჩი გამართეს და 11 მოიგეს.

3	2004	სტუ-ჯეოსელი - დინამო	111:102
4	2005	ავიამშენი - თსუ-ნიკორა	88:77
5	2006	ენერჯი ინვესტი - ავიამშენი	85:69
6	2007	ენერჯი ინვესტი - ვითა	88:66
7	2008	ენერჯი ინვესტი - აგრარული	101:73
8	2009	ენერჯი ინვესტი - თსუ	91:69
9	2010	ენერჯი ინვესტი - შსს	72:60
10	2011	შსს - ქუთაისი	75:93
11	2012	არმია - შსს აკადემია	68:57
12	2013	სოხუმი - არმია	84:57
13	2014	რუსთავი - დინამო	72:60
14	2015	ბარსი - ქუთაისი	78:74
15	2016	ქუთაისი - დინამო	63:75

საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები

ქუთაისი

		წ	2 ქულა			3 ქულა			საჯ.			მოხსნა			პას	პშ	დაკ	ჩ	დ	ეფ	ქ
			ჩ	ს	%	ჩ	ს	%	ჩ	ს	%	მ	ს	ჯამ		პშ			პშ		
0	გიორგი ჭეიშვილი	00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
1	ანატოლი ბოისა	29:29	2	2	100.0	2	6	33.3	2	3	66.7	1	2	3	4	3	2	1	0	0	12
2	გოგა ცეკვავა	27:04	0	2	0.0	2	4	50.0	1	2	50.0	2	3	5	2	1	3	3	3	0	7
3	დავით წივწივაძე	00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
4	ზაურ ფაშაევი	31:21	0	0	0.0	3	10	30.0	0	0	0.0	1	3	4	2	1	2	3	1	0	9
6	თეიმურაზ ბაბუნაშვილი	12:14	1	1	100.0	0	2	0.0	0	0	0.0	1	2	3	3	1	1	1	1	0	2
7	ვახტანგ ქადარია	20:25	1	5	20.0	1	1	100.0	4	4	100.0	3	5	8	3	4	2	2	0	1	9
8	გიორგი ცინცაძე	28:13	3	7	42.9	1	9	11.1	4	4	100.0	1	1	2	2	4	7	5	2	1	13
15	გიორგი ბარბაქაძე	05:50	1	1	100.0	0	1	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	3	0	0	1	0	2
20	აკაკი ლომოური	10:41	0	0	0.0	0	3	0.0	0	0	0.0	0	1	1	1	0	0	0	0	0	0
21	დეიან ბიელიჩი	14:03	1	3	33.3	0	0	0.0	1	2	50.0	3	1	4	0	3	2	2	0	0	3
33	ბექა ბექაური	20:40	2	3	66.7	0	1	0.0	2	4	50.0	0	5	5	0	4	3	3	0	1	6
	გუნდი											4	4	8	0	0	0	2	0	0	
	სულ		11	24	45.83	9	37	24.32	14	19	73.68	16	27	43	17	24	22	22	8	3	63

დინამო

		წ	2 ქულა			3 ქულა			საჯ.			მოხსნა			პას	პშ	დაკ	ჩ	დ	ეფ	ქ
			ჩ	ს	%	ჩ	ს	%	ჩ	ს	%	მ	ს	ჯამ		პშ			პშ		
5	დეონტა ვონი	32:25	4	8	50.0	3	5	60.0	2	2	100.0	0	2	2	8	2	4	1	3	2	19
6	ლევან გრძელიძე	16:25	0	1	0.0	0	1	0.0	3	3	100.0	0	2	2	1	2	1	2	0	0	3
7	ნიკა ღურწკაია	09:56	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	2	2	1	2	2	2	0	0	0
9	ილია ლონდარიძე	22:33	8	14	57.1	0	0	0.0	1	2	50.0	0	3	3	1	2	4	0	2	0	17
10	ზურაბ მაჩალაძე	23:22	1	3	33.3	0	0	0.0	0	2	0.0	1	0	1	1	3	2	0	2	1	2
12	ლევან ფაცაცია	00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
13	მიხეილ ჭოჭუა	29:59	1	4	25.0	4	7	57.1	1	2	50.0	0	3	3	4	3	1	1	0	1	15
15	გიორგი რევაზაშვილი	17:50	2	4	50.0	0	1	0.0	0	0	0.0	1	2	3	0	3	0	2	0	0	4
17	მიხეილ ბერიშვილი	25:09	1	2	50.0	2	2	100.0	5	6	83.3	0	5	5	1	0	5	1	1	2	13
21	ნოდარ გოგოძე	22:21	0	2	0.0	0	1	0.0	2	2	100.0	0	2	2	2	5	3	2	1	0	2
	გუნდი											1	3	4	0	0	0	1	0	0	
	სულ		17	38	44.74	9	17	52.94	14	19	73.68	3	24	27	19	22	22	12	9	6	75

GR საქართველოს რკინიგზა
1872-დან

GEORGIAN RAILWAY

გემსახურებით 1872 წლიდან

SERVING YOU SINCE 1872



საქართველოს რკინიგზა
საქართველოს კალათბურთის ეროვნული
ნაკრების, ასაკობრივი ნაკრები გუნდებისა
და სუპერლიგის გენერალური სპონსორი

www.railway.ge


macron
20
15
3
4
2017



ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის მემორიალურ ტურნირს ტრადიციულად ამ ლეგენდარული კალათბურთელების მშობლიურმა ქალაქმა ქუთაისმა უმასპინძლა. ტურნირი 14-18 იანვარს გაიმართა და მასში მონაწილეობა სუპერლიგის 5-მა და „ა“ ლიგის 3-მა გუნდმა მიიღო.

8 გუნდი ჯგუფებში შემდეგნაირად გადანაწილდა: „ა“ ჯგუფი: ქუთაისი, სოხუმი, სეუ, წყალტუბო. „ბ“ ჯგუფი: რუსთავი, კაკტუსი, მგზავრები, არენა. გუნდებმა ერთი წრე ითამაშეს, რის შემდეგაც, პირველზე გასული გუნდები - „ქუთაისი“ და „არენა“ ფინალში გავიდნენ.

„ქუთაისმა“ ჯგუფში სამივე მატჩი მოიგო, ხოლო „არენამ“ ფინალის საგზური დაძაბულ ბრძოლაში მოიპოვა. არენელებთან ერთად „მგზავრებმაც“ და „კაკტუსმაც“ სამიდან 2 მატჩი მოიგეს და ფინალში გამსვლელიც ურთიერთშეხვედრებში ჩაგდებული ბურთებით გადაწყდა.

როგორც აღმოჩნდა, ფინალში გასვლა იყო „არენის“ მაქსიმუმი. „ა“ ლიგის გუნდმა სუპერლიგის ერთ-ერთ ლიდერ „ქუთაისს“ წინააღმდეგობა ვერ გაუწია და უთანასწორო ბრძოლაში 22 ქულით - 58:80 დამარცხდა. გამარჯვებულებს 18 ქულით აკაკი ლომოურმა ულიდერა, 17 ქულა დაგროვდა გიორგი ბარბაქაძის ანგარიშზე, ზაურ ფაშაევმა და დრაგან ტუბაკმა კი 8-8 ქულა გაიფორმეს. არენელთაგან ორმაგი დუბლით (15 ქულა, 16 მოხსნა) შეასრულა ალექსანდრ რიხლიუკმა, როდნერიუს ლუისის ანგარიშზე კი 11 ქულა დაგროვდა.

მატჩის შემდეგ გაიმართა დაჯილდოვების ცერემონიალი. ტრადიციულად, გამოვლინდნენ ტურნირის საუკეთესო უკანახაზელი და ფორვარდი. „ქუთაისის“ წევრ გიორგი ცინცაძეს პრიზი გადასცა ზურაბ საკანდელიძის ძმამ, ანზორ საკანდელიძემ, ხოლო საუკეთესო ფორვარდად დასახელებული გიორგი ბარბაქაძე ნოდარ ქორქიას ბიძაშვილმა - ვეტერანმა კალათბურთელმა, ნოდარ ქორქიამ დააჯილდოვა.

ქუთაისის მერიამ სპეციალური პრიზი დააწესა ჩემპიონი გუნდის გამორჩეული მოთამაშისთვის, რომელიც აკაკი ლომოურს ქალაქის მერმა, შოთა მურღულიამ გადასცა. ტურნირის მთავარი პრიზით - საჩემპიონო თასით ქუთაისელთა ვიცე-კაპიტანი ანატოლი ბოისა ზურაბ საკანდელიძის მეუღლემ, ქალბატონმა მაცაცომ დაასაჩუქრა.

სატურნირო ცხრილი

ჯგუფი A						მ	წ	ბ/შ	ქ	ა
1	ქუთაისი		103:97	84:61	84:65	3	0	271:223	6	1
2	სოხუმი	97:103		89:53	109:97	2	1	295:253	5	2
3	სეუ	61:84	53:89		72:70	1	2	186:243	4	3
4	წყალტუბო	65:84	97:109	70:72		0	3	232:265	3	4

ჯგუფი B						მ	წ	ბ/შ	ქ	ა
1	რუსთავი		70:74	101:104	72:81	0	3	243:259	3	4
2	კაკტუსი	74:70		69:74	75:74	2	1	218:218	5	3
3	მგზავრები	104:101	74:69		84:87	2	1	262:257	5	2
4	არენა	81:72	74:75	87:84		2	1	242:231	5	1

ფინალი

გუნდი	ანგ
ქუთაისი	80
არენა	58

ზ. საკანდელიძის და მ. ქორქიას სახელობის მემორიალის ფინალური შეხვედრები

	წელი	გუნდები	ანგარიში
1	2006	რუსთავი - თსუ	106:77
2	2007	ენერჯი ინვესტი - თსუ	95:75
3	2008	ავიამშენი - ენერჯი ინვესტი	80:78
4	2008	ენერჯი ინვესტი - ნტდ თბილისი	91:60
5	2010	ენერჯი ინვესტი - შსს აკადემია	75:58
6	2011	თსუ - სოხუმი	102:86
7	2012	არმია - შსს აკადემია	99:83
8	2013	ოლიმპი - რუსთავი	80:67
9	2014	დინამო - სოხუმი	80:75
10	2015	შსს აკადემია - რუსთავი	84:79
11	2016	ქუთაისი - სოხუმი	86:57
12	2017	ქუთაისი - არენა	80:58

საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები

ქუთაისი

		წ	2 ქულა			3 ქულა			საჯ.			მოხსნა			პას	პშ	დაკ	ჩ	დ	ეფ	ქ
			ჩ	ს	%	ჩ	ს	%	ჩ	ს	%	მ	ს	ჯამ		პშ			პშ		
0	გიორგი ჭეიშვილი	04:47	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	2	0	0	0	0	0
1	ანატოლი ბოისა	13:03	1	2	50.0	0	1	0.0	5	5	100.0	0	2	2	0	1	2	1	0	0	7
2	გოგა ცეკვავა	19:35	0	1	0.0	2	5	40.0	0	0	0.0	0	1	1	5	1	0	2	2	0	6
3	დავით წივწივაძე	07:43	1	2	50.0	0	1	0.0	0	2	0.0	0	1	1	0	1	1	1	1	0	2
4	ზაურ ფაშაევი	29:16	0	1	0.0	2	4	50.0	2	2	100.0	1	6	7	9	1	1	1	1	0	8
6	თეიმურაზ ბაბუნაშვილი	00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
7	ვახტანგ ქადარია	18:38	1	6	16.7	0	0	0.0	0	0	0.0	2	5	7	3	4	1	3	0	0	2
8	გიორგი ცინცაძე	19:16	1	1	100.0	0	0	0.0	3	6	50.0	0	3	3	2	0	7	5	0	0	5
15	გიორგი ბარბაქაძე	26:20	1	2	50.0	4	10	40.0	3	4	75.0	0	3	3	3	3	5	0	4	0	17
20	აკაკი ლომოური	18:04	3	3	100.0	4	11	36.4	0	0	0.0	1	3	4	0	1	0	3	0	0	18
26	დრაგან ტუბაკი	21:22	2	3	66.7	0	0	0.0	4	4	100.0	3	3	6	2	4	4	2	1	1	8
33	ბექა ბექაური	21:56	2	7	28.6	1	3	33.3	0	0	0.0	1	5	6	1	2	1	1	1	2	7
	გუნდი											1	2	3	0	0	0	0	0	0	
	სულ		12	28	42.86	13	35	37.14	17	23	73.91	9	34	43	25	20	22	19	10	3	80

არენა

		წ	2 ქულა			3 ქულა			საჯ.			მოხსნა			პას	პშ	დაკ	ჩ	დ	ეფ	ქ
			ჩ	ს	%	ჩ	ს	%	ჩ	ს	%	მ	ს	ჯამ		პშ			პშ		
0	ირაკლი სარიშვილი	00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
1	როდნერიუს ლუისი	23:06	4	8	50.0	1	2	50.0	0	0	0.0	0	2	2	1	5	3	1	4	0	11
6	ტატო ჩაჩიბაია	20:54	0	1	0.0	0	0	0.0	3	7	42.9	2	3	5	0	2	5	2	2	0	3
9	კონსტანტინე ბიწაძე	28:27	0	7	0.0	1	4	25.0	2	2	100.0	5	10	15	2	3	2	2	2	1	5
11	გიორგი ყველაშვილი	04:56	0	1	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	1	0	1	1	1	0	1	0	0	0
12	გელა კოპალიანი	04:43	0	0	0.0	0	1	0.0	0	0	0.0	1	0	1	0	1	0	3	0	0	0
17	გიორგი ზანდარაშვილი	00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
21	პიტერ ალექსისი	25:45	3	14	21.4	0	0	0.0	3	4	75.0	4	4	8	1	4	3	2	0	1	9
23	ზურაბ მაისურაძე	05:16	2	2	100.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	1	1	0	0	0	1	0	0	4
32	ალექსანდრე რიხლიუკი	38:25	5	17	29.4	0	1	0.0	5	6	83.3	9	7	16	0	4	4	3	2	2	15
35	სანდრო მეგენეიშვილი	20:05	2	4	50.0	0	2	0.0	1	2	50.0	1	2	3	4	2	1	0	0	0	5
99	მალხაზ აბაიშვილი	28:23	0	1	0.0	2	10	20.0	0	0	0.0	0	1	1	1	1	2	4	2	0	6
	გუნდი											2	1	3	0	0	0	1	0	0	
	სულ		16	55	29.09	4	20	20.00	14	21	66.67	25	31	56	10	23	20	20	12	4	58

უპირატესობა შედეგია ცოდნისა!

ცოდნისა

აუდიტური კონცერნი

უამრავი წარმატება 20 წლის მანძილზე

აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“ 20 წლისაა!



შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“ – საქართველოს კალათბურთის ეროვნული ნაკრების სპონსორი

WWW.TSODNISA.GE



საქართველოს სუპერთასის მფლობელი „დინამო თბილისი“ გახდა. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა დინამოელებმა კოტე ტუღუშის „ქუთაისს“ 83:71 სძლიეს და სეზონის პირველ ტიტულს დაეპატრონნენ.

ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასის გათამაშებამ ფორმატი, უფრო სწორად კი გამართვის დრო შეიცვალა და თუკი აქამდე სეზონის ბოლოს თამაშდებოდა, ამიერიდან დასაწყისში გაიმართება. გასული, 2015-16 წლების სეზონის ჩემპიონი „ქუთაისი“ და თასის მფლობელი „დინამო“ სუპერთასისთვის დაუპირისპირდნენ. ამით სუპერთასის სეზონის დასაწყისში გათამაშებას დაედო ტრადიცია.

დინამოელებმა „ქუთაისს“ 83:71 აჯობეს და ლეგენდარული მწვრთნელის - ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასს დაეპატრონნენ. თანაბარი პირველი პერიოდის შემდეგ, თამაში მეორეშიც თანაბრად წარიმართა, თუმცა ტაიმის მიწურულს დინამოელებმა გუნდური თამაშის წყალობით უპირატესობა მოიპოვეს და ეს ანგარიშშიც ასახეს. დიდი შესვენებისთვის „დინამო“ 46:41 იგებდა და მოედანზე დაბრუნებული კიდევ უფრო დამაჯერებლად ათამაშდა. თბილისელთა ახალწვეულმა, ნიკოლა მარავიჩმა ფარი დაიპყრო, ხოლო პერიმეტრიდან მეორე ლეგიონერი - დეონტა ვონი აქტიურობდა და 22:13 მოგებული მესამე პერიოდის შემდეგ დინამოელები 14 ქულით დაწინაურდნენ.

ბოლო პერიოდში ვითარება აღარ შეცვლილა. ქუთაისელების ცდა, ვითარება გამოესწორებინათ, სურვილად დარჩა და „დინამომ“ 2016-17 წლების სეზონში მეორე ტიტული მოიგო. გამარჯვებულებს 20 ქულით ნიკოლა მარავიჩმა ულიდერა. 16 ქულით, 7 მნოხსნით და 4 პასით გამოირჩა დეონტა ვონი, ხოლო ილია ლონდარიძემ 12 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა.

გამარჯვებული გუნდის მთავარი მწვრთნელი ირაკლი ხოშტარია საპატიო სიგელით კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ დააჯილდოვა. მანვე გადასცა დინამოელთა კაპიტან ილია ლონდარიძეს ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასი.




BANK OF GEORGIA

საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები

ქუთაისი

		წ	2 ქულა			3 ქულა			საჯ.			მოხსნა			პას	პშ	დაკ	ჩ	დ	ეფ	ქ
			ჩ	ს	%	ჩ	ს	%	ჩ	ს	%	მ	ს	ჯამ		პშ			პშ		
0	გიორგი ჭეიშვილი	00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
1	ანატოლი ბოისა	28:42	1	2	50.0	1	2	50.0	2	4	50.0	0	3	3	0	1	3	2	2	0	7
2	ლევან ცეკვავა	18:18	0	1	0.0	2	5	40.0	1	2	50.0	1	3	4	0	2	4	4	2	0	7
3	დავით წივწივაძე	00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
4	ზაურ ფაშაევი	25:04	0	2	0.0	2	5	40.0	0	0	0.0	3	3	6	1	4	2	3	2	0	6
6	თეიმურაზ ბაბუნაშვილი	07:33	0	0	0.0	0	1	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
7	ვახტანგ ქადარია	15:57	2	6	33.3	0	1	0.0	0	0	0.0	2	2	4	1	3	0	1	1	0	4
8	გიორგი ცინცაძე	34:42	6	13	46.2	2	10	20.0	10	12	83.3	2	3	5	11	4	9	6	2	0	28
15	გიორგი ბარბაქაძე	13:20	1	1	100.0	0	1	0.0	1	1	100.0	2	0	2	1	0	1	0	1	0	3
20	აკაკი ლომოური	09:42	0	0	0.0	0	1	0.0	0	0	0.0	0	2	2	0	2	0	1	0	0	0
21	დეიან ბეილიჩი	22:49	3	7	42.9	0	0	0.0	0	0	0.0	2	5	7	1	2	2	2	1	2	6
33	ბექა ბექაური	23:53	4	5	80.0	0	1	0.0	2	3	66.7	1	3	4	3	4	2	1	0	0	10
	გუნდი											1	1	2	0	1	0	1	0	0	
	სულ		17	37	45.95	7	27	25.93	16	22	72.73	14	25	39	18	23	23	21	11	2	71

დინამო

		წ	2 ქულა			3 ქულა			საჯ.			მოხსნა			პას	პშ	დაკ	ჩ	დ	ეფ	ქ
			ჩ	ს	%	ჩ	ს	%	ჩ	ს	%	მ	ს	ჯამ		პშ			პშ		
5	დეონტა ვონი	34:54	2	6	33.3	4	9	44.4	0	0	0.0	2	5	7	4	2	1	6	2	0	16
6	ლევან გრძელიძე	17:15	0	2	0.0	1	2	50.0	1	2	50.0	1	0	1	2	3	2	0	3	0	4
7	ნიკა ღურწკაია	00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
9	ილია ლონდარიძე	26:52	4	8	50.0	0	0	0.0	4	6	66.7	1	6	7	1	1	5	0	1	1	12
10	ზურაბ მაჩალაძე	05:17	0	1	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	1	1	2	0	1	0	0	0	0	0
12	ლევან ფაცაცია	22:49	2	5	40.0	0	0	0.0	7	10	70.0	5	4	9	2	2	6	1	2	0	11
13	მიხეილ ჭოჭუა	27:12	0	5	0.0	2	3	66.7	0	0	0.0	0	2	2	2	5	1	0	1	0	6
14	ნიკა მარავიჩი	23:30	9	11	81.8	0	0	0.0	2	4	50.0	0	4	4	2	3	4	3	1	0	20
15	გიორგი რევაზაშვილი	00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
17	მიხეილ ბერიშვილი	27:05	2	3	66.7	0	5	0.0	3	3	100.0	1	4	5	6	3	1	6	4	1	7
21	ნოდარ გოგოძე	15:06	2	4	50.0	1	2	50.0	0	0	0.0	0	2	2	1	3	1	2	0	0	7
31	ქრისტოფერ ოლივიე	00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	გუნდი											1	2	3	0	0	0	2	0	0	
	სულ		21	45	46.67	8	21	38.10	17	25	68.00	12	30	42	20	23	21	20	14	2	83

ბოდნისა

Georgian Railway
EST. 1872

WWW.GBF.GE



FOLLOW @GBF

საქართველოს თასი





2016-17 წლების საქართველოს თასის გათამაშება 21 იანვარს, საკვალიფიკაციო ეტაპით დაიწყო და 29 აპრილს, ფინალური მატჩით დასრულდა. გათამაშების ფორმატის თანახმად, ძირითადი ეტაპი მეოთხედფინალიდან დაიწყო, მანამდე კი საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართა.

სუპერლიგის მოწინავე 6 გუნდი პირდაპირ განითესა მეოთხედფინალში, ხოლო დარჩენილი 2 საგზურისთვის სუპერლიგის 2 აუტსაიდერი და „ა“ ლიგის 4 გუნდი იბრძოდა. პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ურთიერთობა „ა“ ლიგელებმა გაარკვიეს: „არენამ“ „მარნეულს“ სძლია, ხოლო „თსუ-ჰიუნდაიმ“ სეუ-ს.

მეოთხედფინალის საგზურის მოსაპოვებლად, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „არენა“ „მგზავრებს“ შეხვდა, ხოლო „თსუ-ჰიუნდაი“ – „ოლიმპს. მატჩები სუპერლიგის გუნდებმა მოიგეს და შესაბამისად, თასის გათამაშების ძირითად, მეოთხედფინალურ ბადეში „ოლიმპი“ და „მგზავრები“ გადავიდნენ.

მეოთხედფინალურ შეხვედრებში ფავორიტად მიჩნეულმა გუნდებმა იმარჯვეს: „დინამომ“ „მგზავრებს“ სძლია, „ქუთაისმა“ – „ოლიმპს“, „რუსთავმა“ – „კაკტუსს“, ხოლო „ბათუმმა“ „სოხუმს“ მოუგო. ნახევარფინალური შეხვედრები საინტერესო გამოდგა: დინამოელებმა „ბათუმს“ აჯობეს, ხოლო ქუთაისელებმა ფინალში „რუსთავი“ არ შეუშვეს.

ფინალური შეხვედრა თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გაიმართა. საქართველოს თასის მფლობელი საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი 2010“ გახდა. შარშან წაგებული ფინალის შემდეგ იმერულმა კლუბმა ამჯერად მოახერხა „დინამოს“ დამარცხება და სეზონის ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ ტიტულს დაეპატრონა.

თასის ფინალამდე, ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა თბილისურმა კლუბმა „ქუთაისს“ სუპერლიგის რეგულარული ჩემპიონატის ოთხივე მატჩი მოუგო. თასის გათამაშების სატიტულო შეხვედრა კი განსხვავებული გამოდგა. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისელებმა გონივრულად ჩაატარეს მთელი შეხვედრა და სეზონის ერთ-ერთი მთავარი ტიტული მოიგეს.

საბოლოოდ ქუთაისელებმა 86:77 იმარჯვეს. თასის მფლობელებს 19 ქულით აკაკი ლომოურმა ულიდერა. 12-12 ქულა დააგროვეს გიორგი ცინცაძემ და ზაურ ფაშაევმა. 11 ქულა მიითვალა გოგა ცეკვავამ, 9 ქულა და 8 მოხსნა ბოსნიელი დრაგან ტუბაკის ანგარიშზე დაგროვდა. „დინამოში“ 25 ქულით საუკეთესო იყო ილია ლონდარიძე. 16 ქულა მიხეილ ბერიშვილმა, ხოლო 15 - დეონტა ვონმა მოაგროვეს.

მატჩის შემდეგ გაიმართა დაჯილდოვების ცერემონიალი. საქართველოს თასის ფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა აკაკი ლომოური, რომელსაც სპეციალური პრიზი ვეტერანმა კალათბურთელმა გივი ბიჭიაშვილმა გადასცა. საქართველოს თასი კი ქუთაისელთა კაპიტანმა, გოგა ცეკვავამ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტისგან, მიხეილ გაბრიჩიძისგან ჩაიბარა.


MVP
GBF

საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები

დინამო

		წ	2 ქულა			3 ქულა			საჯ.			მოხსნა			პას	პშ	დაკ	ჩ	დ	ეფ	ქ
			ჩ	ს	%	ჩ	ს	%	ჩ	ს	%	მ	ს	ჯამ		პშ			პშ		
5	დეონტა ვონი	38:21	4	10	40.0	0	4	0.0	7	7	100.0	1	8	9	7	2	8	1	2	0	15
6	ლევან გრძელიძე	19:51	1	1	100.0	3	5	60.0	1	2	50.0	0	0	0	0	4	1	1	1	0	12
7	ნიკა ღურწკაია	00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
9	ილია ლონდარიძე	26:10	10	14	71.4	0	0	0.0	5	10	50.0	4	2	6	1	3	6	1	2	1	25
10	ზურაბ მაჩალაძე	00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
12	ლევან ფაცაცია	32:38	2	6	33.3	0	7	0.0	0	2	0.0	6	4	10	4	2	3	0	0	0	4
13	მიხეილ ჭოჭუა	27:06	0	1	0.0	0	1	0.0	0	0	0.0	0	2	2	1	2	3	3	1	0	0
14	ნიკოლა მარავიჩი	16:31	1	3	33.3	0	0	0.0	3	6	50.0	0	2	2	0	5	5	1	3	1	5
15	გიორგი რევაზაშვილი	03:15	0	1	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	1	1	0	0	0	0	0	0	0
17	მიხეილ ბერიშვილი	36:08	4	4	100.0	2	7	28.6	2	2	100.0	1	3	4	2	3	2	3	0	0	16
21	ნოდარ გოგოძე	00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	გუნდი											0	1	1	0	0	0	0	0	0	
	სულ		22	40	55.00	5	24	20.83	18	29	62.07	12	23	35	15	21	28	10	9	2	77

ქუთაისი

		წ	2 ქულა			3 ქულა			საჯ.			მოხსნა			პას	პშ	დაკ	ჩ	დ	ეფ	ქ
			ჩ	ს	%	ჩ	ს	%	ჩ	ს	%	მ	ს	ჯამ		პშ			პშ		
0	გიორგი ჭეიშვილი	00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
1	ანატოლი ბოისა	21:57	1	4	25.0	1	2	50.0	2	2	100.0	1	2	3	1	3	1	0	0	0	7
2	გიორგი ცეკვავა	28:13	4	6	66.7	1	3	33.3	0	0	0.0	3	2	5	6	3	0	1	0	0	11
3	დავით წივწივაძე	00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
4	ზაურ ფაშაევი	20:00	1	1	100.0	2	5	40.0	4	5	80.0	2	1	3	1	2	3	3	0	0	12
6	თეიმურაზ ბაბუნაშვილი	00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
7	ვახტანგ ქადარია	11:19	1	3	33.3	0	0	0.0	0	0	0.0	2	1	3	2	5	2	1	0	0	2
8	გიორგი ცინცაძე	32:30	3	11	27.3	2	5	40.0	0	1	0.0	1	5	6	6	4	7	1	4	0	12
15	გიორგი ბარბაქაძე	18:33	1	2	50.0	1	1	100.0	1	2	50.0	1	3	4	0	1	1	0	0	0	6
20	აკაკი ლომოური	24:24	3	8	37.5	4	10	40.0	1	1	100.0	1	3	4	0	3	2	0	1	0	19
26	დრაგან ტუბაკი	27:21	4	4	100.0	0	0	0.0	1	5	20.0	3	5	8	1	2	4	4	0	0	9
33	ბექა ბექაური	15:43	1	2	50.0	2	3	66.7	0	0	0.0	0	4	4	1	5	0	2	0	0	8
	გუნდი											0	3	3	0	0	0	1	0	0	
	სულ		19	41	46.34	13	29	44.83	9	16	56.25	14	29	43	18	28	20	13	5	0	86

PLAYOFFS





WWW.GBF.GE


საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასა და ცნობილ ბრიტანულ კომპანია Genius sport-ს შორის უმნიშვნელოვანესი და ქართული მხარისთვის მომგებიანი ხელშეკრულება გაფორმდა. აქამდე არსებული ფედერაციის ყველა ვებ-გვერდი ერთ საიტზე, ერთ სივრცეში მოექცა, ხოლო მასში თავმოყრილმა საინფორმაციო ბაზებმა უცხოეთში, Genius Sport-ის სერვერებზე გადაინაცვლა.

მრავალფეროვანი ღონისძიებებისა და აქტივობების გათვალისწინებით, ბრიტანული კომპანიისთვის საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობა მიმზიდველი აღმოჩნდა. შესაბამისად, Genius Sport-მა მიიღო ფედერაციის შეთავაზება და ითავა ვებ-გვერდის შექმნა, მისი მომსახურება და ამასთან, ხელშეკრულებაში საქართველოს კალათბურთის ფედერაციისთვის ფინანსური სარგებელიც ჩადო. ასეთი სახის ხელშეკრულება ბრიტანულ კომპანიას აქამდე არც ერთი ქვეყნის ფედერაციასთან არ ჰქონია.


დაიწყო სტატისტიკის ახალი, თანამედროვე პროგრამით აღრიცხვა და კალათბურთისთვის ეს აუცილებელი კომპონენტი, მრავალ ინფორმაციასთან ერთად, გულშემატკივრებს უფრო დახვეწილი და მრავალფეროვანი სახით მიეწოდება.




















GEORGIA
ქალთა ლიგა
საქართველოს თასი



ქალთა ლიგა

საქართველოს თასი

ქალთა შორის საქართველოს თასის მფლობელი 18-წლამდელთა ნაკრები გახდა. ნინო ყიფშიძისა და ზვიად დიდბარიძის გაწვრთნილმა გუნდმა დუბლი შეასრულა და საქართველოს ჩემპიონობას თასიც მოაყოლა.

მატჩი თითქმის იგივე სცენარით წარიმართა, როგორც ჩემპიონატის ფინალი. ნაკრები ლიდერობდა, „ვეჯინი“ კი ცდილობდა ჩამორჩენის აღმოფხვრას, მაგრამ მაქსიმუმი, რაც მოახერხა, მეტოქესთან 5 ქულით მოახლოვება იყო.

ნაკრების წევრები უფრო სწრაფად თამაშობდნენ, რაც მათ სოლიდურ უპირატესობას აძლევდა. საბოლოოდ 18-წლამდელთა ნაკრებმა 73:61 გაიმარჯვა და მატჩის შემდეგ საქართველოს თასი ვეტერანი კალათბურთელისგან, მსოფლიოს ჩემპიონ ნიკოლოზ დერიუგინისგან ჩაიბარა. მანამდე კი ქალთა ლიგის სეზონის საუკეთესო კალათბურთელად დასახელებული ნატალია ოთხმეზური ფედერაციის ქალთა კალათურთის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ვალენტინ დერიუგინმა სპეციალური პრიზით დააჯილდოვა.

სწორედ ოთხმეზურმა ულიდერა ფინალში ნაკრებს. მის ანგარიშზე 23 ქულა დაგროვდა. 10 ქულა მიითვალა ვიქტორია გეგეშიძემ, ხოლო 7 - მარი ოქროპირიძემ. „ვეჯინში“ 15-15 ქულით ხათუნა საჯაია და რუსუდან სიდამონიძე გამოირჩნენ.


20
SPALDING
joma
7
DYNAMO
ALL STARS
SEASON 2016-2017



ყველა ვარსკვლავის მატჩი-აქცია

სუპერლიგის 2017 წლის „ყველა ვარსკვლავის“ მატჩი-აქცია საინტერესო და სანახაობრივი გამოდგა, რომელიც ფრედ - 128:128 დასრულდა. კალათბურთის წესების თანახმად, მატჩის ფრედ დასრულების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი 5-წუთეული, მაგრამ ოლ სტარის მიზანი არა გამარჯვებულის გამოვლენა, არამედ მოხდენილი თამაში და შოუა, რაც მაყურებელმა ძირითად 40 წუთში საკმაო დოზით იხილა და ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ოვერტაიმი აღარ დაინიშნა. გაიმარჯვა კალათბურთის სიყვარულმა.

მატჩი

ოლ სტარისთვის მონაწილეები სუპერლიგის ვებ-გვერდზე მიმდინარე გამოკითხვის შედეგად შეირჩნენ, სათადარიგოები კი მწვრთნელებმა შეავსეს. რეგიონის გუნდს კოტე ტუღუში და რამაზ გოგობერიშვილი უძღვებოდნენ, ხოლო „თბილისს“ - ირაკლი ხოშტარია და არჩილ ჟღენტი. ობიექტური მიზეზის გამო ხოშტარია თამაშზე ვერ მოვიდა და დედაქალაქის გუნდს „კაკტუსის“ მთავარი მწვრთნელი, არჩილ ჟღენტი გაუძღვა.

მატჩი ტრადიციულად სანახაობრივად, ჯარიმების გარეშე წარიმართა. შეხვედრაში ერთადერთი პერსონალური შეხვედრის ბოლოსწინა წუთზე დაფიქსირდა, რომელიც სოხუმელმა დავით ბარბაქაძემ დაიმსახურა. რეგიონისა და თბილისის კლუბებისგან დაკომპლექტებულმა გუნდებმა მაყურებელს ბევრი ეფექტური ეპიზოდი წარუდგინეს. შეხვედრა უხვქულიანი გამოდგა და როგორც ვთქვით, საბოლოოდ ფრედ - 128:128 დასრულდა.

მატჩის ბომბარდირი გახდა და საბოლოოდ უძვირფასესი მოთამაშის პრიზი დაიმსახურა „დინამოს“ წევრმა - მიხეილ ბერიშვილმა. მას არასრულ 29 წუთში 30 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი და 4 ჩაჭრა დაუგროვდა. 23 ქულა და 10 პასი მიითვალა დინამოელმა დეონტა ვონმა, 14-14 ქულით დაასრულეს შეხვედრა ტერიკ ბრიჯმენმა და ილია ლონდარიძემ. “რეგიონში“ 25 ქულით დუეინ ლათანი გამოირჩა. 19 ქულა დააგროვა გიორგი ბარბაქაძემ. ეფექტური პასებით გამოირჩა გიორგი ცინცაძე, რომელმაც ერთ-ერთი გადაცემა თავით შეასრულა და მაყურებელი აღაფრთოვანა, მთლიანობაში კი 11 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

ოლ სტარის MVP - დინამოელი მიხეილ ბერიშვილი ვეტერანმა კალათურთელმა - ნოდარ ქორქიამ დაასაჯილდოვა. ბერიშვილს ერგო ეროვნული ნაკრებისა და სუპერლიგის გენერალური პარტნიორის - აზარტული თამაშების კომპანია „ევროპა ბეთის“ 1000-ლარიანი ვაუჩერი, რომელიც გამარჯვებულს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ვლადიმერ ბოისამ გადასცა. ბერიშვილმა მიიღო ოლ სტარის მხარდამჭერის - „სნეპ ფიტნეს ჯორჯიას“ ერთთვიანი სასაჩუქრე ვაუჩერი, რომელიც მფლობელს კომპანიის გენერალურმა მენეჯერმა - სოფო სოლოღაშვილმა გადასცა.


ALL ST★R
2017
THREE-POINT SHOOTOUT
CONTEST WINNER 500
europebet.com
ALL ST★R
2017
MVP 1000
GEORGIA



ჩატენვების კონკურსი

ეფექტური გდებებში ერთმანეთს ექვსი მონაწილე ეჯიბრებოდა: ტერიკ ბრიჯმენი, დეანდრე რეი, ოთარ ბულიავა, ტომი სპანოლო, უოლტერ პიჩფორდი და დუეინ ლათანი. ჟიურის წევრები კი გახლდნენ ყველასთვის ცნობილი, სახელოვანი ვეტერანი კალათბურთელები - ნიკოლოზ დერიუგინი, გივი ბიჭიაშვილი, ნოდარ ქორქია და პაატა გურასპაული. ფინალში გავიდნენ ტერიკ ბრიჯმენი და დეანდრე რეი. ეს უკანასკნელი „ა“ ლიგის გუნდ „დელტას“ წარმომადგენელია და სწორედ მან მოიგო ჩატენვების ტურნირი, რომელმაც ფინალურ შერკინებაში 37 ქულა დააგროვა და ოპონენტს აჯობა.

დეანდრე რეი ვეტერანმა კალათბურთელმა - ნიკოლოზ დერიუგინმა სპეციალური პრიზით დააჯილდოვა. რეის ერგო ეროვნული ნაკრებისა და სუპერლიგის გენერალური პარტნიორის - აზარტული თამაშების კომპანია „ევროპა ბეთის“ მიერ დაწესებული 500-ლარიანი ვაუჩერიც, რომელიც გამარჯვებულს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ვლადიმერ ბოისამ გადასცა. დეანდრე რეიმ დაიმსახურა ასევე „სნეპ ფიტნეს ჯორჯიას“ ერთთვიანი სასაჩუქრე ვაუჩერი.

სამქულიანების კონკურსი

სამქულიანების კონკურსის მონაწილეები პერიმეტრის 5 სხვადასხვა წერტილიდან 5-5 ბურთს ესროდნენ. 25 სროლისთვის მონაწილეს 1 წუთი ჰქონდა გამოყოფილი. თითოეული ჩაგდებული ბურთი 1 ქულად ფასობდა, ხოლო ყოველი წერტილიდან სასროლი ბოლო, მე-5 ბურთი 2-ქულიანი გახლდათ. კონკურსში 6 მონაწილე პაექრობდა, რომლებსაც პირველ ეტაპში 2 ფინალისტი უნდა გამოევლინათ.

პირველ ეტაპზე შემდეგი შედეგები დაფიქსირდა: ქეისი კასპერბაუერი - 20, ირაკლი ჩლაიძე - 10, დეონტა ვონი - 10, დავით ბარბაქაძე - 17, გიორგი ბარბაქაძე - 16, აკაკი ლომოური - 14. შესაბამისად, ფინალში დავით ბარბაქაძე და ქეისი კასპერბაუერი გავიდნენ.

ფინალში პირველად ბარბაქაძემ ისროლა, რომელმაც 16 ქულას უწია. კასპერბაუერმა კი ეს შედეგი გადაფარა და პირველი ეტაპის მსგავსად 20 ქულა მოაგროვა, რითაც ჩემპიონი გახდა და მატჩის შემდეგ პრიზებიც დაიმსახურა.

ქეისი კასპერბაუერი ვეტერანმა კალათურთელმა - გივი ბიჭიაშვილმა სპეციალური პრიზით დააჯილდოვა. „რუსთავის“ ამერიკელ ლეგიონერს ტურნირის მოგებისთვის ერგო ეროვნული ნაკრებისა და სუპერლიგის გენერალური პარტნიორის - აზარტული თამაშების კომპანია „ევროპა ბეთის“ მიერ დაწესებული 500-ლარიანი ვაუჩერი, რომელიც გამარჯვებულს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ვლადიმერ ბოისამ გადასცა. კასპერბაუერმა დაიმსახურა ასევე „სნეპ ფიტნეს ჯორჯიას“ ერთთვიანი სასაჩუქრე ვაუჩერი.

სატურნირო ცხრილი

თბილისი

მწვრ.: ირაკლი ხოშტარია ასისტ.: არჩილ ჟღენტი

		მოთამაშე	გუნდი
1		ნოდარ გოგოძე	დინამო
2		ოთარ ფხაკაძე	მგზავრები
3		ლევან ფაცაცია	დინამო
4		მიხეილ ბერიშვილი	დინამო
5		ილია ლონდარიძე	დინამო
6		დეონტა ვონი	დინამო
7		რევაზ როგავა	ოლიმპი
8		ირაკლი ჩლაიძე	კაკტუსი
9		კახა ტომარაძე	ოლიმპი
10		ტერიკ ბრიჯმენი	კაკტუსი
11		ჯონ ფლოვიესი	კაკტუსი
12		უოლტერ პიჩფორდი	ოლიმპი

რეგიონი

მწვრ.: კოტე ტუღუში ასისტ.: რამაზ გოგობერიშვილი

		მოთამაშე	გუნდი
1		გიორგი ცინცაძე	ქუთაისი
2		ზაურ ფაშაევი	ქუთაისი
3		გიორგი ბარბაქაძე	ქუთაისი
4		ანატოლი ბოისა	ქუთაისი
5		ბექა ბექაური	ქუთაისი
6		ტომი სპანოლო	რუსთავი
7		ჩარლი ლი	რუსთავი
8		უეიდ ლათანი	სოხუმი
9		ოთარ ბულიავა	სოხუმი
10		დავით ბარბაქაძე	სოხუმი
11		კახაბერ ჯინჭარაძე	ბათუმი
12		გიორგი ჯგერენაია	სოხუმი

საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები

თბილისი

		წ	2 ქულა			3 ქულა			საჯ.			მოხსნა			პას	პშ	დაკ	ჩ	დ	ეფ	ქ
			ჩ	ს	%	ჩ	ს	%	ჩ	ს	%	მ	ს	ჯამ		პშ			პშ		
1	რევაზ როგავა	22:59	2	7	28.6	3	10	30.0	0	0	0.0	1	3	4	5	0	1	2	2	0	13
2	ოთარ ფხაკაძე	15:17	1	4	25.0	0	1	0.0	0	0	0.0	2	3	5	4	1	0	3	0	0	2
5	დეონტა ვონი	24:41	4	4	100.0	5	15	33.3	0	0	0.0	1	5	6	10	0	0	2	2	0	23
7	ირაკლი ჩლაიძე	19:27	0	1	0.0	1	6	16.7	0	0	0.0	2	2	4	3	0	0	0	0	0	3
8	კახა ტომარაძე	00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
9	ილია ლონდარიძე	14:14	7	14	50.0	0	0	0.0	0	1	0.0	4	1	5	0	0	1	0	1	1	14
10	ტერიკ ბრიჯმენი	18:02	7	10	70.0	0	0	0.0	0	0	0.0	2	1	3	1	0	0	1	1	0	14
12	ლევან ფაცაცია	08:57	1	2	50.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	1	1	0	0	0	1	1	0	2
17	მიხეილ ბერიშვილი	28:57	4	9	44.4	6	10	60.0	4	4	100.0	3	7	10	6	0	2	2	4	0	30
21	ნოდარ გოგოძე	18:37	3	4	75.0	0	5	0.0	0	0	0.0	1	3	4	1	0	0	2	2	0	6
32	ჯონ ფლორვეუსი	14:43	7	8	87.5	0	0	0.0	0	0	0.0	5	3	8	0	1	0	0	0	0	14
35	უოლტერ პიჩფორდი	14:06	2	2	100.0	1	3	33.3	0	0	0.0	0	2	2	1	0	0	1	0	0	7
	გუნდი											0	4	4	0	0	0	0	0	0	
	სულ		38	65	58.46	16	50	32.00	4	5	80.00	21	35	56	31	2	4	14	13	1	128

რეგიონი

		წ	2 ქულა			3 ქულა			საჯ.			მოხსნა			პას	პშ	დაკ	ჩ	დ	ეფ	ქ
			ჩ	ს	%	ჩ	ს	%	ჩ	ს	%	მ	ს	ჯამ		პშ			პშ		
1	ანატოლი ბოისა	14:58	3	6	50.0	1	2	50.0	2	2	100.0	2	3	5	3	0	1	3	0	0	11
2	დუეინ ლათანი	19:31	12	15	80.0	0	2	0.0	1	1	100.0	0	2	2	3	1	1	1	1	0	25
3	ჩარლი ლი	20:10	1	4	25.0	0	4	0.0	0	0	0.0	1	5	6	13	1	0	1	0	0	2
4	დავით ბარბაქაძე	13:45	0	1	0.0	2	6	33.3	0	0	0.0	0	3	3	2	0	0	1	0	0	6
5	ტომი სპანოლო	14:23	2	3	66.7	0	0	0.0	0	0	0.0	1	1	2	1	0	0	0	1	0	4
6	კახაბერ ჯინჭარაძე	11:52	3	3	100.0	2	4	50.0	0	0	0.0	1	3	4	0	0	0	1	0	0	12
8	გიორგი ცინცაძე	19:50	0	1	0.0	3	7	42.9	0	0	0.0	4	4	8	11	0	0	6	0	0	9
11	გიორგი ჯგერენაია	19:21	6	9	66.7	0	1	0.0	0	0	0.0	2	8	10	2	0	0	2	1	0	12
15	გიორგი ბარბაქაძე	22:18	2	3	66.7	5	14	35.7	0	0	0.0	2	2	4	1	1	0	0	2	0	19
20	აკაკი ლომოური	10:09	2	3	66.7	1	6	16.7	0	0	0.0	2	3	5	2	0	0	1	0	0	7
24	ოთარ ბულიავა	18:15	7	9	77.8	1	3	33.3	0	0	0.0	3	0	3	1	1	0	0	3	1	17
33	ბექა ბექაური	15:28	2	4	50.0	0	1	0.0	0	0	0.0	1	4	5	1	0	0	2	1	2	4
	გუნდი											1	2	3	0	0	0	0	0	0	
	სულ		40	61	65.57	15	50	30.00	3	3	100.00	20	40	60	40	4	2	18	9	3	128


1890
BORJOMI
GEORGIAN MINERAL WATER
ბორჯომი
BOTTLED IN GEORGIA
იცხოვრე
ვულკანური
ძალით
ბორჯომი

თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი



საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ მჭიდრო პარტნიორ - თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა. კალათბურთის განვითარების პროგრამაზე ფედერაციის ხელმძღვანელობა 2 წლის მანძილზე მუშაობდა, რომელიც 2017 წლის დასაწყისში დაასრულა და მისი განხორციელება რეგიონიდან, კონკრეტულად კი კახეთიდან დაიწყო. 2017 წლის დეკემბრამდე საქართველოს ყველა რეგიონულ კალათბურთის ფედერაციასთან გაფორმდება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელშიც მრავალ საკითხთან ერთად ეროვნული ფედერაციის ფინანსური დახმარების ვალდებულებაც იქნება გათვალისწინებული.

კალათბურთის განვითარების პროგრამა 5-წლიანია და მას თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი 2017 წლის აგვისტოს თვეში შეუერთდა. აღნიშნული ორგანიზაცია ისედაც აქტიურად თანამშრომლობდა კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან, თუმცა პროგრამასთან შეერთებით დამატებით მჭიდრო და ფინანსური თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდა. ხელშეკრულების გაფორმების ცერემონიალი თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა. თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ ხელი თანამშრომლობის ახალ ხელშეკრულებას მოაწერეს, რასაც წინ უძღვოდა კავშირის ხელმძღვანელის ანგარიში ბოლო წლებში გაწეული სამუშაოს შესახებ.

თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირმა გასულ სეზონში ორგანიზება გაუკეთა თბილისის 14, 16 და 18-წლამდელთა ჩემპიონატებს. აღნიშნულ ასაკებში დედაქალაქის ჩემპიონ-პრიზიორები გამოვლინდნენ, რის შემდეგაც სეზონის განმავლობაში აღნიშნულ ასაკებში ჩატარდა ეგრედ წოდებული „ბ“ ლიგის ჩემპიონატები. აღნიშნულ ტურნირებში ის გუნდები მონაწილეობდნენ, რომლებიც თბილისის ჩემპიონატებიდან დაწესებულ კვოტაში ვერ მოხვდნენ და საქართველოს პირველობაზე ვერ გავიდნენ.

ამასთან ერთად, „ბ“ ლიგები საკმაოდ პოპულარული გახდა და მასში მონაწილეობის რიცხვი რეგიონების ხარჯზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. გთავაზობთ თბილისის ჩემპიონატებისა და „ბ“ ლიგების გამარჯვებულებს ასაკების მიხედვით:

18-წლამდელებში დედაქალაქის ჩემპიონი გახდა „ჰიუნდაი“, რომელმაც ფინალურ მატჩში „აკადემიას“ მოუგო. თბილისის 16-წლამდელთა ჩემპიონმა „ორბმა“ ფინალში „აკადემიას“ დაძაბულ ბრძოლაში - 78:75 სძლია. რაც შეეხება 2 ასაკობრივი ფინალის წამგებ „აკადემიას“, ამ გუნდმა 14-წლამდელებში მოახერხა დედაქალაქის ჩემპიონის ტიტულის მოგება. ფინალში აკადემიელებმა „ოვერტაიმს“ მოუგეს.

რაც შეეხება „ბ“ ლიგებს: 18-წლამდელებში გამარჯვება მოიპოვა „რუსთავმა“, რომელმაც ფინალური სერია საერთო ანგარიშით - 2:0 მოუგო „ორბს“. 16-წლამდელთა „ბ“ ლიგაში პირველობა არავის დაუთმო „კარდინალმა“, რომელმაც ფინალურ სერიაში „მართვე 2“-ს აჯობა. და ბოლოს 14-წლამდელები, სადაც ფინალურ სერიაში „რუსთავი 2“-ს აჯობა და ჩემპიონი გახდა „ჰიუნდაი“.

აღსანიშნავია, რომ ზემოდაღნიშნულ ასაკობრივ „ბ“ ლიგებში ჯამში 70 გუნდი ასპარეზობდა, რაც ამ ტურნირების არსებობის 4-წლიან ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია.


HYUNDAI
ბორჯომი
30

თბილისის ჩემპიონატი

U-18

1/4		1/2		ფინალი	
→ ჰიუნდაი	100				
იბერი	33	→ ჰიუნდაი	75		
მართვე-1	54	არმია	58	→ ჰიუნდაი	76
→ არმია	99			აკადემია	66
→ ზაზა	77				
ზაზა 2	32	ზაზა	56		
→ აკადემია	72	→ აკადემია	81		
დინამო	47				

მე-3 ადგილისთვის

არმია	68
→ ზაზა	69

U-16

1/4		1/2		ფინალი	
→ დინამო	98				
ზაზა 2	48	დინამო	70		
არმია	70	→ ორბი	78		
→ ორბი	93			→ ორბი	78
ჰიუნდაი	45			აკადემია	75
→ ზაზა 1	71	ზაზა 1	37		
→ აკადემია	76	→ აკადემია	51		
იბერი	36				

მე-3 ადგილისთვის

დინამო	63
→ ზაზა 1	64

U-14

1/4		1/2		ფინალი	
→ აკადემია 1	80				
ჰიუნდაი	50	→ აკადემია 1	69		
სოხუმი	56	მაკაბი	35		
→ მაკაბი	67			→ აკადემია 1	98
→ არმია	50			ოვერტაიმი	74
დინამო	47	არმია	68		
→ ოვერტაიმი	79	→ ოვერტაიმი	77		
ზაზა 1	56				

მე-3 ადგილისთვის

მაკაბი	61
→ არმია	65

ბოდნისა

B-ლიგა

U-18

1/4		1/2		ფინალი	
→ ორბი	73 96				
მართვე	57 78				
		ორბი	45 72		
ქუთაისი	29 41	→ იბერი	76 73		
→ იბერი	67 63				
				იბერი	65 62
				→ რუსთავი	72 69
მაკაბი	43 45				
→ თსუ	108 69				
		თსუ	60 66		
→ რუსთავი	102 89	→ რუსთავი	79 73		
სიღნაღი	67 54				

მე-3 ადგილისთვის

ორბი	64
→ თსუ	74

U-16

1/4		1/2		ფინალი	
ქუთაისი 2	78				
→ რუსთავი	82				
		რუსთავი	68 63		
→ მართვე-2	65	→ მართვე-2	66 76		
აკადემია	61				
				მართვე-2	61 76
				→ კარდინალი	65 91
→ კარდინალი	68				
ორბი 1	63				
		→ კარდინალი	72 74		
→ ქუთაისი 1	65	ქუთაისი 1	74 65		
მაკაბი	55				

მე-3 ადგილისთვის

რუსთავი	44
→ ქუთაისი 1	82

U-14

1/4		1/2		ფინალი	
→ ჰიუნდაი	88				
ქუთაისი	84				
		→ ჰიუნდაი	58 68		
→ იბერი	83	იბერი	56 57		
აკადემია 2	37				
				→ ჰიუნდაი	59 62
				რუსთავი 2	59 58
დინამო	87				
→ რუსთავი 2	90				
		→ რუსთავი 2	66 71		
→ ზაზა 2	66	ზაზა 2	64 47		
რუსთავი 1	58				

მე-3 ადგილისთვის

→ იბერი	72
ზაზა 2	51

Georgian Railway
EST.1872

საქართველოს მსაჯთა კავშირი



საქართველოს მსაჯთა კავშირი გასულ სეზონში საკმაოდ აქტიური იყო. მოქმედი პრეზიდენტი, როლანდ ხომერიკი ხელახალი, 2-წლიანი ვადით აირჩიეს, ხოლო კავშირში შემავალმა მსაჯ-მდივნებმა საერთაშორისო დონეზე კვალიფიკაცია აიმაღლეს და ფიბას ლიცენზიების მფლობელები გახდნენ.

ეროვნული კატეგორიის არბიტრმა, მიხეილ ვართანოვმა 3X3 კალათბურთში ფიბას ლიცენზია დაიმსახურა. ეს ტიტული ჩვენი სამსაჯო კორპუსის წარმომადგენელმა აპრილის თვეში თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში მიიღო, სადაც სპეციალური ტესტები და გამოცდები ჩააბარა.

ფიბა-ს ლიცენზიები მიიღეს ქართველმა მაგიდის მსაჯებმა და სტატისტიკოსებმაც. აგვისტოში, თბილისში იმყოფებოდა და სემინარ-ტესტირება ჩაატარა ფიბა-ს ინსტრუქტორმა სტეფან შულცმა. მანამდე კი ქართველმა მსაჯ-მდივნებმა ინტერნეტ-პლატფორმით ფიბას სპეციალური პროგრამა გაიარეს და ტესტირებაც წარმატებით დაძლიეს.

ახალი გადაწყვეტილებით, ოფიციალურ საერთაშორისო მატჩებს, რომელიც ფიბა-ს ეგიდით ჩატარდება, მოედნის მსაჯებთან ერთად ლიცენზირებული მდივნები და სტატისტიკოსები მოემსახურებიან. შესაბამისად, ლიცენზიის მიღება აუცილებელი პირობაა საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ევროტურნირებში მონაწილე ქართული კლუბების საშინაო მატჩების მოსამსახურებლად.

ფიბას ლიცენზიის მქონე ქართველი მაგიდის მსაჯები და სტატისტიკოსები წარმატებით მოემსახურნენ „დინამო თბილისის“ ფიბა ევროპის თასის საშინაო მატჩებს, ხოლო 2018 წლის თებერვალში მათ საქართველოს ეროვნული ნაკრების საშინაო მატჩების მომსახურება მოუწევთ.

PSP

BORJOMI®
BOTTLED IN GEORGIA


#14

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მწვრთნელთა განყოფილება



2017 წელს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მწვრთნელთა განყოფილებამ, რომელსაც ნოდარ ავალიშვილი ხელმძღვანელობს, საქართველოს მწვრთნელთა კავშირთან ერთად არაერთი მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტი განახორციელა. მათი მიზანი საქართველოში მწვრთნელთა დონის ამაღლება, მათი საქმიანობის ხელშეწყობა და სამწვრთნელო სფეროში პერსპექტიული კადრების ჩართვა გახლდათ.

პროექტი, რომელიც მწვრთნელთა კავშირმა 2015 წელს წამოიწყო, წარმატებით გაგრძელდა გასულ წელსაც. მწვრთნელთა გადამზადებისა და ლიცენზირების პროგრამა საქართველოში კალათბურთის მწვრთნელთათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას გულისხმობს. პროგრამის მეორე ნაწილი განხორციელდა, რომელიც 14-18 წლის მოზარდეებთან მომუშავე მწვრთნელებისთვის იყო განკუთვნილი.

სემინარები 200-მდე მწვრთნელმა გაიარა. შეგახსენებთ, რომ წინა წლებში 14-წლამდე ასაკის ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელებს ჩაუტარდათ სერთიფიცირება, ხოლო მომავალ წელს პროგრამის დასკვნითი, მე-3 ეტაპია დაგეგმილი, რომელიც 18 წლის ზემოთ ასაკებში დასაქმებული სპეციალისტებისთვის იქნება განკუთვნილი.

2017 წელის აგვისტოში საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასა და ფიბა-ს თანამშრომლობის ფარგლებში პერსპექტიული ქართველი მწვრთნელები საერთაშორისო პროგრამაში ჩაერთვნენ. მწვრთნელთა კავშირმა უზრუნველყო დავით როგავასა და დიმიტრი ჟაკობოვის მონტენეგროში მივლინება, სადაც ფიბა-ს ყველაზე პრესტიჟული სამწვრთნელო პროგრამა - FIBA Europe Coaching Certificate (FECC)-ის პირველი ეტაპი ჩატარდა. პროგრამაში წლეულს წამყვანი ევროპელი მწვრთნელები მონაწილეობდნენ, რომელთაგან გამოსარჩევია სერბი სვეტისლავ პეშიჩი.

FECC სამწლიანი პროგრამაა, რომელიც პერიოდულად ზაფხულობით, ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატების პარალელურად მიმდინარეობს. მომავალ წელს ამ პროგრამის მონაწილენი უკვე კონტინენტის 18-წლამდელთა ჩემპიონატზე შეიკრიბებიან, ხოლო დასკვნითი, მე-3 ნაწილი, რის შემდეგაც ფიბა-ს სამწვრთნელო ლიცენზიები გაიცემა, 2019 წლის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე გაიმართება.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია არსებული რესურსით FECC-ისა და სხვა პროფილის სამწვრთნელო პროგრამებში აქტიურ ჩართულობას გეგმავს, რაც მომავალში ახალგაზრდა მწვრთნელების მოზიდვისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საიმედო გარანტი იქნება.

გასულ წელს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია მასშტაბურ პროექტში ჩაერთო, რომლის მიზანიც საჯარო სკოლების ფიზიკური აღზრდის პედაგოგების კალათბურთის საფუძვლების გაცნობა და მათთვის სპორტის ამ სახეობაში გაკვეთილების ჩატარების უფლების მინიჭება გახლდათ. აღნიშნული პროექტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, ასევე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროების ერთობლივი ინიციატივით მთელი საქართველოს მასშტაბით ხორციელდება.

კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მწვრთნელთა კავშირის წარმომადგენლები საქართველოს ყველა რეგიონში წავლენ, სადაც მთლიანობაში 650 ფიზიკური აღზრდის პედაგოგს საკალათბურთო გაკვეთილებს ჩაუტარებენ და შესაბამის სერთიფიკატებს გადასცემენ.


FIBA
We Are Basketball
FECC
ROPE COACHING CERTIFICATE
FIBA
We Are Basketball
FECC
FIBA EUROPE COACHING CERTIFICATE



Georgian Railway
EST.1872

სააქციო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზასა“ და კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას შორის თანამშრომლობა გასულ წელსაც გაგრძელდა.

ქვეყნის ერთ-ერთმა უმსხვილესმა კომპანიამ საქართველოს ეროვნულ, ასაკობრივ ნაკრებებს (16, 18 და 20-წლამდელთა ნაკრებები) და სუპერლიგას ფინანსური მხარდაჭერა კვლავაც გაუწია.

კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასა და „საქართველოს რკინიგზას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმზე ფედერაციის მხრიდან პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ, ხოლო „საქართველოს რკინიგზიდან“ გენერალურმა დირექტორმა მამუკა ბახტაძემ მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის გაფორმებას დაესწრო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი.

ტარიელ ხეჩიკაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი:

მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობას, როგორც კალათბურთის ფედერაციისთვის, ასევე მთლიანად ქართული სპორტისთვის გაწეული დახმარებისათვის. ასეთი მემორანდუმი ხელს უწყობს კალათბურთის განვითარებას ქვეყანაში.

მიხეილ გაბრიჩიძე, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი:

უკვე წლებია გრძელდება ჩვენი თანამშრომლობა საქართველოს რკინიგზასთან. ეს კომპანია აქტიურად არის ჩართული ქართული სპორტის განვითარებაში და ძალიან ბევრ კარგ პროექტს ახორციელებს სხვადასხვა სპორტულ ფედერაციებთან თუ კლუბებთან ერთად. რაც შეეხება კალათბურთს, ჩვენ მადლიერნი ვართ იმ დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რაც ამ პერიოდის განმავლობაში გვქონდა.

მამუკა ბახტაძე, საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორი:

საქართველოს რკინიგზა განაგრძობს ქართული სპორტის დახმარებისა და მხარდაჭერის პოლიტიკას. წელსაც ვაგრძლებთ ძალიან ნაყოფიერ ურთიერთობას საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან. ხელშეკრულება კომპლექსურია და ის მოიცავს არამარტო ეროვნულ ნაკრებს, არამედ სხვა ასაკობრივ ნაკრებებსაც და აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ეს ჩვენთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა.



europebet

გასულ წელს საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასა და „ევროპაბეთს“ შორის პარტნიორობის მემორანდუმი გაფორმდა.

საქართველოს ეროვნულ ნაკრებსა და საკალათბურთო სუპერლიგას კომპანია „ევროპაბეთის“ სახით ახალი გენერალური პარტნიორი გამოუჩნდა, რომელმაც გასული 1 წლის მანძილზე ეროვნულ ნაკრებსა და სუპერლიგას ფინანსური მხარდაჭერა გაუწია.

ფედერაციის მხრიდან მემორანდუმს ხელი მოაწერეს პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ, ხოლო „ევროპაბეთისგან“ - კომპანიის დირექტორმა მაია კოპინაძემ.

მიხეილ გაბრიჩიძე (საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი):

საამაყო და სასიხარულოა, რომ ეროვნულ ნაკრებსა და ფედერაციას გვერდით დაუდგა ისეთი ძლიერი კომპანია, როგორიც ევროპაბეთია. მსურს მადლობა გადავუხადო კომპანია ევროპაბეთს გაწეული თანამშრომლობისთვის.

მაია კოპინაძე (ევროპაბეთის დირექტორი):

დიდი სიამაყით მინდა აღვნიშნო ევროპაბეთის ჩართულობა კალათბურთში. მოხარულნი ვართ, რომ საშუალება მოგვეცა ვიყოთ მხარდამჭერები ქართული სპორტის და გვჯერა კალათბურთი დიდ წარმატებას მიაღწევს.



მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესა და საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გასულ წელს პირველად გაფორმდა.

მემორანდუმი ითვალისწინებს საქართველოს სასკოლო ასაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნას, სასახლის კალათბურთის წრის მხარდაჭერასა და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებას.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს ეროვნული სასახლის დირექტორმა თიკა რუხაძემ და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ.

ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულმა სასახლემ უმასპინძლა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციისა (NBA) და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ ორგანიზებულ რიგით მეორე ტურნირს - „JR.NBA-GBF ლიგას“, რომლის პარტნიორია საქართველოში ამერიკის საელჩო. ტურნირს მხარდაჭერა გაუწია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ და მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულმა სასახლემ.



კალათბურთის განვითარების პროგრამა რეგიონებში

კალათბურთის განვითარების პროგრამის განხორციელება კახეთის რეგიონიდან დაიწყო. საქართველოს კალათბურთს ეროვნულ ფედერაციასა და კახეთის კალათბურთის ფედერაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თელავში გაფორმდა.

მემორანდუმის საფუძველზე დაიწყო რეგიონებში კალათბურთის განვითარების პროგრამის განხორციელება, რომელზეც საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია 2 წლის მანძილზე მუშაობდა. ამ ხნის განმავლობაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა იმ პრინციპებსა და დეტალებზე, რომელთა გატარებაც რეგიონებში კალათბურთის განვითარებას უზრუნველყოფს. პროგრამა 5-წლიანია და მასში რეგიონალური ფედერაციებისთვის ფინანსური მხარდაჭერაც გათვალისწინებულია.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, გიორგი ქართველიშვილმა და კახეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, სოსო იაგორაშვილმა.

მემორანდუმის ფარგლებში მხარეებს შორის იგეგმება თანამშრომლობა რეგიონში კალათბურთის განვითარებისა და მისი პოპულარიზაციის მხრივ. თანამშრომლობა მიზნად ისახავს რეგიონში სპორტის ამ სახეობაში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას, სახსრების მოზიდვასა და მათ რაციონალურად გადანაწილებას, რათა კახეთში კალათბურთი ყველა მოზარდისთვის ხელმისაწვდომი გახდეს. შესაბამისად, არ მოხდეს ნიჭიერი ახალგაზრდების თვალთახედვის არეალს მიღმა დარჩენა და ამ რეგიონის საკალათბურთო რესურსი და პოტენციალი მაქსიმალურად იქნეს ათვისებული.

2017 წლის დეკემბრამდე კალათბურთის განვითარების პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს დანარჩენი რეგიონების კალათბურთის ფედერაციებთანაც გაფორმდება.

სოსო იაგორაშვილი (კახეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი): „კახეთის რეგიონალურ ფედერაციასა და საქართველოს ეროვნულ ფედერაციას შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება წინ გადადგმული ნაბიჯია. ჩვენი ფედერაცია ყველანაირად მხარს უჭერს ამ ინიციატივას და ამით საქართველოს ეროვნულ ფედერაციას გვერდში ვუდგავართ. ახლა ჩვენზე ბევრი რამეა დამოკიდებული. თანამშრომლობის პროცესში უნდა ვიყოთ აქტიურნი და გავატაროთ ის ღონისძიებები, რაც საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ შემუშავებული პროგრამითაა გათვალისწინებული. პრიორიტეტია ბავშვთა კალათბურთი, სკოლების ფინანსური სიძლიერე და ახალგაზრდობასთან სწორი მიმართულებით მუშაობა. ერთიანი ძალებით ამ ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია“.

გიორგი ქართველიშვილი (საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი): „რეგიონალური ფედერაციები ეროვნული ფედერაციის განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილია, ჩვენი საერთო ძალისხმევით უნდა მოვახერხოთ და გავზარდოთ რეგიონებში კალათბურთით დაკავებულ მოზარდთა რაოდენობა, ამისათვის საჭიროა სათანადო პირობების შექმნა და ახალი სტანდარტების დანერგვა, აუცილებელია ადგილობრივი მწვრთნელებისა და მსაჯ მდივნებისათვის ხელის შეწყობა მათი პროფესიული ცოდნის ამაღლებისათვის, დაგეგმილი გვაქვს მრავალი ღონისძიება საერთო მიზნების განსახორციელებლად, ეროვნული ფედერაციის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს რეგიონალური ფედერაციების გაძლიერება და მათი ნაყოფიერი მუშაობა, რაც საერთო ჯამში დადებითად აისახება მომავალში ახალგაზრდა კალათბურთელების აღზდისა და მათი შემდგომი განვითარების საქმიანობაზე.“



ზაზამ სანაკრებო კარიერა დაასრულა



2000 წლის 17 მაისს, საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე 71:92 წააგო ლუქსემბურგთან. ეს მატჩი იმითაა გამორჩეული, რომ მასში ეროვნულ ნაკრებში ზაზა ფაჩულიას დებიუტი შედგა. ახალგაზრდა, 17 წლის ქართველი ცენტრი ეროვნული ნაკრების მაისურით პირველად გავიდა მოედანზე და 21 წუთში 9 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა.

მანამდე მხოლოდ საკალათბურთო წრეებისთვის ცნობილი ნიჭიერი ახალგაზრდა მთელმა საქართველომ გაიცნო. იმ დღეს საქართველოს ეროვნულ გუნდს ახალი ლიდერი მოევლინა, რომელმაც ეს სტატუსი 17 წლის მანძილზე ღირსეულად ატარა და ევრობასკეტ 2017-ის მატჩში იტალიასთან დასანანი მარცხის შემდეგ სანაკრებო კარიერა დაასრულა.

ზაზა ფაჩულია 17 წლის მანძილზე გახლდათ ეროვნული ნაკრების წევრი და მისი ერთ-ერთი ყველაზე ქარიზმატული ლიდერი. ყველა დიდმა გამარჯვებამ, რომელიც საქართველოს ნაკრებმა 21 საუკუნეში მოიპოვა, ფაჩულიას მხრებზე გადაიარა. ყველა შეხვედრაში, რომელშიც ზაზამ ითამაშა, უკან არ დაუხევია და ოპონენტებთან ბრძოლაში უმეტეს შემთხვევაში გამარჯვებული გამოვიდა.

2017 წელი ზაზასთვის განსაკუთრებული იყო. ის გახდა მსოფლიოს უძლიერესი საკალათბურთო ლიგის - ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი - ისე, რომ სეზონის 85-ივე შეხვედრაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო, სასტარტო ხუთეულში იყო. ნბა-ს სეზონის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ზაზა ფაჩულია საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა ღირსების ორდენით დაასაჩუქრა.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია დიდ მადლიერებას გამოხატავს ზაზა ფაჩულიას მიმართ როგორც ეროვნული ნაკრებისთვის გაწეული შრომისთვის, ისე ზოგადად, ქართული კალათბურთის განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის.

ძალიან რთულია დატოვო ის, რაც მრავალი წელი შენ ბიჭებთან ერთად მხრებით მოიტანე. B დივიზიონიდან ევროპის ჩემპიონატამდე არ იყო მარტივი გზა დამეთახმებით. 17 წლის განმავლობაში იყო მრავალი წარმატება, წარუმატებლობაც, ყოველთვის უკეთესის მოლოდინი, მაგრამ ეს არის ის რაც ჩვენ გამოგვიდა და დანარჩენს დიდი იმედი მაქვს მომავალი თაობები გააგრძელებენ. ძალიან მინდოდა სხვანაირი დასასრული, მაგრამ სამწუხაროდ ტრამვამ მეტის საშუალება არ მომცა, მაგრამ სურვილი და გამარჯვების ჟინი არასდროს დამიშურებია. ყველაზე ძალიან გული მწყდება გულშემატკივარზე, რომლის თანადგომას ეს ნაკრები ყოველთვის გრძნობდა და პირადად მე ჩემი კარიერის განმავლობაში. მინდა ძალიან დიდი მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს. თქვენ უფრო დიდ სიხარულს იმსახურებდით ...

ახლა კი მშვიდობით ჩემო ნაკრებო და გულშემატკივარო. კაპიტნის წასვლის დროც მოვიდა! ეს ოქროს წლები არასდროს დამავიწყდება.

მადლობა

ზაზა ფაჩულია



AIR GEORGIA მიწაზე დაეშვა

ეფექტური გდებებისა და შეუდარებელი პლასტიკის გამო გულშემატკივრმა მას AIR GEORGIA შეარქვა. საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე ის ამ მეტსახელს ამართლებდა და ულამაზესი ჩატენვებითა და თამაშით მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავდა...

ვიქტორ სანიკიძემ ქართულ კალათბურთში ეპოქა შექმნა. მისებრ უნივერსალურობითა და მრავალმხრივად სასარგებლო თამაშით დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ვერც ერთი კალათბურთელი ვერ გამოირჩეოდა. სანიკიძეს შეეძლო პერიმეტრიდანაც ჩაეგდო ბურთი, ფარი სწრაფი გარღვევით დაელაშქრა და ყველაზე მაღლაც ამხტარიყო. ეს ნახტომი ვიქტორს საშუალებას აძლევდა, ბურთის მოხსნისთვის ნებისმიერ მეტოქესთან უპირატესობა მოეპოვებინა, ოპონენტისთვის დაეფარებინა და მისი მთავარი, საფირმო ილეთი - ეფექტური გდება, ეგრედ წოდებული ჩატენვა განეხორციელებინა.

ალბათ ეს ფენომენალური ნახტომის უნარი გახდა იმის მიზეზი, რომ ვიქტორ სანიკიძის თამაშის შესახებ წარსულ დროში ვლაპარაკობთ. რაც უფრო მაღლა ხტები, დაშვება უფრო უხერხული და მტკივნეულია. სანიკიძემაც კარიერის მანძილზე არაერთი რთული ტრავმა გადაიტანა, რამდენიმე ოპერაციაც გაიკეთა, მაგრამ კარიერის ნაადრევად დასრულებას მაინც ვერ ასცდა. 31 წლის ასაკში ერთ-ერთმა ყველაზე ნიჭიერმა და საკალათბურთო მონაცემებით უხვად დაჯილდოვებულმა კალათბურთელმა კარიერა დაასრულა.

სანიკიძემ ბოლო ტრავმა და ოპერაცია მუხლზე, გასული წლის ოქტომბერში გადაიტანა, რის შემდეგაც რეაბილიტაციას გადიოდა და იმედით უყურებდა ევრობასკეტ 2017-ს. ის ეროვნულ ნაკრებს გაჰყვა კიდეც კონტინენტის პირველობაზე, მაგრამ მხოლოდ გასამხნევებლად - ივლისში მან ექიმების მწარე დიაგნოზი გაიგო: ოპერაციიდან თითქმის 9 თვის შემდეგ მის ფეხებს დატვირთვებზე მწვავე რეაქცია ჰქონდა და ვარჯიში გაურკვეველი დროით აეკრძალა. ვიკა საქართველოს ეროვნულ გუნდს საბერძნეთში, აკროპოლისის ტურნირზეც გაჰყვა და ისრაელში - ევრობასკეტზეც, თუმცა წინა 3 ევროჩემპიონატისგან განსხვავებით ეს ის შემთხვევა იყო, როცა AIR GEORGIA გუნდს ვერც ჰაერიდან ეხმარებოდა და ვერც ფიცარნაგიდან. სანიკიძე გუნდთან ერთად იყო ყველგან - გარდა მოედნისა, სადაც ჩვენმა ბიჭებმა არაერთი საამაყო ბრძოლა მოიგეს გასულ ზაფხულს.

ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ ვიქტორ სანიკიძემ ყველასთვის სამწუხარო განცხადება გააკეთა კარიერის დასრულების შესახებ. ალბათ სანიკიძეზე მეტად არავის უყვარს კალათბურთი და ქართული კალათბურთისთვისაც სანიკიძე ყველასგან გამორჩეულია. განსაკუთრებული შარმი და უნივერსალურობა სახელად ვიქტორ სანიკიძე ჩვენს ეროვნულ გუნდს ძალიან, ძალიან დააკლდება.

მადლობა, ვიქტორ იმ განუმეორებელი ემოციისთვის, რაც ქართველ გულშემატკივარს, ჩვენს ქვეყანას აჩუქე.

ვიცით, რომ ბრწყინვალე კარიერის მანძილზე შეძენილ ფასდაუდებელ გამოცდილებას და ცოდნას მომავალი თაობის გაზრდაში გამოიყენებ!



ვიქტორ სანიკიძე:

ეს არის ძალიან ემოციური მომენტი ჩემს ცხოვრებაში... ყველაზე დიდი სიმდიდრე , ყველაზე ძვირფასი და ფასდაუდებელი რაც მერგო წილად, არის ქართველი ხალხის სიყვარული, გულშემატკივრის თანადგომა , რომელთა მხარდაჭერასაც ვგრძნობდი ყოველ ფეხის ნაბიჯზე, თითოეულ გამართულ მატჩზე ..

ეროვნულ ნაკრებში გატარებული წლები არის ოქროს წლები, ამისთვის დიდი მადლობა ჩემს ბიჭებს, ჩემს ძმებს, ვისთან ერთადაც ბევრი სირთულე გადამილახავს და რაც ყველაზე მთავარია, ძალიან ბევრი ბედნიერი წუთი მქონია. მე თქვენთან ერთად გავიმარჯვე ამ ცხოვრებაში.

კალათბურთი იყო, არის და იქნება ჩემი ნაწილი. მინდა პირობა მოგცეთ, რომ სადაც არ უნდა ვიყო, რასაც არ უნდა ვაკეთებდე , ყოველთვის ვიქნები საქართველოს ეროვნული ნაკრების ნომერ პირველი გულშემატკვარი.

დღეიდან მეც თქვენსავით ვიჯდები ტრიბუნებზე და ისევე ვუგულშემატკივრებ ჩვენ ნაკრებს, როგორც ეს წლებია თქვენ აკეთებთ, რადგან ზუსტად ვიცი რამდენს ნიშნავს ეს თითოეული ქართველი სპორტსმენისთვის ... მინდა წარმატება ვუსურვო მომავალ თაობას. დიდი მადლობა ყველას, ვისაც კალათბურთი და საქართველო უყვარს ! Air Georgia Out



JR.NBA–სთან თანამშრომლობა კიდევ უფრო მასშტაბური გახდება

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, მოადგილე შალვა გოგოლაძესთან და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ მიხეილ გაბრიჩიძესთან ერთად, ნბა-სა და ევროპის კალათბურთის ოპერირების მთავარ დირექტორს ნილ მეიერს და "ჯუნიორ ნბა"-ს წარმომადგენლებს სამინისტროში შეხვდა.

შეხვედრას საკალათბურთო სუპერლიგისა და ასაკობრივი ლიგების აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ზაბახიძე და ასევე მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. Junior NBA-ს ხელმძღვანელთა თბილისში ვიზიტი და ტურნირის გახსნაზე დასწრება 2017 წლის იანვარში, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტისა და წარმომადგენლების ლონდონში ვიზიტის დროს დაიგეგმა. ქართული მხარე კარგად ორგანიზებული Junior NBA – GBF ლიგის პირველი სეზონის შემდეგ ლონდონში მიიწვიეს, სადაც ევროპის კალათბურთის ფედერაციებიდან მხოლოდ ქართული მხარე იყო წარმოდგენილი.

მხარეებს შორის შეხვედრის მთავარი სასაუბრო თემა JR.NBA - GBF ლიგა" გახლდათ, რომელიც საქართველოში გასულ წელს უკვე მეორედ ჩატარდა. შეხვედრაზე გადაწყდა პროექტის მასშტაბურობის გაზრდა და დაიგეგმა მომდევნო ეტაპი, რომელიც საქართველოში NBA-ს აკადემიის დაარსებას ითვალისწინებს. Junior NBA-მ მიიღო საქართველოს შეთავაზება და ტურნირის მონაწილეთათვის განკუთვნილი მაისურების დიზაინი შეცვალა, რითაც ნამდვილი კალათბურთელების მაისურების ანალოგიური გახადა.

შეხვედრაზე შეჯამდა აღნიშნული ღონისძიების 2 სეზონი, რომელიც საქართველოში კალათბურთს კიდევ უფრო მასობრივსა და პოპულარულს ხდის. ტურნირში ქვეყნის მასშტაბით უამრავი მოზარდია ჩართული.



საქმიანი ვიზიტი ლონდონში

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტის ორგანიზატორები ლონდონში, საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ.

Junior NBA – GBF ლიგას კალათბურთის ფედერაციამ ორგანიზება საქართველოში ამერიკის საელჩოს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საგანმანათლებლო და კულტურული ურთიერთობის ბიუროს, ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის Junior Nba-ს განყოფილებასა და ნბა-ს ევროპის ოფისთან ერთად გაუწია. მასშტაბურობისა და კარგი ორგანიზების გათვალისწინებით Junior NBA – GBF ლიგა ევროპის ანალოგიურ ტურნირებს შორის საუკეთესოდ აღიარეს და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლებიც ლონდონში მიიწვიეს. სწორედ ლონდონში დაიგეგმა Junior NBA-ის ევროპის განყოფილების ხელმძღვანელთა საქართველოში ვიზიტი, რომლებიც Junior NBA – GBF ლიგის მეორე სეზონის გახსნას უნდა დასწრებოდნენ.

ტურნირში, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა, საკვალიფიკაციო ეტაპის ჩათვლით მონაწილეობა 52-მა გუნდმა მიიღო და პროექტი ამერიკელი და ევროპელი ექსპერტების მიერ ამ სფეროში საუკეთესოდ აღიარეს.

საქართველოს მხრიდან ტურნირის ორგანიზატორები Junior Nba-ს ხელმძღვანელობამ ლონდონში მიიწვია. კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძე აღნიშნულ პროექტში ჩართულ ფედერაციის თანამშრომლებთან ერთად დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში იმყოფებოდა, სადაც სამუშაო შეხვედრები გაიმართა Junior NBA-ს ევროპული ოფისის საკალათბურთო ოპერაციების დირექტორ ნილ მეიერთან და Junior Nba-ის სამუშაო ჯგუფთან.

Junior Nba-ის ხელმძღვანელობის მიწვევით პროექტის ორგანიზატორები ნბა-ს გლობალური თამაშების ეგიდით ლონდონში ჩატარებულ რეგულარული ჩემპიონატის მატჩს: დენვერი - ინდიანა დაესწრნენ.

კიდევ ერთხელ აღინიშნა გასულ წელს საქართველოში მაღალ დონეზე ჩატარებული Junior NBA – GBF ლიგის შესახებ და სამომავლო გეგმებიც დაისახა.



საქართველო NBA ALL STAR-ს დაესწრო

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციასა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შორის ერთობლივი პროექტი განხორციელდა. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში შეერთებულ შტატებში საქართველოს მოქალაქე 8 გოგონა გაემგზავრა, რომლებმაც ცნობილი სპეციალისტების მიერ ჩატარებულ ვარჯიშებში მიიღეს მონაწილეობა და ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის „ყველა ვარსკვლავის მატჩს“ დაესწრნენ.

პროგრამისთვის მონაწილეები ამერიკის საელჩომ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფებისგან - ქართველებისგან, სომხებისგან, აზერბაიჯანელებისგან და ქისტებისგან შეარჩია. პროგრამაში ჩაერთვნენ ასევე იძულებით გადაადგილებული პირები. 8 გოგონასგან შემდგარი ჯგუფი საქართველოდან აშშ-ში თებერვლის თვეში გაემგზავრა და მონაწილეობა მიიღო პროგრამით დაგეგმილ საკალათბურთო ვარჯიშებში. გაცვლითი პროგრამის დასვნითი აკორდი გახლდათ ქალაქ ნიუ ორლეანში - ნბა-ს ყველა ვარსკვლავის მატჩზე - NBA All-Star 2017-ზე დასწრება. ახალგაზრდა კალათბურთელი გოგონები სამშობლოში ამერიკაში განცდილი მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ.



ეროვნული ნაკრების შეხვედრა სტუდენტებთან

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულ ნაკრებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები შეხვდნენ.
შეხვედრას კალათბურთის ეროვნული ფედერაციის და თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის ხელმძღვანელები, თსუ-ს რექტორის მოადგილე მიხეილ ჩხენკელი, თსუ-ს კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი ხარჯევანიძე და ადმინისტრაციის წევრები დაესწრნენ.

შეხვედრა თბილისის სპორტის სასახლეში, ეროვნული ნაკრების ვარჯიშის დასრულების შემდეგ დაიწყო და კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები საკმაოდ მომზადებულნი შეხვდნენ ეროვნული ნაკრების წევრებს და მათ საინტერესო კითხვები დაუსვეს. კალათბურთელებმა და მწვრთნელებმა სტუდენტების შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს.

Georgian Railway EST. 1872

ოდნისა




ვლადიმერ ბოისას ავტობიოგრაფიული წიგნი

დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებულმა კალათბურთელმა, ეროვნული გუნდის ერთ-ერთმა ყოფილმა ლიდერმა და ამჟამად კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ვლადიმერ ბოისამ ავტობიოგრაფიული წიგნი გამოსცა. სპორტული ჟურნალისტის, ზურაბ თალაკვაძის წიგნის - „ბოისა - ჩემი გზა“ - პრეზენტაცია სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა, სადაც ქართული კალათბურთის ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელის ოჯახის წევრები, მეგობრები და ახლობლები შეიკრიბნენ.

ვლადიმერ ბოისას არაერთი მეგობარი ჰყავს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, რომლებიც პრეზენტაციას დაესწრნენ.

ვლადიმერ ბოისას პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების წევრები, რომლებმაც ბულგარეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში მე-3 ადგილი დაიკავეს და კონტინენტის მომავალი წლის პირველობის ელიტარულ A დივიზიონში საგზური მოიპოვეს.

პრეზენტაციაზე მოსულ სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ ვლადიმერ ბოისას ავტობიოგრაფიული წიგნი.




SPALDING
GEORGIA
SPALDING



შსს-ს აკადემიის პროექტი „აკადემიის დღეები 2017“

შსს-ს აკადემიაში, პროექტის - „აკადემიის დღეები 2017“ - ფარგლებში, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზების მიზნით სხვადასხვა სპორტული შეჯიბრება ჩატარდა.

სპორტის სხვა სახეობებთან ერთად შეჯიბრება გაიმართა კალათბურთშიც, რომელიც საქართველოს ეროვნული ფედერაციის - „სპორტი ყველასათვის“ და კალათბურთის ფედერაციის მხარდაჭერით ჩატარდა.

გამარჯვებულები შსს-ს აკადემის რექტორმა, გივი მიქანაძემ, საპატიო სტუმრებთან ერთად დააჯილდოვა. დაჯილდოების ცერემონიას კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი - მიხეილ გაბრიჩიძე, ვეტერანი კალათბურთელი გივი ბიჭიაშვილი და ეროვნული ნაკრების წევრი ლაშა გამყრელიძე დაესწრნენ.

რექტორმა სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებს მადლობა გადაუხადა აკადემიის სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერისთვის და ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.



თამაზ ოქრუაშვილის სახელობის ტურნირი

ცნობილი მწვრთნელის, არაერთი თაობის აღმზრდელი კალათბურთის სპეციალისტის, თამაზ ოქრუაშვილის სახელობის ტრადიციული ტურნირი ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში გაიმაღთა.

თამაზ ოქრუაშვილის მემორიალური ტურნირის მთავარი ორგანიზატორი გახლდათ მთაწმინდის გამგეობა, ხოლო მხარდამჭერი საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია.

ტურნირში თავი თბილისის საუკეთესო 8 გუნდმა მოიყარა. მთავარი ბრძოლები ნახევარფინალიდან გაიმართა, რომელშიც ერთმანეთს „აკადემია“ – „მაკაბი“ და „არმია“ „ზაზა“ შეხვდნენ. ფინალური მატჩის საგზურები „აკადემიამ“ და „არმიამ“ მოიპოვეს, ხოლო მესამე ადგილისთვის მატჩში „მაკაბიმ“ „ზაზას“ 55:43 მოუგო.

ფინალური შეხვედრა საინტერესო გამოდგა, თუმცა მეორე ნახევარში აკადემიელებმა უპირატესობა მოიპოვეს და გამარჯვებამდეც მივიდნენ - 76:55.

ფინალის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოვების ცერემონიალი. სამივე საპრიზო ადგილზე გასული გუნდი მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვდა.

ტურნირზე დაწესებული იყო 3 ინდივიდუალური პრიზი: საუკეთესო მოთამაშე, გამთამაშებელი და მაყურებელთა სიმპათია. უკანახაზელის პრიზი აკადემიელმა საბა უჩავამ დაიმსახურა, რომელიც კალათბურთის ფედერაციის საშეჯიბრო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ზვიად კოტრიკაძემ დააჯილდოვა. მაყურებელთა სიმპათიას - არმიელ ნუგზარ ბოჭორიშვილს და ტურნირის საუკეთესო მოთამაშეს - ლუკა დოლიძეს სპეციალური პრიზები თამაზ ოქრუაშვილის მეგობრებმა გადასცეს.

გამარჯვებული „აკადემიის“ გუნდი საჩემპიონო თასით თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის გამგებელმა გელა არჩვაძემ დააჯილდოვა.



საქართველოს რკინიგზამ 16-წლამდელთა ნაკრებს უმასპინძლა

ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების გენერალურმა სპონსორმა საქართველოს რკინიგზამ 16-წლამდელთა ნაკრებს უმასპინძლა. შეხვედრას კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძე და ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ ბოისა დაესწრნენ.

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა B დივიზიონის მე-3 ადგილისათვის დაძაბულ ბრძოლაში დიდი ბრიტანეთის ნაკრები დაამარცხა და 1 ქულის სხვაობით - 64:63 გაიმარჯვა. ბრინჯაოს მედალთან ერთად, გუნდმა გაცილებით ძვირფასი ტიტული - მომავალი წლისათვის ელიტარული -A დივიზიონის საგზური მოიპოვა.

საქართველოს რკინიგზის გენერალურმა დირექტორმა მამუკა ბახტაძემ წარმატება 16-წლამდელთა ნაკრების წევრებს პირადად მიულოცა.

რკინიგზას თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს სპორტის განვითარებაში და რამდენიმე სპორტულ ფედერაციას ეხმარება. კომპანიისა და კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას შორის თანამშრომლობა უკვე მეორე წელია გრძელდება. საქართველოს რკინიგზა ეხმარება საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, სუპერლიგასა და 3 ასაკობრივ - 16, 18 და 20-წლამდე ნაკრებებს. ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების გამარჯვებამ დაადასტურა, რომ რკინიგზის მხარდაჭერა შედეგიანია და საქართველოს რკინიგზა აქტიურად გააგრძელებს ქართული სპორტის მხარდაჭერას.



კალათბურთელები და ფედერაციის თანამშრომლები სისხლის ბანკის დონორები გახდნენ

„გაიღე სისხლი სიცოცხლის გადასარჩენად“ - ეს გახლავთ ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკის დევიზი და სისხლი კალათბურთელებმაც გაიღეს.

თბილისის ოლიმპიურ სასახლეში სისხლის ბანკის წარმომადგენლებმა მოხალისე კალათბურთელებისგან სისხლი ჩაიბარეს.

კალათბურთის ფედერაციის საშეჯიბრო დეპარტამენტის ოფისში ახალგაზრდული ნაკრების წევრ-კანდიდატები - ვილი ისიანი, ალექსანდრე ფევაძე, ნიკა ლეონიძე, თორნიკე აბულაძე მოვიდნენ.

სისხლი გაიღეს სუპერლიგის გუნდების წევრებმაც - „ოლიმპის“ მწვრთნელმა დავით როგავამ და მოთამაშე გიორგი გუგეშაშვილმა, ასევე კალათბურთელმა ვატო ბააკაშვილმა.

დონორობა გასწიეს აგრეთვე კალათბურთის ფედერაციის თანამშრომლებმა: სუპერლიგისა და ასაკობრივი ლიგების აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ზაბახიძემ, მწვრთნელთა კავშირის წარმომადგენელმა გაგი კვერენჩხილაძემ და ეროვნული ნაკრების პრეს-ატაშე ირაკლი პერტაიამ.

კალათბურთის ფედერაციისა და ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკის თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება, რომელშიც სხვადასხვა კლუბებისა თუ ნაკრებების მოთამაშეებთან ერთად საკალათბურთო საზოგადოების წევრებიც ჩაერთვებიან.



N16 პენიტენციურ დაწესებულებას კალათბურთელები ესტუმრნენ

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი კახა კახიშვილი N16 დაბალი რისკის პენიტენციურ დაწესებულებაში კალათბურთელებსა და მსჯავრდებულებს შორის გამართულ ამხანაგურ მატჩს დაესწრნენ. სპორტულ ღონისძიებას კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძე და სუპერლიგის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ზაბახიძე ესწრებოდნენ. კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა მსჯავრდებულებს საჩუქრად კალათბურთის ბურთები, მაისურები და შორტები გადასცეს.

კახი კახიშვილმა ტარიელ ხეჩიკაშვილსა და სტუმრებს N16 პენიტენციური დაწესებულების ინფრასტრუქტურა, გრძელვადიანი პაემნებისათვის განკუთვნილი ოთახები, პურის საცხობი, სასადილო და სპორტული დარბაზები დაათვალიერებინა.

კახი კახიშვილი: „N16 პენიტენციურ დაწესებულებას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი და კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლები ესტუმრნენ. დღევანდელი ამხანაგური მატჩი მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას ემსახურება. მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს მსჯავრდებულთა შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასა და მათ საზოგადოებასთან ინტეგრაციას." ტარიელ ხეჩიკაშვილი: „მსჯავრდებულებს ყველა პირობა აქვთ იმისთვის, რომ სურვილის შემთხვევაში, სპორტული აქტივობებით დაკავდნენ. დაწესებულებაში მსჯავრდებულებს საშუალება ეძლევათ ცხოვრების ჯანსაღი წესი აირჩიონ. ჩვენ მზად ვართ მომავალშიც ვითანამშრომლოთ სასჯელაღსრულების სამინისტროსთან და სპორტული აქტივობები ერთად განვახორციელოთ."

მიხეილ გაბრიჩიძე: მოხარული ვარ, რომ მატჩზე დასწრების საშუალება მოგვეცა. აქ ძალიან კარგი პირობებია კალათბურთში სავარჯიშოდ და არამარტო: ყველაფერია იმისათვის, რომ დაისვენონ, ისწავლონ, იშრომონ, ასევე ეზიარონ სხვადასხვა მეცნიერებას. სასიამოვნო იყო პატიმრებთან საუბარი, მათ გავაცანით ქართული კალათბურთის მიღწევები. ძალიან კარგი კონტაქტი შედგა. დღევანდელ მატჩს რაც შეეხება, გაკვირვებული დავრჩი მათი მომზადების დონით. გვიხარია, რომ ასეთი შეხვედრებით და თამაშებით ხელს ვუწყობთ მათ რესოციალიზაციას.

სპორტული ღონისძიება სასჯელაღსურლებისა და პრობაციის სამინისტროს ორგანიზებითა და კალათბურთის ფედერაციის მხარდაჭერით განხორციელდა.



N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებას 16-წლამდელთა ნაკრები ესტუმრა

N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებას საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლები და 16-წლამდელთა ნაკრების მოთამაშეები ესტუმრნენ.

სპორტსმენები მსჯავრდებულებს პროექტის „ჩვენ ერთად ვართ“ ფარგლებში ეწვივნენ და მათთან ერთად ერთი დღე გაატარეს.

ახალგაზრდა კალათბურთელებმა არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან ერთად სხვადასხვა სახის სპორტულ აქტივობაში მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის, ითამაშეს კალათბურთი და მაგიდის ჩოგბურთი. ასევე გაეცნენ დაწესებულების ინფრასტრუქტურას, დაათვალიერეს საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, ვიდეო პაემნების ოთახი და ხეზე კვეთის სახელოსნო.

კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მიხეილ გაბრიჩიძის განცხადებით, მისასალმებელია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიდგომა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის კუთხით.

„უკვე რამდენიმე წელია ჩვენ ვთანამშრომლობთ სამინისტროსთან. ვიმყოფებოდით რამდენიმე პენიტენციურ დაწესებულებაში და აქაც აღფრთოვანებული ვარ იმ პირობებით რაც დაგვხვდა. ახალგაზრდებს აქვთ ყველანაირი პირობა იმისთვის რომ ისწავლონ, დაეუფლონ თავისთვის საინტერესო პროფესიას, მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია ნებისმიერი სფეროს შესახებ, აქტიურად დაკავდნენ სპორტით. ვიმედოვნებ ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება,“ - განაცხადა მიხეილ გაბრიჩიძემ.

შეხვედრის დასასრულს, სტუმრებმა არასრულწლოვან მსჯავრდებულებს კალათბურთის ბურთები და მაისურები გადასცეს საჩუქრად.



ბათუმის საერთაშორისო ტურნირი

ბათუმმა 2001 წელს დაბადებულ კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. შეჯიბრი საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ეგიდით ჩატარდა და მისი ორგანიზატორი აჭარის კალათბურთის ფედერაცია გალდათ.

ბათუმის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ტრადიციული გახდება, 3 ქვეყნის 4 გუნდი მონაწილეობდა. ბათუმს თურქული გუნდები - „ტრაბზონსფორი“ და „ქარშიაქა“, ასევე სომხური „არაბკირი“ ესტუმრნენ. ამ კლუბებს მასპინძელთა მხრიდან ოპონენტობას „ბათუმი“ უწევდა.

ტურნირის ბოლო დღეს „ტრაბზონსფორმა“ მოლოდინისამებრ სომხური „არაბკირი“ დაამარცხა, ხოლო „ქარშიაქამ“, რომელიც საბოლოოდ ჩემპიონი გახდა, „ბათუმს“ 62:40 სძლია. ტურნირის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოვების ცერემონიალი. ოთხივე მონაწილე გუნდმა დაიმსახურა საპატიო თასები, ხოლო საპრიზო - პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულ გუნდებს დამატებით მედლები და სიგელები ერგოთ.

მეოთხე ადგილზე გასული „არაბკირი“ ტურნირის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ბადრი შამილაძემ დააჯილდოვა. მესამეზე გასულ ბათუმელებს მედლები, სიგელები და თასი აჭარის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გოდერძი კორძაძემ გადასცა. მეორე ადგილზე გასული ტრაბზონელები საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გიორგი ქართველიშვილმა დააჯილდოვა.

ბათუმის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული ანკარის „ქარშიაქა“ აჭარაში თურქეთის სავაჭრო ატაშე მკალი დეველიოღლუმ დააჯილდოვა. ტურნირზე დასახელდა სიმბოლური ხუთეული, რომელშიც შევიდნენ: ჰოვნეს პოღოსიანი (არაბკირი), ზურა გოლეთიანი (ბათუმი), თენგო კეშელავა (ბათუმი), იგით ოზკანი (ტრაბზონი) და აჰმედ ემირმაჰმუდოღლუ (ქარშიაქა). სიმბოლური ხუთეულის წევრებს ფედერაციის მიერ დაწესებული სამახსოვრო მედალიონები დაურიგდათ.

13 ოქტომბერი

გუნდი	ანგ	გუნდი	ანგ
არაბკირი	27	ბათუმი	40
ტრაბზონსფორი	88	ქარშიაქა	62

სატურნირო ცხრილი

გუნდი					
ქარშიაქა	3	3	0	202:129	6
ტრაბზონსფორი	3	2	1	217:143	5
ბათუმი	3	1	2	197:173	4
არაბკირი	3	0	3	98:269	3



ვალერი ალთაბაევისა და ალექსანდრე კილაძის სახელობის ტურნირი

ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი „დინამო თბილისის“ ცნობილი კალათბურთელების - ვალერი ალთაბაევისა და ალექსანდრე კილაძის სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს ბათუმმა უმასპინძლა. შეჯიბრი აჭარის კალათბურთის ფედერაციის მიერ ტარდება და მასში ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნების გუნდები მონაწილეობენ. წელს ცნობილი კალათბურთელების მემორიალურ ტურნირზე საასპარეზოდ თურქული და სომხური გუნდები ჩამოვიდნენ. თურქეთი 2 გუნდით - ანკარითა და ტრაბზონსფორით იყო წარმოდგენილი, ხოლო სომხეთიდან ბათუმს ერევნის გუნდი ეწვია. ტურნირი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა და აჭარის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. მეორე და მესამე საპრიზო ადგილები ტრაპზონისა და ერევნის გუნდებმა გაინაწილეს. გამოვლინდა ტურნირის საუკეთესო ხუთეული, რომელშიც კალათბურთელები მონაწილე ორივე გუნდიდან შევიდნენ.

მომავალი, 2018 წლისთვის ტურნირის გეოგრაფიის გაფართოვება და მონაწილე გუნდების გაზრდა იგეგმება.



დიდი გამარჯვების 55 წლის იუბილე

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ქართული სპორტის მუზეუმის მიერ გამოცემული წიგნის - „დიდი გამარჯვების 55 წლის იუბილე" - პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი თბილისის «დინამოს» კალათბურთელთა უდიდეს გამარჯვებაზე, 1962 წლის 29 ივნისს მოგებულ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე, მასთან დაკავშირებულ ამბებზე მოგვითხრობს. 55 წლის წინ დინამოელებმა მთავარი საკალათბურთო ევროტურნირის ფინალში მადრიდის «რეალს» 90:83 სძლიეს. გადამწყვეტი შეხვედრა შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში გაიმართა. 48-გვერდიან წიგნში თავმოყრილია ჩემპიონთა თასის მოგებასთან დაკავშირებით ქართულ სპორტულ პრესაში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილები, ასევე ის იშვიათი ფოტომასალა, რომელიც 55 წლის წინანდელ ფინალს ეხება. ღონისძიებას დინამო 1962-ის ერთ-ერთი წევრი ამირან სხიერელი (იმ შემადგენლობიდან ჩვენ შორის მხოლოდ ის და ლევან მოსეშვილი არიან), სხვადასხვა თაობის ვეტერანი კალათბურთელები, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, მინისტრის მოადგილეები, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ნინო სალუქვაძე, კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძე, სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელები, საკალათბურთო კლუბ თბილისის დინამოს პრეზიდენტი ვახტანგ ნაცვლიშვილი და მთავარი მწვრთნელი ირაკლი ხოშტარია, ასევე გულშემატკივრები დაესწრნენ.

„ბოლო ხანებში ძალიან განებივრებულნი ვართ კარგი გამოცემებით... ქართული სპორტის მუზეუმმა მშვენიერი წიგნი მიუძღვნა თბილისის «დინამოს» უდიდეს გამარჯვებას და მინდა მადლობა გადავუხადო მუზეუმს, მის ხელმძღვანელებს ასეთი კარგი საჩუქრისთვის. რა თქმა უნდა, უდიდესი მადლობა ჩვენს ძვირფას კალათბურთელებს - ჩემპიონთა თასის მოგებით ისინი ქართული სპორტის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაეწერნენ. სიმბოლურია, რომ ჩვენი კალათბურთის სულ ბოლო გამარჯვება, ეროვნული ნაკრების კაპიტნის ზაზა ფაჩულიას ჩემპიონობა, რომელიც დინამოელთა დიდებული ტრიუმფის 55 წლის იუბილეს დაემთხვა. ჩვენი ახალგაზრდა კალათბურთელების შემხედვარე, მჯერა, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს ნაკრები არაერთი დასამახსოვრებელი წარმატებით გაგვახარებს"! - განაცხადა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა. თბილისის დინამოს პრეზიდენტმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა მინისტრს 1962 წლის 29 ივნისის ფინალური მატჩის ოქმი გადასცა, რომელიც ტარიელ ხეჩიკაშვილმა, თავის მხრივ, ქართული სპორტის მუზეუმს უსახსოვრა. „ქართული სპორტის მუზეუმი ცდილობს გულშემატკივარს ყველა გამორჩეული თარიღი შეახსენოს და ეს წიგნიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება. 1962 წლის 29 ივნისს დინამოელებმა უდიდესი გამარჯვება იზეიმეს და მიუხედავად იმისა, რომ იმ ტრიუმფის შესახებ ცოტა მასალა მოგვეპოვება, ვეცადეთ და მგონი, კარგი წიგნიც გამოვეცით. მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას ყველა ჩვენი კარგი წამოწყების მხარდაჭერისთვის, ასევე ამ წიგნის ავტორს ლაშა გოდუაძეს, რომელთანაც ერთად რამდენიმე კარგი პროექტი განვახორციელეთ. დიდი მადლობა საზოგადოებრივი მაუწყებლის აუდიო-რადიო ფონდს იმ სიურპრიზისთვის, რასაც 55 წლის წინანდელი რადიოჩანაწერის აღმოჩენა ჰქვია", - განაცხადა ქართული სპორტის მუზეუმის დირექტორმა ნანა მიქაძემ. იმ ფინალიდან მხოლოდ სამი ფოტოა შემონახული. საგულისხმოა, რომ ისინი, ასევე ფინალის ოქმი, ქართველმა მწერალმა დათო ტურაშვილმა ესპანელი მეგობრების დახმარებით მოიპოვა ერთ-ერთ მადრიდულ არქივში. წიგნს ასევე თან ერთვის აუდიოდისკი, რომელზეც ჩაწერილია საქართველოს რადიოს მიერ 55 წლის წინ განხორციელებული რადიოჩართვა ჟენევიდან. ფინალის პერიპეტიებზე თბილისის «დინამოს» მთავარი მწვრთნელი ოთარ ქორქია, გუნდის კაპიტანი გურამ მინაშვილი და ალექსანდრე კილაძე საუბრობენ, ასევე გასული საუკუნის პოპულარული საბჭოთა კომენტატორი ნიკოლაი ოზეროვი, რომელიც მატჩის რეპორტაჟს უძღვებოდა. წიგნის შემდგენელია სპორტული ჟურნალისტი ლაშა გოდუაძე. „დიდი გამარჯვების 55 წლის იუბილე" მისი და ქართული სპორტის მუზეუმის ერთობლივი მესამე გამოცემაა: 2015 წელს, მუზეუმის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით კატალოგი დაიბეჭდა, აგრეთვე სპეციალური წიგნით აღინიშნა თასების მფლობელთა თასის მოგების 35 წლის იუბილე.



26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, რუსთაველის გამზირზე არაერთი სამხედრო, კულტურული და სპორტული ღონისძიება გაიმართა. ტრადიციულად, მათ შორის იყო 3X3 კალათბურთში ტურნირი.

საკალათბურთო შეჯიბრი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერით ჩატარდა.







სუპერლიგის პრიზიორი გუნდებისთვის, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ, შეიქმნა ახალი დიზაინის ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები.



მერაბ რატიშვილი ფიბას ტექნიკური დელეგატია



საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობათა დირექტორმა, ფიბას კომისარმა მერაბ რატიშვილმა ახალი საერთაშორისო პოზიცია - ფიბას ტექნიკური დელეგატის ლიცენზია მიიღო. ამის დამადასტურებელი სერთიფიკატი რატიშვილმა 12 სექტემბერს სტამბოლში, ფიბას ტექნიკური დელეგატების დასკვნითი სემინარისა და გამოცდების შემდეგ ჩაიბარა.

ფიბამ ტექნიკური დელეგატის თანამდებობა საგანგებოდ შემოიღო მსოფლიოს 2019 წლის შესარჩევი მატჩებისთვის. ტექნიკური დელეგატის ფუნქციაა მსოფლიოს ჩემპიონატის კონკრეტული შესარჩევი მატჩის ორგანიზების ზედამხედველობა და მართვა, რაც მოიცავს: უშუალოდ მატჩის ჩატარების ადგილის (არენის) შესაბამისად გამართვა-მოწყობას; მარკეტინგს; მატჩის მონაწილეთა და მაყურებელთა უსაფრთხოებას; მედიისთვის სამუშაო პირობების შექმნის მონიტორინგს; სატელევიზიო პროდუქციის მომზადების და ტრანსლირების კონტროლს; პირველად სამედიცინო მომსახურებას და დოპინგ-კონტროლს; მატჩის მიმდინარეობას კალათბურთის ოფიციალური წესების და ფიბას შესაბამისი დებულებების მიხედვით. ფიბას ტექნიკური დელეგატობის პარალელურად მერაბ რატიშვილი აგრძელებს საქმიანობას ფიბას კომისრის სტატუსით და გასულ წელს ის ათობით საერთაშორისო მატჩს მოემსახურა, რომელთაგან განსაკუთრებით გამოსარჩევი და საპატიოა 16-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩზე მუშაობა. საფრანგეთის ქალაქ ბურჟში გამართულ კონტინენტის პირველობის დასკვნით დღეს ფიბამ დიდი ნდობა გამოუცხადა მერაბ რატიშვილს და მას ფინალური მატჩის კომისრობა ანდო. ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლისთვის ერთმანეთს საფრანგეთისა და უნგრეთის ნაკრები დაუპირისპირდნენ და შეხვედრამ წესების სრული დაცვითა და კორექტულობით ჩაიარა.

აღსანიშნავია, რომ ეს გახლდათ მერაბ რატიშვილისთვის ზედიზედ მეორე ფინალი ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატებზე. 2016 წელს მან ევროპის 20-წლამდელ ვაჟთა ჩემპიონატის ფინალურ მატჩს (ესპანეთი-ლიტვა) უკომისრა, რომელიც ფინეთის ქალაქ ჰელსინკიში გაიმართა.



გიორგი ზაბახიძე ფიბას 2019 წლის მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ტურნირის სამატჩო დირექტორად დაინიშნა



2017 წლის ბოლოდან ფიბამ სრულიად შეცვალა საკონტინენტო და მსოფლიო ჩემპიონატების სისტემა. ცვლილება შეეხო როგორც ტურნირების გამართვის პერიოდულობას, ასევე მასში მოხვედრის სისტემას. სწორედ ახალ სისტემაზე გადასვლას უკავშირდებოდა ის სამუშაო კონფერენცია, რომელიც ფიბა-მ გერმანიის ქალაქ მიუნხენში თავისი წევრი ქვეყნებისთვის ჩაატარა და რომელსაც საქართველოს დელეგაციაც დაესწრო.

„კალათბურთი ბრუნდება სახლში“ - ესაა ლოზუნგი იმ ახალი სისტემისა, რომელიც 2017 წლის ნოემბრიდან ამოქმედდა და რომელსაც თებერვალში, გერმანიის ქალაქ მიუნხენში სპეციალური კონფერენცია მიეძღვნა, რომელსაც საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივნის თანაშემწე გიორგი გაჩეჩილაძე და სუპერლიგისა და ასაკობრივი ლიგების აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ზაბახიძე ესწრებოდნენ.

ახალი სისტემის თანახმად, საშინაო მატჩებს ეყოლება საკუთარი დირექტორი. ამ თანამდებობაზე საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ შერჩეულ იქნა სუპერლიგისა და ასაკობრივი ლიგების აღმასრულებელი დირექტორი, გიორგი ზაბახიძე. აღნიშნულ თანამდებობაზე გიორგი ზაბახიძე სტამბოლში, 12-14 ივლისს გამართულ ფიბას შესაბამის ღონიძიებაზე დაამტკიცეს, სადაც თავი მოიყარეს ევროპის ყველა იმ ქვეყნის წარმომადგენელმა, რომლებიც მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ეტაპში მონაწილეობენ.

სტამბოლში გამართულ ღონისძიებაზე დეტალურად იქნა განხილული ყველა ის დეტალი, რომელიც მსოფლიოს 2019 წლის საკვალიფიკაციო მატჩების ორგანიზებას უკავშირდება. სამატჩო დირექტორი იქნება მთავარი ფიგურა, რომელიც მასპინძელ ქვეყანას წარმოადგენს და საკვალიფიკაციო მატჩების ფიბას სტანდარტების შესაბამისად ჩატარებაზე იქნება პასუხისმგებელი. მის დაქვემდებარებაში იქნებიან შესაბამისი სამსახურები, რომლებიც ფიბას ოფიციალური მატჩების ჩასატარებლად მისი ინსტრუქციის შესაბამისად იმუშავებენ.

საქართველოს ნაკრების მეტოქეები მსოფლიოს შესარჩევ ეტაპზე გერმანია, სერბეთი და ავსტრია არიან.



ბაჩოს თასი 2017

თბილისის ოლიმპიურ სასახლეში სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციული მედია-ფესტივალი - ბაჩოს თასი 2017 გაიმართა. "ბაჩოს თასი 2017" 3/3-ზე კალათბურთსა და მინი-ფეხბურთში ჩატარდა.

ტურნირში მონაწილეობა სხვადასხვა გუნდებში გადანაწილებულმა სპორტულმა ჟურნალისტებმა და ბაჩო სვანიძის მეგობრებმა მიიღეს. ბიჭებს შორის მინი-ფეხბურთის ტურნირის გამარჯვებული ზედიზედ მეოთხედ, ბაჩოს მეგობრების გუნდი გახდა.

საკალათბურთო ტურნირის გამარჯვებული სპორტული პრესის გუნდი გახდა, გოგონების საფეხბურთო მატჩში კი გამარჯვება გუნდმა "როზაურამ" მოიპოვა.

"ბაჩოს თასის" გამარჯვებული და პრიზიორი გუნდები, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა, ტარიელ ხეჩიკაშვილმა, კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა და ვიცე-პრეზიდენტმა კახა ჭუმბურიძემ თასებით, მედლებით და სამახსოვრო პრიზებით დააჯილდოვეს.

კალათბურთის ტურნირის საუკეთესო მოთამაშე სპორტული პრესის გუნდის წარმომადგენელი გიორგი კოროშენიძე გახდა, ფეხბურთის ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ კი "ბაჩოს მეგობრების" მეკარე კობა ხატისაშვილი დასახელდა, საფეხბურთო ტურნირის საუკეთესო მოთამაშეს, წელს გარდაცვლილი ტელეკომენტატორის, ალეკო ჯიბლაძის სახელობის სპეციალური პრიზი გადაეცა,

საუკეთესო კალათბურთელისთვის დაწესებული იყო ბურთი ეროვნული ნაკრების წევრების ხელმოწერებით.

სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციული მედია-ფესტივალი "ბაჩოს თასი" მეექვსედ ჩატარდა. ფესტივალი 2010 წელს, მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაცვლილი ახალგაზრდა სპორტული ჟურნალისტის, ბაჩო სვანიძის სახელს ატარებს, რომელმაც ჟურნალისტური კარიერის უკანასკნელი წლები სპორტულ გაზეთ "სარბიელში" გაატარა. ბაჩო სვანიძის ხსოვნის ტურნირი 2010 წლიდან სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ეგიდით ტარდება, მხარდამჭერები კი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ფეხბურთის და კალათბურთის ფედერაციები და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი არიან.



ბორჯომი®

იცხოვრე ვულკანური ძალით

ვეტერანი კალათბურთელები

კარგი გამონათქვამია, წარსულს თუ არ ეცი პატივი, ის თუ დაივიწყე და უარყავი, მომავალს ვერ ააშენებ.
მისასალმებელია და სამაგალითოა (სხვა სპორტული ფედერაციებისთვის), რომ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ადრინდელი და ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ზუსტად ამ პრინციპით მუშაობდა და მუშაობს, რომლებმაც ვეტერანი კალათბურთელები არ დაივიწყეს და 2008 წელს დააფუძნეს არაკომერციული იურიდიული პირი "ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი".
ფონდის საქმიანობის მიზანია:
- ვეტერან კალათბურთელების ღვაწლის სრულყოფილად დაფასება
- ვეტერან კალათბურთელების სოციალურ-მატერიალური პირობების გაუმჯობესება.



დღეს ქართული კალათბურთის ბევრი ვარსკვლავია გარდაცვლილი, მაგრამ ვინც ცოცხლები დაგვრჩნენ, (საბედნიეროდ ბევრი გვყავს) საჭიროა მათზე, განსაკუთრებით მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, რომლებიც დღესაც განიცდიან სიღატაკეს და გაჭირვებას. „ვეტერან კალათბურთელთა ფონდის" შექმნის საჭიროება სწორედ ამაში მდგომარეობდა.
ჩვენმა ორგანიზაციამ თავის არსებობის მანძილზე გაუწია და დღემდე უწევს 19 ვეტერან კალათბურთელს ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას და აგრეთვე ერთჯერად ფინანსურ დახმარებას უწევს გარდაცვლილი ვეტერან კალათბურთელების ოჯახებს.
აღსანიშნავია, რომ დახმარების ფონდის დაფინანსებას ძირითადად უზრუნველყოფს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია.
საყურადღებოა, რომ დახმარების ფონდის რეკომენდაციით 30 ვეტერან კალათბურთელს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების პროგრამის" ფარგლებში დაუნიშნა ყოველთვიური ფინანსური დახმარება და აგრეთვე გაუწია ერთჯერადი ფონანსური დახმარება რამოდენიმე ვეტერან კალათბურთელს ოპერაციებზე და მედიკამენტოზურ მკურნალობაზე.
დახმარების ფონდმა გამოუშვა ბუკლეტი, სადაც ვეტერან კალათბურთელების სურათია აღბეჭდილი და მიმართვა ფონდზე დახმარების შესახებ, რომელის წერილთან ერთად დაეგზავნა საქართველოში განლაგებულ ორგანიზაციებს და მოქმედ ბიზნესმენებს.
ბევრი ვეტერანი კალათბურთელი ჩაბმულია კალათბურთის ცხოვრებაში, ესწრებიან და თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებენ ახალგაზრდა თაობას, რომ ახალმა თაობამ იცოდეს ვინ იყო მისი წინაპარი, როგორ ცხოვრობდა და როგორ მიაღწია უდიდეს სპორტულ შედეგებს. მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ინატრებდა ამდენი ოლიმპიური, მსოფლიოს, ევროპის და საბჭოთა კავშირის ჩემპიონების და პრიზიორების ყოლას, რომლებიც საქართველოს ჰყავს.
„ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი" დიდ მადლობას უხდის საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას თანადგომისა და ფინანსური დახმარებისთვის.
„ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდის" პრეზიდენტი

სპორტის რაინდი ვალერი ლომაძე



ვაჟა გვანცელაძე

ვეტერანი კალათბურთელი და პროფესორი მედიცინის დარგში, ვაჟა გვანცელაძე სპორტის რაინდის წოდებით დააჯილდოვეს. ღვაწლმოსილ ვეტერანს საპატიო ჯილდო კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა - მიხეილ გაბრიჩიძემ გადასცა. ვაჟა გვანცელაძე ღირსების ორდენის კავალერია, თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში მოპოვებული აქვს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ორი ოქროს და ვერცხლის მედლები. 2017 წლის 6 აპრილს შეუსრულდა 85 წელი.



ნოდარ ქორქია

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და „დინამოელთა“ ტრადიციული საერთაშორისო ტურნირირებში ორგზის გამარჯვებულია. „ლეხ-პოზნანის“ შემადგენლობა-ში პოლონეთის ჩემპიონი, თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის პირველობის გამარჯვებული, გულშემადგენლობაში იტალიის გაზეტ „უნიტას“ სახელობის თასის მფლობელი და საბჭოთა კავშირის პირველობის ხალხთა სპარტაკიადის მე-3 პრიზიორი. აგრეთვე ეროვნული ნაკრების მწვრთნელ-ასისტენტი. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს 2017 წლის 2 ივნისს შეუსრულდა 65 წელი.



გივი ბიჭიაშვილი



ვეტერანი კალათბურთელი, 80-იანი წლების თბილისის „დინამოს“ უცვლელი კაპიტანი, გივი ბიჭიაშვილი სპორტის რაინდის ორდენით დაჯილდოვდა. ბიჭიაშვილს უმაღლესი სპორტული ჯილდო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა, ტარიელ ხეჩიკაშვილმა გადასცა. სიმბოლური იყო გივი ბიჭიაშვილის დაჯილდოვება საკალათბურთო კლუბ „დინამო თბილისისგან“. წარსულში გუნდის უცვლელი კაპიტანი "დინამოს" ხელმძღვანელობამ ფულადი პრემიით დააჯილდოვა.

გივი ბიჭიაშვილი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი, თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის პირველობის ორგზის მე-3 პრიზიორი და საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მე-3 პრიზიორია. აგრეთვე „დინამოელთა“ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირებში ორგზის გამარჯვებული. 2017 წლის 6 მარტს გივი ბიჭიაშვილს შეუსრულდა 70 წელი.



თამაზ კაკაურიძე

სპორტის ოსტატს, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონს საქართველოს შემადგენლობაში თამაზ კაკაურიძეს 2017 წლის 21 მაისს 80 წელი შეუსრულდა. იუბილარი ვეტერანი კალათბურთელი სპეციალური პრიზითა და სანაკრებო მაისურით ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ დააჯილდოვა.

აღსანიშნავია, რომ თამაზ კაკაურიძე იმ სამ კალათბურთელთაგანია (აბაშიძე, ალთაბაევი, კაკაურიძე), რომლებმაც ხალხთა სპარტაკიადაზე მოუგეს ლატვიის ნაკრების ხუთ კალათბურთელს.

1961 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების შედეგების მიხედვით კაკაურიძე დასახელებული იყო საბჭოთა კაშირის 25 საუკეთესო კალათბურთელთა შორის, თავის თანაგუნდელებთან (მინაშვილი, უგრეხელიძე, ალთაბაევი და ლომაძე) ერთად.

იური პულავსი



საპატიო სიგელით დაჯილდოვდა ვეტერანი კალათბურთელი, იური პულავსკი, რომელსაც 2017 წლის 7 სექტემბერს შეუსრულდა 70 წელი. საპატიო სიგელი იური პულავსკის კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ გადასცა. პულავსკი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, თბილისის „დინამოს„ შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის პირველობის ორგზის მესამე პრიზიორია. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მე-3 პრიზიორი, ხოლო „დინამოელთა“ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირებში ორგზის გამარჯვებული.



«ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდის» რეკვიზიტები

ააიპ ,,ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი“
ს/კ 205251822
მის: ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა.
თი ბი სი ბანკი
ბანკის კოდი : TBCBGE22
ა/ა GE82TB0865236080100002



ალისა ასიტაშვილი

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გახდა ევროპის ორგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ახალგაზრდული მეგობრული სპორტული თამაშების შეჯიბრებაში. ორგზის გამარჯვებული სტუდენტთა XII საერთაშორისო თამაშების ვერცხლის პრიზიორი. 2017 წლის 14 აპრილს შეუსრულდებოდა 85 წელი.

გურამ მინაშვილი



სპორტის საპატიო ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი, სპორტის რაინდი, საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის სამგზის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი, სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონი, მაირენოს თასის გათამაშებაში (იტალიაში) მიიღო საუკეთესო მოთამაშის პრიზი. 2016 წლის 25 ნოემბერს შეუსრულდებოდა 80 წელი.



ილარიონ ხაზარაძე

სპორტის საპატიო ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ორგზის ვერცხლის მედალოსანი, სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონი, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი, „დინამოს“ საერთაშორისო ტურნირირების მრავალგზის გამარჯვებული. 2017 წლის იანვარს შეუსრულდებოდა 80 წელი.

უპირატესობა შედეგია ცოდნისა!

ცოდნისა

აუდიტური კონცერნი

დაარსებულია 1997 წლის 23 ივნისს

უსამრავი წარმატება

20

წლის მანძილზე

აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“ 20 წლისაა!

ამონაგები – 2 მლნ ლარი
3 რეგიონული ფილიალი
6 შვილობილი კომპანია
100 დაქირავებული თანამშრომელი

მმართველი პარტნიორები:

გიორგი ცერცვაძე, ნინო კალანდია,
ფრიდონ ალშიბაია, მაია ცერცვაძე

239 33 50, 239 33 56, 239 33 69
www.tsodnisa.ge

ჩემპიონატებსა და ღონისძიებებში გამარჯვებული გუნდები წლების მიხედვით

სუპერლიგა

1991	დინამო	2000-2001	ბასკო	2009-2010	ენერჯი ინვესტი
1992-1993	ვითა	2001-2002	ბასკო	2010-2011	არმია
1993-1994	ვითა	2002-2003	დინამო	2011-2012	არმია
1994-1995	ვითა	2003-2004	ბასკო	2012-2013	შსს აკადემია
1995-1996	ვითა	2004-2005	სტუ ჯეოსელი	2013-2014	დინამო
1996-1997	ვითა	2005-2006	თბილავიამშენი	2014-2015	შსს აკადემია
1997-1998	ვითა	2006-2007	ენერჯი ინვესტი	2015-2016	ქუთაისი
1998-1999	ვითა	2007-2008	ენერჯი ინვესტი	2016-2017	დინამო
1999-2000	ბასკო	2008-2009	ენერჯი ინვესტი		

ა-ლიგა

2014-2015	არენა 76	2015-2016	კაკტუსი	2016-2017	მარნეულის დელტა

20-წლამდელთა ჩემპიონატი

2008-2009	რუსთავი	2011-2012	სოხუმი	2014-2015	ოლიმპი
2009-2010	რუსთავი	2012-2013	სოხუმი	2015-2016	სოხუმი
2010-2011	სტუ	2013-2014	შსს აკადემია	2016-2017	ჰიუნდაი

18-წლამდელთა ჩემპიონატი

2008-2009	აკადემია	2011-2012	ქუთაისი	2014-2015	აკადემია
2009-2010	აკადემია	2012-2013	ჰიუნდაი	2015-2016	აკადემია
2010-2011	სოხუმი	2013-2014	აკადემია	2016-2017	ზაზა 1

16-წლამდელთა ჩემპიონატი

2008-2009	ქუთაისი	2011-2012	აკადემია	2014-2015	ჰიუნდაი
2009-2010	ქუთაისი	2012-2013	შსს აკადემია	2015-2016	აკადემია
2010-2011	აკადემია	2013-2014	აკადემია	2016-2017	აკადემია

დუდუ დადიანის მემორიალი

2002	დინამო	2007	ენერჯი ინვესტი	2012	არმია
2003	ჯეოსელი	2008	ენერჯი ინვესტი	2013	სოხუმი
2004	სტუ ჯეოსელი	2009	ენერჯი	2014	რუსთავი
2005	ავიამშენი	2010	ენერჯი ინვესტი	2015	ბარსი (ყაზახეთი)
2006	ენერჯი ინვესტი	2011	ქუთაისი	2016	დინამო

ზურაბ საკანდელიძის და მიხეილ ქორქიას მემორიალი

2006	რუსთავი	2010	ენერჯი ინვესტი	2014	დინამო
2007	ენერჯი ინვესტი	2011	თსუ	2015	შსს აკადემია
2008	თბილავიამშენი	2012	არმია	2016	ქუთაისი
2009	ენერჯი ინვესტი	2013	ოლიმპი	2017	ქუთაისი

საქართველოს თასი

2003	ბასკო	2008	თბილავიამშენი	2013	შსს აკადემია
2004	დინამო	2009	ენერჯი ინვესტი	2014	ქუთაისი
2005	სტუ	2010	სსაუ	2015	დინამო
2006	თსუ ნიკორა	2011	არმია	2016	დინამო
2007	თბილავიამშენი	2012	არმია	2017	ქუთაისი

სუპერთასი

2006	თსუ ნიკორა	2010	სსაუ	2014	ქუთაისი
2007	აზოტი	2011	არმია	2015	შსს აკადემია
2008	ენერჯი ინვესტი	2012	არმია	2016	დინამო
2009	ავიამშენი	2013	ოლიმპი		

JRNBALEAGUE.GE


Junior NBA – GBF ლიგის ვებ-გვერდის შექმნა იყო უპრეცედენტო მოვლენა ქართულ ინტერნეტ-სივრცეში. 11 წლამდე მოზარდთათვის განკუთვნილი ასეთი მასშტაბური და სრულყოფილი საიტის დამზადება Junior NBA-ს ხელმძღვანელობას საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ შესთავაზა. Junior NBA-ს ვებ-გვერდებზე პირველად ქართულ საიტზე იქნა გამოყენებული საშეჯიბრო ცხრილები, რამაც მოზარდებში და მათ მშობლებში დიდი ინტერესი გამოიწვია.ამიერიდან გულშემატკივრებს მიეცემათ საშუალება გაეცნონ Junior NBA – GBF ლიგის ვებ-გვერდზე მიმდინარე სიახლეებს, ცხრილებს და კალენდრებს.



















საქართველოს კალათბურთის ეროვნული
ფედერაცია მადლობას უხდის თანამშრომლობისთვის















































































